

ივანე ჯავახიშვილის  
კანტორაფიული  
მემკვიდრეობა





**ივანე ჯავახიშვილის  
კარტოგრაფიული მემკვიდრეობა**

გამოფენის მეგზური

ედღვნება ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლის იუბილეს









„կողմնակից ընդհանուր իրավունքի և անկողմնակից ընդհանուր իրավունքի բնույթի վերաբերյալ, ընդհանուր իրավունքի և անկողմնակից ընդհանուր իրավունքի բնույթի վերաբերյալ, ընդհանուր իրավունքի և անկողմնակից ընդհանուր իրավունքի բնույթի վերաբերյալ“

Հրատարակող

Lorenz



S. PÉTERSBOURG,  
PERSE DE NEVSKY N°16



სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თსუ მუზეუმი  
ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის ცენტრი

# ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა

გამოფენის მეგზური

ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლის იუბილეს

თბილისი  
2016



*2016 წელს აღინიშნება დიდი ქართველი მეცნიერის, პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილე. ამ ღირშესანიშნავ თარიღს ეძღვნება გამოფენის ვრცელი მეგზური „ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა“.*

*მეგზური მიზნად ისახავს გააცნოს მკითხველს დიდი მეცნიერის ხელდასხმით შექმნილი კარტოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებიც დღემდე სათანადო არ არის შეფასებული და გააზრებული.*

ავტორ-შემდგენლები: დავით სართანია  
დალი ნიკოლაიშვილი  
არჩილ კოხრეიძე  
ავთანდილ უჭმაჭურიძე  
რევაზ თოლორდავა  
გია ჩხიკვიშვილი

რედაქტორი                    როინ მეტრეველი  
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016

ISBN 978-9941-13-504-0



## შინაარსი

წინასიტყვა .....	7
ახალი საქართველოს სათავესთან (დ. სართანია).....	10
ქართული კარტოგრაფიული მემკვიდრეობა და ივანე ჯავახიშვილი (დ. ნიკოლაიშვილი)....	24
„ვიდრე საქართველოს ისტორიას განვაგრძობდეთ...“ (დ. სართანია).....	31
საქართველოს რესპუბლიკის რუკა – 1922 წელი (დ. ნიკოლაიშვილი, ა. უჭმაჭურიძე) .....	35
საქართველოს ბოტანიკურ-აგრონომიული არეების რუკა (დ. სართანია, დ. ნიკოლაიშვილი) .....	46
საქართველოს საისტორიო რუკა VII-XII სს. (დ. სართანია, დ. ნიკოლაიშვილი).....	60
საქართველოს ისტორიული რუკა - 1923 (ა. უჭმაჭურიძე, დ. ნიკოლაიშვილი, გ. ჩხიკვიშვილი, რ. თოლორდავა).....	63
საქართველოს რუკები – 1919 წელი (ქართული, ფრანგული I და II) (დ. ნიკოლაიშვილი, დ. სართანია, ა. უჭმაჭურიძე, ა. კობრეიძე) .....	69
ვიქტორ ბაბეს „საქართველოს ეკონომიკური რუკა“ (დ. ნიკოლაიშვილი, დ. სართანია) .....	81
რუკები ივ. ჯავახიშვილის პირადი ფონდიდან (რ. თოლორდავა, დ. ნიკოლაიშვილი) .....	85





## წიგნისიძევა

ივანე ჯავახიშვილი თავისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ღვაწლით ახალი საქართველოს კარიბჭესთან დგას. იგი ცდილობდა არა მარტო ქართველოლოგიურ მეცნიერებაში მანამდე არსებული ხარვეზების ამოვსებას, არამედ უფრო დიდ მიზანს ესწრაფვოდა, რომელიც, პირველ რიგში, ზოგადად, **ქართულ მეცნიერებას** დაუდებდა სათავეს და ამით **ქართველი ერის აღორძინება** დაიწყებოდა. ამიტომ ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ეს ეხება როგორც მის სამეცნიერო მუშაობას, ისე საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. თითოეულ სფეროში მას თავისი წონადი სიტყვა აქვს ნათქვამი. მათგან კარტოგრაფიული მოღვაწეობაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

ამ სფეროში ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის თაობაზე ინფორმაცია მეტად მწირია. ჭერჭერობით ჩვენ მხოლოდ 7 რუკის მოძიება შევძელით, რომელიც უშუალოდ ივანე ჯავახიშვილის მიერ ან მისი აქტიური მონაწილეობითაა შექმნილი. ეს რუკებია:

1. საქართველოს რესპუბლიკის რუკა (1922 წ.);
2. საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა ძველი წყაროების მიხედვით (1930 წ.);
3. საქართველოს საისტორიო რუკა. VII-XII ს. შედგენილი ძველი წყაროების მიხედვით (1913 წ.);
4. საქართველოს ისტორიული რუკა (1923 წ.);
5. საქართველოს საზღვრების რუკა (1919 წ.);
6. საქართველოს რუკა, № 1 (1919 წ. ფრანგულ ენაზე);
7. საქართველოს რუკა, № 2 (1919 წ. ფრანგულ ენაზე);

როგორც ამ ჩამონათვალიდან ჩანს, ივანე ჯავახიშვილს რუკებზე 1913-1930 წლებში უმუშავია, თუმცა საქართველოს გეოგრაფიით მისი დაინტერესება უფრო ადრე დაიწყო და სიცოცხლის ბოლომდე არ განელებულა. მას გეოგრაფიის ცალკეული საკითხები სჭირდებოდა, ერთი მხრივ, საქართველოს ისტორიაში განვითარებული თითოეული მოვლენის უკეთ გასაგებად და, მეორე მხრივ, ზოგადად – ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს წარმოშობა-განვითარების პროცესის ასახსნელად.

დიდი მეცნიერის მემკვიდრეობის ანალიზმა გვიკარნახა, რომ მის მიერ შექმნილი რუკები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით კი არ დაგველაგებინა, არამედ მისივე კონცეფციით გვეხელმძღვანელა.

კერძოდ, მეცნიერი ერთ-ერთ თავის ნაშრომში აღნიშნავდა: **„ვისაც ჰსურს მომხდარი ამბების მნიშვნელობა და ქართველთა ცხოვრების განვითარების მიმდინარეობა ნათლად წარმოიდგინოს, მას ჯერ საქართველოს იმდროინდელი გეოგრაფია შესწავლილი უნდა ჰქონდეს“**.

რადგანაც ივანე ჯავახიშვილს საქართველოს ზოგადგეოგრაფიული რუკაც აქვს შექმნილი (1922 წ.), ზემოთქმულის გამო გადაწყვიტეთ გამოფენა სწორედ ამ რუკით დაგვეწყო. მას მოჰყვება საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა, რომელიც 1930 წელს დაბეჭდილ მონოგრაფიას „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ I ტომს ახლავს. მეცნიერი ამ მონოგრაფიაში არკვევს იმ სამეურნეო მოღვაწეობის ხასიათს, რომელსაც ქართველი ერი მოცემულ გეოგრაფიულ სივრცეში უძველესი დროიდან მისდევდა. ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, ეს სამეურნეო კულტურა მოცემულმა გეოგრაფიულმა პირობებმა წარმოშვა. ამან კი, თავის მხრივ, ქართველი ერის ეთნიკური კონსოლიდაცია და სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბება მოახდინა.

ამდენად, ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა ზოგადგეოგრაფიული რუკის ლოგიკურ გაგრძელებად გვესახება. მით უმეტეს, ორივე რუკაზე პოლიტიკური მომენტი უყურადღებოდ არაა დატოვებული. ეს, ძირითადად, საქართველოს ტერიტორიულად შემოფარგვლაში აისახება. ივანე ჯავახიშვილმა კარგად იცის, რომ ისტორიის სხვადასხვა პერიოდში საქართველოს სახელმწიფო სხვადასხვა საზღვრებში არსებობდა, მაგრამ იგი იმ ზოგადი საზღვარიდან ამოდის, რომელიც ხან ფართოვდებოდა და ხან ვიწროვდებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილი იმ ზოგად საზღვარს მოხაზავს, რომლის შიგნითაც ჩამოყალიბდა ქართველი ერი და მერე, არსებობის მანძილზე, მის ფარგლებში შრომობდა და იბრძოდა.

ამის შემდეგ კი დანარჩენი რუკები, რომლებიც ისტორიული ხასიათისაა, ქრონოლოგიური თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი.

თავდაპირველად 1913 წელს შექმნილი რუკაა მოცემული, რომელიც VII-XII საუკუნეების ვითარებას ასახავს და შედგენილია ძველი ქართული საისტორიო წყაროების გამოყენებით.

შემდეგ წარმოდგენილია 1923 წ. შექმნილი ისტორიული ხასიათის რუკა, რომელიც ასახავს I საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე პერიოდის ვითარებას.

ბოლოს კი, 1919 წელს შედგენილი ქართული და ფრანგულენოვანი რუკებია გამოფენილი, რომლებშიაც ასახულია I მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ გეოპოლიტიკურ პირობებში, თუ როგორ უნდა შემოსაზღვრულიყო ქართული სახელმწიფოს ტერიტორია.

საქართველოს საზღვრების საკითხს ეხება აგრეთვე ვ. ბაბეს საქართველოს ეკონომიკური რუკა. მასალების უქონლობის გამო ვერ დგინდება ამ რუკასთან ივანე ჯავახიშვილის კავშირი, მაგრამ, ერთი მხრივ, მოცემულ პროცესებში ივანე ჯავახიშვილის ჩართულობა და, მეორე მხრივ, საქართველოს საზღვრების ივანე ჯავახიშვილისებურად გატარება, ამგვარი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს.

გამოფენას ასრულებს ე.წ. „ვერსტოკები“ (5-ვერსიანი – ძველ რუსულ მეტრულ სისტემაში შექმნილი) რუკების ფრაგმენტები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის პირად ფონდშია დაცული. მათზე მეცნიერის მუშაობის კვალია დარჩენილი. ეტყობა, მეცნიერი მათზე მუშაობდა – დაჰქონდა ტოპონიმები და საზღვრის კონტურები, რომლებსაც შემდეგ გამოსახაზავად კარტოგრაფს გადასცემდა.

გემოჩამოთვლილი რუკები ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და მათ დღესაც არ დაუკარგავთ სამეცნიერო მნიშვნელობა. ისინი ასახავენ მეცნიერის მსოფლმხედველობასა და პოზიციას საქართველოს პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და სხვა რეალობებზე საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპისათვის.

გამოფენა და წინამდებარე პუბლიკაცია მიზნად ისახავს გააცნოს მკითხველს დიდი მეცნიერის ხელდასხმით შექმნილი კარტოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებიც დღემდე სამეცნიერო მიმოქცევაში სისრულით არ ყოფილა ჩართული და სათანადოდ – არც შეფასებული. ისინი კი მრავალმხრივ არიან საინტერესო და თვალსაჩინო ხდის ივანე ჯავახიშვილის დიდი მემკვიდრეობის მრავალფეროვნებასა და სიღრმეს. ავტორები იმედოვნებენ, რომ წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს ამ მემკვიდრეობის უკეთ შესწავლასა და გააზრებას.

მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, შეცდომებისგან დაზღვეული არ ვართ. მითუმეტეს, თავად ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებსაც აქვს ხარვეზები, რომელთა შესახებ თავადვე ამბობდა: **„ჩემს ნაშრომებს არაერთი ნაკლი აქვს, ეს მე თვითონ სხვებზე უკეთესად ვიცი... მაგრამ თუ ვისმე უკეთესად შეეძლო მთელი ეს სამუშაო აესრულებინა, რატომ არ გააკეთა, მე ხომ არავისთვის დამიშლია?!“** ამიტომ ჩვენ დიდი მადლიერებით მივიღებთ თითოეულ საქმიან შენიშვნასა და წინადადებას.

P. S. საგამოფენო მასალები მთლიანად მოძიებული და დამუშავებულია **ივანე ჯავახიშვილის ცენტრის** მიერ.

ამ მასალების მიხედვით იგეგმება შესაბამისი ატლასის გამოცემა, რომელზედაც მუშაობენ:

1. **დავით სართანია** (ივანე ჯავახიშვილის ცენტრის ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი, თსუ მუზეუმის დირექტორის მოადგილე);
2. **დალი ნიკოლაიშვილი** (გეოგრაფიის დოქტორი, თსუ პროფესორი, თსუ კარტოგრაფია-გეომორფოლოგიის კათედრის გამგე);
3. **არჩილ კობრიძე** (ისტორიის დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქართველოს ისტორიული წყაროების კომისიის წევრი);
4. **გია ჩხიკვიშვილი** (ისტორიის დოქტორი);
5. **ავთანდილ უჭმაჭურიძე** (ისტორიკოსი);
6. **რევაზ თოლორდავა** (გეოგრაფიის დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, გეოდეზისტ-კარტოგრაფი);
7. **მამუკა ჭანტურაია** (ფილოლოგიის დოქტორი, თსუ მუზეუმის უფროსი სპეციალისტი);

8. **ნანა მჟავია** (თსუ გეოგრაფიის მუზეუმის მენეჯერი);
9. **ლალი კურდღელაშვილი** (თსუ გამომცემლობის სპეციალისტი);
10. **ზაზა გულაშვილი** (თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, გეოგრაფიის დეპარტამენტის დოქტორანტი);
11. **ჯემალ კურტანიძე** (თსუ მუზეუმის დოკუმენტალისტ-დიგიტალიზატორი).

ავტორ-შემდგენლები მადლობას მოახსენებენ:

1. საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ **გიორგი მარგველაშვილს**, მის ხელთ არსებული ერთ-ერთი რუკის (1913 წ.) ელექტრონული ასლის მოწოდებისათვის;
2. აკადემიკოს **მზექალა შანიძესა** და **თამარ ამირეჯიბს** მათ ოჯახში დაცული, ბატონ აკაკი შანიძის ნაქონი, რუკით სარგებლობისათვის;
3. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორს, ისტორიის დოქტორს **ზაალ აბაშიძეს**, გულისხმიერი თანადგომისათვის;
4. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების გამგეს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს **კობა ხარაძეს**, განეული კონსულტაციებისათვის;
5. საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომლებს – ისტორიის დოქტორს **ნათია მირიანაშვილს**, **ქეთევან კობიაშვილს**, **თამარ ბჟალავას**, ილია ჭავჭავაძის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტის განყოფილების თანამშრომლებს **მანანა სამაშვილს** და **ლიზა ცაავას**, თსუ მუზეუმის ქართული ემიგრაციის მუზეუმის უფროს სპეციალისტს **რუსუდან კობახიძეს** ჩვენთვის საჭირო რუკების მოძიებისა და ელექტრონული ვერსიების მოწოდებისათვის;
6. თსუ სტუდენტებს **მანანა კვეტენაძეს** რუკის (1922 წ.) ელექტრონული ვერსიის მოწოდებისათვის და **გვანცა ცინცაძეს** ტექსტის კორექტირებისათვის.



## ახალი საქართველოს სათავესთან

*„მე ისეთ პირობებში მარგუნა ბედმა მოღვაწეობის დაწყება, როდესაც საქართველოს ისტორიის არცერთი სამეცნიერო დარგი არ არსებობდა. მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, ეფ. თაყაიშვილისა და მ. ჯანაშვილის თითო-ორი ნაშრომის გარდა საქართველოს ისტორიაში თითქმის არაფერი იყო და ყველაფერი ერთ ადამიანს შეძლებისამებრ მალე უნდა გაეკეთებინა“, –* წერდა უსამართლო განცხადებისაგან გულნატკენი ივანე ჯავახიშვილი 1937 წ. პეტერბურგში მყოფ მეგობარს, ვარლამ ღონდუას.



ივანე ჯავახიშვილი

ჩამოთვლიდა რა ზემონახსენები პირების ნაშრომებს, ასკვნოდა, რომ „ეს იყო მაშინდელი მთელი ავლადიდება“ და იქვე აგრძელებდა: „მე საქართველოს ისტორია მაინტერესებდა. ამ დარგში კი არავინ მუშაობდა. ამიტომ უნდა მე თვითონვე მეცადნა გზის გაკაფვა: ისტორიის მეცნიერების რთული მეთოდოლოგია შემესწავლა, ტექსტების კრიტიკული განხილვაც მომეხერხებინა და მოპოვებული შედეგით ჩვენი ერის წარსული – უტყუარი და არა ზღაპრული – სურათის აღდგენა მეცადნა. ამიტომ – ოფიციალურად აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე ჩაწერილი – ყოველთვის, როცა დრო მქონდა, ისტორიულ-ფილოლოგიური და იურიდიული ფაკულტეტის ლექციებზე დავდიოდი და ვსწავლობდი. ისტორია მე ფართო გაგებით მითაცებდა და ჩემი მაშინდელი და ეხლანდელი რწმენითაც ისტორიკოსს საფუძვლიანი ფართო განათლება უნდა ჰქონდეს“...

ცნობილია, რომ უსამართლობით გულნატკენ კაცს ზომიერების დაცვა უძნელდება, მაგრამ ამჟამად ზემოთქმული სრული სიმართლეა. იმჟამინდელ საქართველოში სამეცნიერო ასპარეზზე ამგვარი სავალალო ვითარება იყო.

ეს კი საქართველოს ბედუკუღმართობით იყო გამოწვეული.

\* \* \*

1876 წლის 23 (11) აპრილს თბილისში, პედაგოგ ალექსანდრე ჯავახიშვილსა და სოფიო ვახვახიშვილს შეეძინათ ვაჟი, რომელსაც ივანე დაარქვეს. მან წარმატებით დაამთავრა გიმნაზია თბილისში და ჩაირიცხა სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე.

დიდი ნიჭის პატრონმა ბეჭითი შრომით, მართლაც, საუცხოო განათლება მიიღო და ნიკო მარის რეკომენდაციით უნივერსიტეტშივე დატოვეს. მალე იგი მივლინებულ იქნა ბერლინში პროფესორ ჰარნაკთან. ეს უკანასკნელიც მოიხიბლა ახალგაზრდა ივანეს განსწავლულობით და მას იქვე დარჩენა

სთხოვა. ივანე ჯავახიშვილმა ეს მომხიბლავი წინადადება უარყო, რადგანაც მას სხვა გეგმები ჰქონდა, რომელიც მის სამშობლოს უკავშირდებოდა.

შუა საუკუნეებში სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო ახლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა. მან თურქეთს გამოსტაცა ძირძველი ქართული ტერიტორიები, რაშიაც ქართველთა სისხლი ბლომად დაიღვარა. ქართველები საუკუნოვან მტერზე – თურქეთზე კი იძიებდა შურს, მაგრამ ახლა ამ მიწას მეორეს გადასცემდა და მის იმპერიას აფართოებდა. თუმცა დაქუცმაცებული და გაბნეული ქართული მიწები თანდათანობით ერთიანდებოდა, ხოლო რუსეთის იმპერია ამ მიწებზე გადამთიელებს ასახლებდა და თავის დასაყრდენ ძალას იმრავლებდა.

ქართველობა რუსეთის დიდმპყრობელურ პოლიტიკას არასდროს შეგუებია და მრავალჯერაც დაუპირისპირდა (1802, 1804, 1812, 1819-1820, 1832, 1841 და 1856-1857 წწ.). რუსებმა ქართველთა ეს წინააღმდეგობები სისხლში ჩაახშვეს, მაგრამ ბოლოს გარკვეული დათმობებზეც წავიდნენ. ძნელად, მაგრამ მაინც ქართველებს უფლება დართეს, დაეარსებინათ ქართული თეატრი, საჯარო ბიბლიოთეკა, მუზეუმი და ჟურნალი „ცისკარი“.

სამწუხაროდ, „ეს იყო მაშინდელი მთელი ავლადიდება“, სანამ 1860-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდოდნენ „თერგდალეულებად“ წოდებული ადამიანები. თერგდალეულები იყვნენ ილია, აკაკი, ივანე მაჩაბელი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ბესარიონ ლოღობერიძე, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვანი. რადგან ისინი რუსეთში სწავლის მისაღებად დარიალის ხეობით, მდ. თერგის გადალახვით მოხვდნენ, თერგის წყალი აქვთ ნასვამიო, ამბობდნენ.

**„არსაიღამ ხმა, არსით ძახილი!..  
მშომელი შობილს არრას მეტყოდა,  
ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი  
ქართველის ძილშია კვენესა ისმოდა!  
ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი  
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეაღერსება...  
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,  
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება“?!**

– ასე გამოხატავდა საერთო გულისტკივილს ილია 1859 წ. დანერილ ლექსში – „ელეგია“.

თერგდალეულებმა მოახერხეს ერის გამოღვიძება და გარკვეული დოზით – კონსოლიდაციაც. ეს იყო ერის ერთად დადგენის პროცესის ერთი უმთავრესი ეტაპი, რომელიც სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით განხორციელდა: ახალი ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემით, წერა-კითხვის ფართოდ გავრცელებით, სკოლების დაარსებით და სხვა. თეატრიც, სკოლებიც, ჟურნალ-გაზეთებაც ერის გათვითცნობიერებასა და გამოღვიძებას ემსახურებოდა. ისინი დროის შესაფერისად მოქმედებას ჩააგონებდა ერს.

ერმა მართლაც გამოიღვიძა და ამოძრავდა. ახლა უკვე ქართველი მშობლები შვილებს უმაღლესი განათლების მისაღებად მარტო რუსეთის უნივერსიტეტებში კი არ აგზავნიდნენ, არამედ ევროპის დანაწარმებულ ქვეყნებშიც. მაგრამ საქართველო, რომელიც რუსეთის ორ გუბერნიასა და რამდენიმე ოლქში იყო მოქცეული, ჩამორჩენილი იმპერიის ჩამორჩენილ კოლონიად რჩებოდა.

ახლა ამ ჩამორჩენილობის დაძლევა იყო საჭირო.

ამ ჩამორჩენილობას ყველაზე უკეთ ევროპასა და რუსეთში სასწავლებლად წასულები ხედავდნენ და ნუხდნენ.

ეს ნუხილი დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ერთ ადამიანს ამ მდგომარეობიდან **გამოსვლის გზა** არ ეპოვა.

ეს ადამიანი ივანე ჯავახიშვილი იყო, ხოლო მის ნაპოვნ გზას კი **მეცნიერება** ერქვა. მისი აზრით ერის ყოველდღიურ ცხოვრებაში მეცნიერება უნდა შესულიყო და მასვე დაფუძნებოდა. მისთვის უცხო იყო წარსულით თავმონონება და კარგად ახსოვდა ილიას სიტყვები:

**„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოლობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“...**

სწორედ მეცნიერება იყო ის „სხვა ვარსკვლავი“, რომლის მეშვეობით „ახალ ნერგზე, ახლად შობილი“ მამული – მისი დროის საქართველო – აღორძინდებოდა.

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში საქართველოში თითო-ორიოლა მეცნიერი იყო, რომლებიც საქართველოს წარსულს იკვლევდნენ და მეტი არაფერი. მეცნიერების ფუნდამენტური დარგები კი არც არსებობდა. ვასილ პეტრიაშვილმა, ოდესის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესიით ქიმიკოსმა, მოინდომა საქმშობლოში დაბრუნება, მაგრამ აქ მისთვის პატარა ლაბორატორიის შექმნაც შეუძლებელი აღმოჩნდა. საიმპერიო ხელისუფლება ყოველნაირად ბოჭავდა საღ აზრს და კერძო ინიციატივას. საქართველოში რუსეთის მიზანი იყო, არ განვითარებულიყო მეცნიერება.

1914 წელს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთში 1917 წლის რევოლუციის დაწყებას ხელი შეუწყო. ამ უკანასკნელმა კი რუსეთის იმპერიაში შემავალ ერებს ახალი ცხოვრების დაწყების იმედი გაუჩინა.

ივანე ჯავახიშვილმაც არ დააყოვნა და საქართველოში ჩამოვიდა, რომ დაეარსებინა სამეცნიერო და სასწავლო კერა ქართული უნივერსიტეტის სახით.

მაგრამ ეს სპონტანურად არ მომხდარა. ამისთვის იგი ხანგრძლივად ემზადებოდა.

**„ვინც მუდმივ და დაუცხრომლად თავის მიზნის გამხორციელებაზე არ ზრუნავს, ის, როცა საქმის აღსრულების დრო მოახლოვდება, შეიძლება პირლია დარჩეს“**, – ასე წერდა ივანე ჯავახიშვილი ერთ კერძო წერილში. მას ასე სწამდა და ამიტომაც ასე მოქმედებდა.

უნივერსიტეტის დაარსებისთვის შესაფერისი მომენტი დადგებოდა თუ არა, ვერავინ იტყოდა, მაგრამ მისთვის მზადება ხომ მაინც აუცილებელი იყო! რომც საამისო დრო არ დამდგარიყო, ცუდად ხომ არ ჩაივლიდა **„ეს განწირულის სულისკვეთება“**?

1907 წელს მან პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე. წრის წევრები ამუშავებდნენ თემებს მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან და შემდეგ მათ ქართულ ენაზე წერდნენ და კითხულობდნენ.

**„თითქმის სრულიად მარტივი და უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ ამ სამეცნიერო წრეში სტუდენტები რომ თავს იყრიდნენ, მსჯელობა წარმოებდა ქართულად“**. – ამბობდა მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილი, – **„მოხსენებები იწერებოდა ქართულად სხვადასხვა დარგიდან. კამათი, მსჯელობა ქართულად წარმოებდა და ვარჯიში დაიწყო, ენა გაიკვთა ახალგაზრდობამ და განუვითარა ქართული მეტყველების უნარი, რომელიც მანამდე არ ჰქონდა“**.

ამრიგად, ამ წრის ერთ-ერთი ამოცანა სწორედ კადრების მომზადება იყო, რომლებიც ქართულ ენაზე შეძლებდნენ მეტყველებას და წერას. მართლაც ამ წრის წევრები – იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია და სხვა მრავალი – მომავალში გამოჩენილი მეცნიერები გახდნენ.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, **„ქართული კულტურის ცოდნა მოგვცემდა საშუალებას იმ ძველი მარაგის გამოსაყენებლად, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო, თუ გნებავთ, აღმდგარიყო მკვდრეთით ძველი ქართული მეცნიერება – ოდესღაც მდიდარი, მაგრამ შემდეგ დაკნინებული“**.

წრის წევრები ადგენდნენ სამეცნიერო ბიბლიოგრაფიასაც და აგროვებდნენ მასალებს სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის. მათ გარეშე კი ხომ შეუძლებელი იქნებოდა ქართულ ენაზე რომელიმე სამეცნიერო დარგის განვითარება?! ამ წრეზე შედგა საგანგებო ანკეტაც, რომელიც დაიგზავნა რუსეთისა და ეროპის სხვადასხვა ქალაქში. გამოკითხვამ აჩვენა, რომ თუ საქართველოში უნივერსიტეტი დაარსდებოდა, მას არც სტუდენტები მოაკლდებოდა და არც ქართველი პროფესორები.

ჰოდა მაშინ, როცა 1917 წლის თებერვალში რუსეთში რევოლუცია მოხდა და მის შემადგენლობაში მყოფ ხალხებს თავისუფალი განვითარების იმედი მიეცა. როგორც ვთქვით, ივანე ჯავახიშვილი დაბრუნდა სამშობლოში და ენერგიულად შეუდგა თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსებას.

**„არც ერთ ეროვნებას და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზე დამოკიდებული“**.

ეს სიტყვები ივანე ჯავახიშვილმა 1917 წლის 12 მაისს წარმოთქვა.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართველი ერის **„შეუჩერებელი კულტურული ზრდა“** რომ გარანტირებული ყოფილიყო საჭირო იყო **„შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება“**.



ცოტა უფრო ადრე, კერძოდ, 1904 წელს კი ივანე ჭავჭავაძის შვილი წერდა: *„ქართულ ენასა და მწერლობას მაშინ გაუმავრდებდა ნიადაგი, თუ ჩვენი ახალი თაობა პატივცემულ პრ[ოფესორს] ვ[ასილ] პეტრიაშვილს მიბაძავდა გულწრფელად და თავგანწირულად ეცდებოდა ქართული, სამეცნიერო (ყველა დარგისა) თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერისი მწერლობა შექმნას, – რომ მწერლობას მართლა ძალა ჰქონდეს ცხოვრებაში და ჩვენი საზოგადოებრივი და ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი გახდეს“ ...*

ვასილ პეტრიაშვილი, ოდესის უნივერსიტეტის რექტორი, ქიმიკოსი, თავის შრომებს ქართულად წერდა, რაც სანიმუშო მაგალითად ესახებოდა ივანე ჭავჭავაძის.

ამდენად, აქაც იგივე აზრია გატარებული: უნდა ვეცადოთ *„ქართული, სამეცნიერო (ყველა დარგისა) თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერისი მწერლობა“ შევქმნათ, რომ იგი „ჩვენი საზოგადოებრივი და ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი გახდეს“...*



თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია,  
შემდგენი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი

ამიტომაც ამბობდა ასე კატეგორიულად ივანე ჭავჭავაძის შვილი 1917 წელს თავის მოხსენებაში: *„თუ ჩვენ გვინდა, რომ ამ ჩვენს აღორძინებას მტკიცე საძირკველი ჰქონდეს, ფესვები მაგრად გაიდგას და უხვად გაიფურჩქნოს, უნდა დაუყოვნებლივ ჩვენს თანამედროვე ვითარებას ჩავუკვირდეთ და საქმის შესატყვისი სამოქმედო გეგმა შევიმუშავოთ, რომლის განსახორციელებლად არაფერი უნდა დავზოგოთ და არავითარ დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევდრკეთ“. „როგორ უნდა განვითარდეს ჩვენში თუნდ ქვამადნის დამუშავება, როდესაც ნივთიერების შემადგენლობის გამოკვლევა ადგილობრივ არავის შეუძლია და ნიმუშები ანალიზისთვის ან რუსეთს, ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში გაიგზავნოს ხოლმე“, – კითხულობდა ივანე ჭავჭავაძის შვილი და თავადვე პასუხობდა: *„თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გავუმავროთ, მთელი ჩვენი ძალღონით ქართულ მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყეთ“.* ცოტა მოგვიანებით, 1924 წელს მეცნიერების მნიშვნელობაზე თავის აზრს მთავრობისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ მოხსენებაში ასე გამოთქვამდა: *„თანამედროვე ცხოვრება ყველა თავისი კულტურული და ეკონომიური მხარეებით, მის წარმატებული დაწინაურება ყოველსავე სფეროში მეცნიერების წარმატებასთან არის უმჭრიდროესად დაკავშირებული. სამეცნიერო, წმინდა თეორიული აღმოჩენა უმაღლეს პრაქტიკულ ცხოვრებისათვისაც არის ხოლმე გამოყენებული. ხშირად კი აღმომჩენისთვისაც კი მოულოდნელს ცხოვრების ძირითად ცვლილებებს იწვევს. გერმანელ ქიმიკოსების მიღწეულობა ბრწყინვალე შედეგი გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობის უაღრესი დაწინაურებისა და სწრაფი აყვავებისათვის საკმაოდ არის ცნობილი, რომ ამაზე დიდ ხანს ლაპარაკი საჭირო იყოს. მარტო ანილინის საღებავის აღმოჩენით გერმანულმა მეცნიერებამ თავის ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობას მანამდე უძლეველი ინგლისის უბ-**

*რძოლველად დამარცხება შეაძლებინა. ჩვენი პატარა, ბუნებით უხვად დაჯილდოებული, მაგრამ კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა რასაკვირველია სხვებზე მეტად არის ვალდებული მეცნიერების წინამძღოლობასა და გზისგამკვლევლობას ანგარიში გაუწიოს, რომ სხვებს დაენიოს და კაცობრიობის დაწინაურებაშიც თავისი პირადი წვლილი შეიტანოს“.*



ივანე ჯავახიშვილი პროფესორებთან (ალექსანდრე წერეთელი, გიგო ნათაძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე) და სტუდენტებთან ერთად

დავაკვირდეთ: ჯერ იყო და 1904 წ. ივანე ჯავახიშვილი ამბობდა, თუ გვინდა ქართველი ერი განვითარდეს, მაშინ მეცნიერება **„საზოგადოებრივი და ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი“** უნდა გახდეს. შემდეგ, 1917 წ. ამტკიცებდა, რომ **„ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული“**, ახლა კი (1924 წ.) მოითხოვდა, ყველამ უნდა **მეცნიერების წინამძღოლობასა და გზისგამკვლევლობას ანგარიში გაუწიოს**.

აქედან მხოლოდ ერთ დასკვნას ვღებულობთ: ივანე ჯავახიშვილის მტკიცე რწმენაა, რომ ქართველობას ჩამორჩენილობის დაძლევა მხოლოდ მეცნიერების საფუძველზე შეუძლია. ამიტომ მის ყველა მოქმედებას – პრაქტიკულ ნაბიჯებს თუ თეორიულ სამეცნიერო მუშაობას – სწორედ ეს რწმენა წარმართავს. საქართველოში ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებასაც ეს მიზანი ჰქონდა.

ამდენად, ქართველი ერის აღორძინებისათვის ქართული უნივერსიტეტი მხოლოდ საშუალება იყო და არა მიზანი.

ივანე ჯავახიშვილის დაუცხრომელი შრომით, 1917 წლის 2 დეკემბერს მთელს ყოფილ რუსეთის იმპერიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი თბილისში იურიდიულად დაარსდა და 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს), წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, საზეიმოდ გაიხსნა.

უნივერსიტეტის დაარსების მერვეც თავდაუზოგავად მუშაობდა ივანე ჯავახიშვილი, რომ ქართული მეცნიერება მალე დამდგარიყო ფეხზე და მას ერისთვის სარგებლობა მოეტანა. ამის შესახებ ზემოხსენებულ მთავრობისადმი გაგზავნილ მოხსენებაში შემდეგს წერდა: **„თითოეულ მთავარ მიღწეულობის ჩამოთვლით რომ თავი არ მოგაბეზროთ, შემოძლიან მოკლედ მოგახსენოთ, რომ უნივერ-**



**სიტუაციის ყოველი ფაქტორი თავის სფეროში დიდ მუშაობას აწარმოებს, რომელიც გარეშე საზოგადოებისთვის ამჟამად უმეტეს ნაწილად ჯერ უჩინარია, მაგრამ რომლის ჩვენი ერის წარმატებისათვის უაღრესი მნიშვნელობა უახლოეს დროს ყველასათვის ცხადი და უცილობელი შეიქმნება“.**

დღეს მართლაც ნათელია ეს შედეგი, რომლის შესახებ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: თუ რამ წარმატება აქვს დღეს ქართველ ერს თავისი ეროვნული მეობის დაცვისა და განმტკიცების მიმართულებით და სოციალ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისითაც, ეს, უპირველეს ყოვლისა, ამ ქართული უნივერსიტეტის დამსახურებაა!

ივანე ჯავახიშვილის ღვაწლის ეს სიდიადე ყველაზე უკეთ პეტრე მელიქიშვილმა გამოხატა: **„ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოყება და შეეზიარება“.**

მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში მოღვაწე ქართველი მეცნიერები იქაც არანაკლებ გამოიჩინდნენ თავს, მაგრამ მათ საქართველოში ჩამოსვლით ქართულ ენაზე აამეტყველეს მეცნიერება და მისი ნაყოფი, პირველ რიგში, თავიანთ ერს არგუნეს და საქართველოც ასახელეს. მათგან მცირედი ნაწილის ჩამოთვლაც საკმარისია: დიმიტრი უზნაძე, ანდრია რაზმაძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, გრიგოლ წერეთელი... ამ უნივერსიტეტმა აღზარდა: სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, გიორგი წერეთელი, ევგენი ხარაძე, ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრაძე...

ეს ყველაფერი ზოგადი მსჯელობაა და სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენებში (საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვება და სახელწიფოებრივი აღმშენებლობაში მონაწილეობა) შეტანილი წვლილზე არაფერი გვითქვამს. შევვხვით მხოლოდ მეცნიერებაში უშუალოდ მის მიერ გავლენულ კვალს.

ქართველ ერს, რომელსაც ორიგინალური მწერლობის ნიმუში V საუკუნიდან მოეპოვება, არაერთი გამოჩენილი ისტორიკოსი ჰყავს: – ჯუანშერი, ლეონტი მროველი, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის უსახელო ისტორიკოსები, ჟამთააღმწერელი, ვახუშტი ბატონიშვილი და სხვები. მაგრამ, როგორც ივანე ჯავახიშვილის ზემოთ მოყვანილი წერილშია ნათქვამი, საქართველოს ისტორიაში იმ დროის კვალობაზე განსწავლული და მხოლოდ მეცნიერებით დაკავებული ისტორიკოსი არ გვყოლია. ამის შესახებ XX საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნება, ისტორიკოსი ექვთიმე თაყაიშვილიც მიუთითებდა. მან ივანე ჯავახიშვილს შესთავაზა პეტერბურგიდან საქართველოში გადმოსვლა, რათა მის მიერ დაფუძნებულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჩასდგომოდა სათავეში. იმდენად დიდი იყო ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტი, რომ ექვთიმე თაყაიშვილი თავის პირმშოს დიდსულოვნად ანდობდა მას. ამ ამბის გახსენებისას ექვთიმე შენიშნავს: ვინც საქართველოში **„ვემუშობდით, უფრო მოყვარულნი ვიყავით სამეცნიერო შრომისა, ვიდრე სპეციალისტები, და ამასთან ყელამდის დატვირთულნი ჩვენი საქმეებით“.**


ეს იყო 1913 წელს და ივანე ჯავახიშვილი მაშინ ყოყმანობდა, რადგანაც თბილისში საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის შოვნა ძნელი იყო და, სამეცნიერო ცენტრს მონყვეტილს იქნებ იმედები გაცრუვებოდა. მაგრამ რამდენიმე წლის მერე, ვითარება კარდინალურად შეიცვალა: თბილისში უნივერსიტეტის დაარსება რეალური გახდა, მისი მოწაფეები და სხვა დარგის მეცნიერებები მზად იყვნენ, მიეტოვებინათ თავიანთი უნივერსიტეტები რუსეთში და მას გამოჰყოლოდნენ საქართველოში. ამასთან, თბილისში მათ დახვდათ გამოჩენილი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი.

მიუხედავად ორგანიზაციული საქმეებით დიდი დატვირთულობისა, ივანე ჯავახიშვილმა თბილისში გადმოსვლის მერე გამოაქვეყნა არაერთი პირველხარისხიანი ნაშრომი. მათ არა თუ დახასიათებას, არამედ ჩამოთვლასაც გვერდზე გადავდებთ და მოკლედ მოვჭერთ:

ივანე ჯავახიშვილმა **შექმნა ახალი ქართული საისტორიო მეცნიერება** და ამ მეცნიერების არაერთი დარგიც დააფუძნა. ესენია: პალეოგრაფია, ნუმისმატიკა, მეტროლოგია, დიპლომატიკა. იგი წარმატებით მუშაობდა ლინგვისტიკაში, არქეოლოგიაში, ეთნოლოგიაში, საისტორიო გეოგრაფიაში, ეკონომიკის, სამართლის, მუსიკისა და კულტურის ისტორიაში და სხვა.



სამეცნიერო მოღვაწეობა



\* დაგეგმილი შრომები, რომელთა დანერგა ვერ მოასწრო

# მეცნიერება

## საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა

### გიმნაზია

- ტფილისის III გიმნაზიის მოწაფე (1885-1888)
- ტფილისის I გიმნაზიის მოწაფე (1888-1895)

### სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი

- სტუდენტი (1895-1899)
- მაგისტრი (1907)
- პრივატ-დოცენტი (1903-1917)
- ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი (1907-1916)
- დოცენტი (1917-1918)

### ბერლინის საიმპერატორო უნივერსიტეტი

- მივილინება (1901)

### საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება

- წევრი (1907-1921)
- თავმჯდომარე (1922-1927)

### ქართული უნივერსიტეტი ტფილისში – ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- დამაარსებელი (1907-1918)
- სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი (1918-1919)
- რექტორი (1919-1926)
- საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე (1933-1935)

### საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

- განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე (1920-1921)
- დამფუძნებელი კრების კანდიდატი (1919)
- პარიზის სამშვიდობო კონფერენციის საქართველოს დელეგაციის წევრი (1919)

### საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატი

- საზღვრების გამმიჯნავი კომისიის წევრი (1921)

### საბჭოთა საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატი

- საქართველოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1922-1925)

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო

- დეპუტატი (1938-1940)
- პრეზიდიუმის წევრი (1938-1940)

### საველე-საეფსპედიციური საქმიანობა

- მცხეთისა და დმანისის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი (1933-1940)
- შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის მასალების შვგროვების ხელმძღვანელი (1935)

### საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

- მეცნიერ-კონსულტანტი (1931-1936)
- ისტორიის განყოფილების გამგე (1936)

### შოთა რუსთაველის ეპოქის მუზეუმი

- დირექტორი (1937-1940)

### ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტი

- განყოფილების გამგე (1934-1936)

### აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი

- მეცნიერ-კონსულტანტი (1936)


### საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

- წევრი (1939-1940)

ამდენად, მიუხედავად ასეთი მრავალმხრივი სამეცნიერო შემოქმედებისა, იგი როგორც მეცნიერი, ძირითადად ისტორიკოსია. მაგრამ წარსულის გაშუქება არ ყოფილა მისთვის მხოლოდ შემეცნების სფერო, რომ გაეგო როდის რა როგორ იყო და ყველაფერი ეს მკითხველისათვის გაეზიარებინა. **იგი ამ წარსულის გაშუქებით ერის სამომავლო მოქმედების არეს შემოფარგლავდა.** თუმცა ამის შესახებ ერთი სიტყვაც არსად უთქვამს.

როცა ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში ილია ჭავჭავაძის ღვაწლს განიხილავდა, მიუთითებდა რომ **„ჩვენს დაუვინყარს მოამავგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა“.**

მაგრამ ამ კრიტიკულად და პირუთვნელად დადგენილ ისტორიასაც ხომ უნდა ჰქონოდა თავისი საზრისი? ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, **„ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეინახოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, გამოირკვიოს, რა და რა პირობებსა და მიზეზებზე იყო**



**დამოკიდებული სახელმწიფო, მისი საზოგადოებრივი და მწეობრივ-გონებრივი განვითარება თუ წარმატების მიმდინარეობა. ის მეცნიერი, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად აასრულებს, ის, უჭველია, იმავე დროს ქართველ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ, რომ ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“.**

აქედან გამომდინარეობს ქართველი მოღვაწის მოვალეობა, რომელიც, ივანე ჯავახიშვილის აზრით, შემდეგში მდგომარეობს:

**„ქართველმა ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, პირუთვნელადვე უნდა წარუდგინოს თავის სამშობლოს წარსული თანამემამულეებსა და უცხოელებსაც, რადგან მას არ უნდა დაავინყდეს რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწყობში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული არას უშველის: განა ეგვიპტელებსა**

**და ასურელებზე კაცობრიობის წარმატების წინაშე მეტი ღვაწლი მიუძღვის კიდევ ვინმეს, განა სპარსელებს ნიჭი აკლდათ, განა იმათი ბრწყინვალე წარსული მსოფლიო ისტორიისათვის უმნიშვნელო იყო, რომ ახლა შესაბრალის მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი?“**

ამ რიტორიკულ კითხვას ივანე ჯავახიშვილის ოპტიმისტური დასკვნა მოსდევს: **„თუნდაც ჩვენი წარსული მართლა არაფერს საყურადღებოს არ წარმოადგენდეს, განა არ შეიძლება ჩვენც ბრწყინვალე საკულტურო მერმისის იმედი გვექონდეს, თუ კი ყოველ ძალღონეს მოვიკრებთ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრების გასაუმჯობესებლად? თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვექონდა, ამას დამალვა კი არა, გამომუღავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს“.**

სწორედ ამის გამო მოჰკვიდა მან ხელი, ერთი მხრივ, საერთოდ ქართული მეცნიერების დაფუძნების საქმეს და, მეორე მხრივ, თავად ასე ვრცლად შეუდგა თავისი ერის წარსულის გამოკვლევას. ამ კვლევით უნდა დადგენილიყო ქართველი ერის განვითარების შემდეგი გზა ანუ რასაც ილია ღვალადებდა: **„შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა. შვილს უნდა გამოირკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო**



**შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი – ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჩებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა“.**

ამ ყველაფრის ამოხსნა ადვილი არ იყო, რადგანაც მეცნიერების რომელიმე ერთი დარგის მიღწევები საკმარისი არ იქნებოდა. მხოლოდ მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარების შედეგად გახდებოდა საცნაური ყოველი ზემოთმოცემული საკითხი. მეცნიერების სხვადასხვა დარგს თავ-თავისად უნდა გამოეკვეთა არსებული ფუნდამენტიც და მომავლის პერსპექტივებიც, ხოლო შემდეგ მიღებული შედეგების ერთიანობით ასაშენებელი მომავლის კონტურებიც მოიხაზებოდა და აშენებაც გაადვილდებოდა.

ამიტომაც შექმნა ივანე ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტი.

ამიტომაც არ დაელოდა სხვადასხვა მეცნიერების განვითარებას და, ისტორიის გარდა, თავადვე მოჰკიდა ხელი მათ დაფუძნებასა და გამოყენებას.

ერთ-ერთი მათგანი ისტორიული გეოგრაფია იყო.

როცა ივანე ჯავახიშვილი მკითხველს თავის შრომებში წარსულის პერიპეტიებს მოუთხრობდა, შენიშნავდა: **„ვისაც ჰსურს მომხდარი ამბების მნიშვნელობა და ქართველთა ცხოვრების განვითარების მიმდინარეობა ნათლად წარმოიდგინოს, მას ჯერ საქართველოს იმდროინდელი გეოგრაფია შესწავლილი უნდა ჰქონდეს“.**

აქ ასე ძუნწადაა ნათქვამი, მაგრამ მგონი გასაგებად: მკითხველს კარგად უნდა გაეცნობიერებინა ის სივრცე, სადაც მის წინაპარს უშრომია თუ სისხლი უღვრია. ამით ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მას არა მარტო ის უნდა სცოდნოდა **„სად და რაზედ გაჩერდა მამა“**, არამედ ისიც, კვლავაც სად და როგორ უნდა ეღვარა ეს ოფლი თუ სისხლი.

თუ არა ეს აზრი, სხვათაგან გაუგებარი იქნება თუ რატომ მოჰკიდა მან საქართველოს ზოგად გეოგრაფიული რუკის შედგენას ხელი? ასეთი რუკა ხომ მისი ხელმძღვანელობით 1922 წ. გამოიცა? მადლობა ღმერთს, იმხანად გეოგრაფიული მეცნიერების განვითარება წარმატებით მიმდინარეობდა ანდრია ბენაშვილის, ალექსანდრე ჯავახიშვილის, გიორგი გეხტმანის თუ სხვათა მიერ.

ამ აზრს კიდევ უფრო აძლიერებს ივანე ჯავახიშვილის მიერ 1930 და 1934 წწ. გამოცემული „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ორტომეული, რომლის პირველ ტომს დართული აქვს „საქართველოს აგრონომიული არეების რუკა, შედგენილი ძველი წყაროების მიხედვით“.

აქ ცოტა შევყოვნდეთ, რომ ისევ დავუბრუნდეთ ამ საკითხს.

მას კიდევ აქვს სხვა რუკები შედგენილი.

1913 წელს გამოდის მისი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი და 1914 წელს მეორე ტომი. ამ წიგნს დართული აქვს VII-XIII სს. საქართველოს რუკა. იგი სქემატურია და მხოლოდ საისტორიო დანიშნულებისაა, მაგრამ უკვე 1923 წ. გამოცემული საისტორიო რუკა დახუნძლულია უამრავი საისტორიო ფაქტითა და მოვლენით. ეტყობა მეცნიერმა ერთბაშად მოინდომა ყველა მასალის ერთმანეთთან სიმბიოზში თავმოყრა და რუკის სახით თვალსაჩინოდ წარმოჩენა. თუ ასეა, მაშინ ამით გამოწვეული ნაკლოვანებები მისატყვებელია.

გარდა ამისა, 1919 წელს, როცა პირველი მსოფლიო ომის დამთავრების მერე მსოფლიოს ახალი გადანაწილება მიმდინარეობდა, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგატთა შორის ივანე ჯავახიშვილიც უნდა ყოფილიყო. თუმცა ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ მან ამ წელს გამოსცა წიგნი **„საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“**. ამ წიგნთან ერთად მან შექმნა სათანადო რუკაც.

თუ ზემოთ მოცემულ აქცენტებს გავიხსენებთ, ამ წიგნის სათაურიც თვალში უნდა გვეცეს. იგი გვამცნობს, რომ საქართველოს საზღვრები განხილული მაქვსო, როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე თვალსაზრისითო. რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვათშეთანხმება **„თანამედროვე თვალსაზრისით“**??

ამის შესახებ თავადვე გვიყვება: **„საქართველოს საზღვრების საბოლოო მოხაზულობის გამორკვევის დროს ქართველ ერსა და მის მთავრობას შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იხელმძღვანელოს... სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მას გარეშე**



**მტრის შემოსევისაგან თავდაცვის საშუალება ჰქონდეს და მისი მყუდრო სამოქალაქო ცხოვრება უზრუნველყოფილი იყოს“.**

ივანე ჯავახიშვილის აზრით კი, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი სხვადასხვა ფაქტორების კომპლექსურობაში მდგომარეობს. **„ქვემოთყოფილს მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული სამზღვრები, ისე როგორც თვით იგი ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრეთვე გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა“.**

ახლა დავბრუნდეთ იქ, სადაც შევყოვნდით.

თითოეული ეს რუკა სხვადასხვა ხასიათისა და დანიშნულებისაა, მაგრამ მათში მეტად ნიშანდობლივია საქართველოს სახელმწიფო საზღვრების საკითხი. ამ რუკებზე ეს საზღვარი ყოველთვის ერთგვაროვნად არაა გატარებული, მაგრამ ძირითადი ტერიტორია მაინც უცვლელი ჩანს. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ივანე ჯავახიშვილს მოხაზული აქვს მხოლოდ ის სივრცე, რომელშიც ჩამოყალიბდა ქართველი ერი და შექმნა თავისი ყოფა და კულტურა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილი გვიდასტურებს და მოხაზავს იმ არეალს, რომელშიაც, მისი აზრით, **შექმნა თავისი თავი ქართველმა ერმა.**

ივანე ჯავახიშვილისთვის საქართველოს მოსახლეობის სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობა, სამართლებრივ-პოლიტიკური კულტურა თუ სხვა რამ ცალკე, განყენებული, თემები არ არის, არამედ ერთი ორგანული მთელის ცალკეული ნაწილია. ამიტომ ყველა ეს საკითხი ერთ პრიზმაში გარდატყდება და ერთ ამოცანისაკენ მიიმართება – „სად და რაზედ გაჩერდა მამა“.

აი, აქ მჟღავნდება ივანე ჯავახიშვილის ადრეულ ასაკში დასახული მიზნის მასშტაბიც და არსიც: **წარსულის გამოცდილებაზე დაფუძნებით მყოობადის გაუმჯობესება და აწმყოსათვის ზრუნვა.** აი, ასე ესმის მას ისტორია: **ცალკეული დეტალების გამოკვლევით უზოგადეს კანონზომიერებაზე მისვლა.** მისთვის მთავარი ის კი არ იყო დაედგინა, თუ როდის გარდაიცვალა მეფე თამარი, ან როგორ იმოსებოდნენ ქართველები წარსულში ან კიდევ როდის ითესებოდა საქართველოში ფეტვი და ბამბა, არამედ **რაში მდგომარეობდა** გარემო პირობებზე დაფუძნებული სამეურნეო-ეკონომიკური ფაქტორებით და სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-იდეოლოგიური ასპექტებით შექმნილი ერთობის – **ქართველი – ერის** და ინსტიტუტის – **ქართული სახელმწიფოს** – ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვლები.

მან, როცა თავისი გადამუშავებული „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ 1930 წელს გამოსცა, მასში უკვე საზღვრების შესახებ 1919 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია მოიხსენია და დაწერა: **„საქართველოს საზღვრების ისტორიულ-ეკონომიურ მიმოხილვაში უკვე ამ თერთმეტი წლის წინათ აღნიშნული მქონდა, რომ საქართველოს მიწა-წყალი „მთლიან ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივი ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიურად ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული“.**

სანამ ამ ციტატას მოიყვანდა, მან საგანგებო კვლევა ჩაატარა და დაახლოებით 200 გვერდზე გადმოსცა საქართველოს აგრო-ბოტანიკური დახასიათება. ამის საფუძველზე, – ამბობს მეცნიერი – **„საქართველოს მიწა-წყლის სასოფლო-სამეურნეო არეების დანვრილებით და ზოგადი დახასიათების შემდგომ, ეხლა აგრონომიული და ეკონომიური ფაქტორების ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრიობისათვის უაღრესი მნიშვნელობის განსაზღვრა წინანდელზე უფრო ვრცელადაც და არსებითადაც შეგვიძლია“.**

დავაკვირდეთ და გავაცნობიეროთ:

ივანე ჯავახიშვილი ამბობს, ახალი კვლევა-ძიების შედეგად წინანდელზე უკეთ **„აგრონომიული და ეკონომიური ფაქტორების“** მნიშვნელობაზე საუბარი და ამით **„ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრიობისათვის უაღრესი მნიშვნელობის განსაზღვრა“** შეგვიძლიაო.

ამით, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების განსაზღვრის გარდა, ისიცაა ნათქვამი, რომ სახელმწიფოებრიობა არაა მხოლოდ პოლიტიკურ-სამართლებრივ ჩარჩოში ჩატეული ფენომენი. სახელმწიფოებრიობა სამეურნეო მოღვაწეობის სფეროსაც ითვალისწინებს. უფრო სწორად, არ არსებობს სახელმწიფოებრიობა ასეთი მოღვაწეობის გარეშე.

ეს სტრიქონები დაწერილია 1930 წელს, როცა საქართველო ე.წ. სსრკ-ში შედიოდა და მისი სახელმწიფოებრიობა ფიქცია იყო. მაგრამ ეს ფიქციაც აძლევდა მას საშუალებას ასე დაეწერა, რამეთუ ყოველი მოღვაწე ვალდებულია მომავლისკენ იხედებოდეს.

ივანე ჯავახიშვილის კვლევით, საქართველო ძირითადად განფენილია სამი მდინარის მტკვრის, ჭოროხისა და რიონის აუზებში. ეს სივრცე კი ბუნებრივი პირობებით მრავალფეროვანია და ძალიან განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ამიტომაც ჩვენში არსებული ურთიერთგანსხვავებული აგრობოტანიკური ვითარებაც ამ ბუნებრივ პირობებზეა დამყარებული. შესაბამისად, განსხვავებულია და მრავალფეროვანი აქ მცხოვრებ ქართველების ყოფა. მიუხედავად ამ განსახვავებულობისა და მრავალფეროვნებისა, ქართველი ხალხი ერთი ერია და საქართველოც ერთი მთლიანი კულტურული და პოლიტიკური სხეულია.

**„საკმარისია ადამიანმა არეების ზემოთმოყვანილი მიმოხილვა გადაიკითხოს და აქ დართულ რუკაში ჩაიხედოს, – წერს ივანე ჯავახიშვილი, – რომ დარწმუნდეს, რომ თურინჯ-ნარინჯისა და ბრინჯბამბის არეები საქართველოს მხოლოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კიდეებზე მოეპოვება. მთელი დანარჩენი ტერიტორია ორ მთავარ დიდს, ვენახ-ხილიანსა და უვენახ-ხილო არეს უკავია. ამასთანავე დამახასიათებელია, რომ ვენახ-ხილიანი არეს ზოლი შუაშია მოქცეული, აქეთ-იქით-კი, ჩრდილოეთითა და სამხრეთით, ვენახ-ხილიან ზოლს ჯერ უვენახო, მერმე უვენახ-ხილო და შემდეგ ალპური საძოვრების არე აკრავს. ოდენობით ეს უკანასკნელი, უვენახ-ხილო და ალპური, ზოლი ვენახ-ხილიან არეს საგრძნობლად სჭარბობს.**

**უვენახ-ხილო არე ბუნებრივი პირობების წყალობით ერთის მხრით ხორბლეულისა და ქრთილეულის კულტურისათვის იყო განკუთვნილი, მეორეს მხრით, ვრცელი, საუცხოო, საზაფხულო საძოვრების დიდი სიუხვის გამო, ამასთანავე მრავალრიცხოვანი მესაქონლეებისათვის იყო გამოსადეგი. აღსანიშნავია, რომ საზაფხულო საძოვრების სიუხვე და სივრცე უმთავრესად საქართველოს სამხრეთ ნაწილში მოიპოვება, ჩრდილოეთით მდებარე საზაფხულო საძოვრებს-კი, საქართველოს ამ საზღვრებში მიწისა და ფართო ვაკე ადგილების სიმცირის გამო, შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს“.**

ეს არის ფაქტობრივი ვითარების ანალიზით მიღებული დასკვნა, რომელიც შემდეგ მეცნიერს მსჯელობის კიდეც უფრო ფართოდ გაშლის საშუალებას აძლევს.

ცნობილია რომ ივანე ჯავახიშვილმა თავის „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნი 1908 წელს გამოაქვეყნა. იგი მან შემდეგ ორჯერ გადამუშავებული და გავრცობილი სახით გამოსცა 1913 და 1928 წლებში. სამივე ეს გამოცემა ერთმანეთისაგან ისე განსხვავდება, რომ ფაქტობრივად ახალი ნაშრომებია. პირველ ვარიანტში მეცნიერი იმ აზრს ავითარებდა, რომ ქართველი ერის წინაპრები უფრო სამხრეთით ცხოვრობდნენ, ვიდრე დღეს და მოგვიანებით გადმოინაცვლეს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე. მომდევნო გამოცემებში ეს დებულება რამდენადმე შეკვეცილ-შერბილებულია. თუმცა ავტორს ეს შეხედულება არ შეუცვლია და ეს 1930 წ. დაბეჭდილი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ I ტომითაც მტკიცდება. აქ ვკითხულობთ:

**„თავიანთი წინანდელი სამშობლოთაგან ამიერ-კავკასიაში გადმოსახლებულ ქართველთა ტომებს თან მაღალხარისხოვანი მიწისმოქმედებისა და ინტენსიური მესაქონლეობის კულტურა მოჰქონდათ: მეღვინეობითა და მესაქონლეობით განთქმულნი იყვნენ ტუბალებისა და მოსოხთა ტომები ისევე, როგორც ვასკ-კოლხების ტომებიც. ამიერ-კავკასიაში მათ მიწა-წყლისა და ბუნების სრულებით სხვა პირობები დაჰხვდათ: მთა-გორიანობისა და ბარის გასაოცარი კონტრასტები, სითბო-სიცივის არეების სიახლოვე და სხვა ბევრი გარემოებაც ახალმოსულ ქართველებისთვის მათი წინანდელი სამშობლო სიახლოვეს ვიდრე მათი წინანდელი სამშობლო უნდა ყოფილიყო“.**

თუ რა პირობები დახვდათ აქ, უკვე დაახასიათა მეცნიერმა და ჩვენც ზემოთ წარმოვადგინეთ. ახლა საინტერესოა იმ ანალიზის მოსმენა, თუ როგორ იმოქმედა ამ განსხვავებულობამ ერზე. ივანე ჯავახიშვილი არ წერს, მაგრამ მისი ვრცელი მსჯელობიდან ის აზრი ნათლად გამოსჭვივის, რომ ამ განსხვავებულ ბუნებრივ პირობებში მოხვედრილი ქართველური ტომები (ტუბალები, მოსოხები, კოლხები) ადვილად ადაპტირდებიან მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე და ამ განსხვავებულმა პირობებმა მათ დაშლა-დაცალკავებას კი არ შეწყო ხელი, არამედ პირიქით კონსოლიდაციას.

**„ასეთი განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების წყალობით ყოველ თემს ყველაფერი, რაც მის მცხოვრებლებს სჭირდებოდათ, არც ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა. მთა ადგილების მკვიდრთ თავიანთი საკუთარი არც ღვინო და არც ხილი არ შეიძლება ჰქონოდათ, ბარელებს თავის მხრით, რასაკვირველია, ხორბლეულისა და ქრთილეულის ის სიუხვე უნდა შეჰპურებოდათ, რომელიც საქართველოს მაღლობ თემებს გააჩნდათ“.**

აქედან კი შემდეგი დასკვნა კეთდება:

**„ამრიგად, ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოთ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი, ეკონომიურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან ისევე, როგორც წინაუკმოდ მთა ბართან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მაღლობით თემების ყველა, მიმოსვლისა და აღებმცემობის, გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიიმართებოდა“.**

სხვათა შორის, ეს გარემოება შემდგომმა ეთნოლოგიურმა კვლევებმა უფრო თვალნათელი გახადა. თუ ივანე ჯავახიშვილი საქართველოს მთელ ტერიტორიას მთად და ბარად განიხილავდა, მომდევნო კვლევებით დადგინდა, რომ მათ შორის იყო გარდამავალი ზოლიც, რომელიც ზეგანს წარმოადგენდა და აქ ერთად იყრიდა თავს ბარისა და მთის ინტერესები. ეს ინტერესები ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობა იყო, რასაც ივანე ჯავახიშვილი შემდეგნაირად გამოხატავდა: **„ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოთ მათ არსებობა არ შეეძლოთ“.**

ივანე ჯავახიშვილის მოწაფე და ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ამ თემაზე შეჭამების სახით წერდა: **„ზეგანი, გარდამავალი ზოლი, ისტორიულად შუამავლის როლს ასრულებდა მთასა და ბარს შორის. დამახასიათებელია, რომ ამ ზოლში იყო წარმოდგენილი მსხვილი დაბური დასახლებების პუნქტები, სადაც ბაზრობაზე თავს იყრიდა მთისა და ბარის საქონელი. ამ სახის დაბები ჯაჭვივით გასდევს საქართველოს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე (ლაგოდეხი, ყვარელი, თელავი, ახმეტა, თიანეთი, ჟინვალი, წილკანი, მუხრანი, ახალგორი, ქვემო ჭალა, მეჭვრისხევი, ცხინვალი, ონი, ამბროლაური, ცაგერი, გორდი, ნალენჯიხა, ჯვარი, ბეღია, დურიფში და სხვა)“.**

აღნიშნული ვითარება, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარე ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებულნი, საქართველოს ძნელბედობის დროსაც კი გრძელდებოდა. ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილს საქართველოს საზღვრებზე დაწერილ თავის წიგნში ასეთი მაგალითი მოჰყავს: **„XVIII ს-შიაც, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთსა და სამცხეს საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, სანოვავე, განსაკუთრებით კი პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად“.**

ეს ფაქტორი დღესაც მოქმედებს და ამიტომაც ავლენენ მავთულხლართებს ოკუპირებულ ტერიტორიების გამმიჯნავ ხაზზე ოკუპანტები, რომ მოსახლეობამ თავისი სამეურნეო-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის ერთმანეთთან კავშირი ვერ შეძლოს. ეს კავშირი კი ხომ კვლავ კონსოლიდაციის საფუძველი გახდება? ამ კავშირს ხომ, ეთნიკური ცვლილების მიუხედავად, კვლავ გეოგრაფიული პირობები განაპირობებს?!

ასეთი ანალიზის მერე ივანე ჯავახიშვილი ქართველი ერის კონსოლიდაციისა და ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველზე აკეთებს ლოგიკურ და ლაკონურ დასკვნას: **„ამ გეობოტანიკური და ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით, ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნიადაგზე, უპირველეს“**



*სად სწორედ მესხეთი და ქართლი, ვითარცა მტკვრის აუზის ასპარეზი და ბარისა და მთის ურთიერთ ნაკლულევენების ჰარმონიულად შემავსებელი არეები, ჩამონაკვთნენ ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად და ერთ სამეფოდ იქცნენ და მხოლოდ შემდეგში დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველოც გაერთიანდა“.*

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ნათელია, ვინ იყო ივანე ჯავახიშვილი და რა ამოძრავებდა მას, როცა სამეცნიერო კვლევის შემდეგ საკუთარი დასკვნების გადმოცემას რუკების სახითაც ცდილობდა:

მან ბუნებრივი პირობების ისტორიულ პროცესთან ურთიერთკავშირის განხილვით გარკვეულ სივრცე შემოხაზა და გვაჩვენა, თუ რა ფარგლებშია ქართველთა სამშობლო მოქცეული, რომ

ამ ფარგლებში ჩამოყალიბებულა ქართველი ერი;

ამ ფარგლებში უღვანია – უშრომია თუ უბრძოლია;

ამ ფარგლების შიგნით უნდა იცხოვროს და იღვანოს კვლავაც;

ამ ფარგლებს იქით კი მეზობლებთან კეთილმეზობლურად უნდა იცხოვროს. მან ხაზგასმით მიუთითა, რომ თუ ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის ზიანის მიუყენებლად მეზობლისთვის რომელიმე ტერიტორიის დათმობა შეგვიძლია კიდევაც უნდა დავუთმოთო. *„სწორედ ამ კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლებებზე იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს. მაგ. აღმოსავლეთით, საინგილოში სამზღვრად გიშის წყლის მაგიერ კასა-ჩაი დასდვას, სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვრის ხაზად კი ისტორიულის მაგიერ დებედას შემდინარეების წყალთ-გამყოფელი მთა აირჩიოს, ხოლო სამხრეთის ხაზად ისტორიულის სამძღვრის ერევნის (= ბამბაკის) მთების მაგიერ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ბერდუჯის (= რუს. ბეზობდალის) მთები მიიჩნიოს მოსაზღვრე ხაზად: საქართველოს ხელში ბერდუჯის მთები იქნება, სომხეთის ზღუდედ და სამზღვრად ერევნის მთები“.*



## ქართული კარტოგრაფიული მემკვიდრეობა და ივანე ჯავახიშვილი

რუკა ობიექტური რეალობის სივრცე-დროითი აღქმისა და შემეცნების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ჩვენ ირგვლივ არსებული სამყარო ერთიან ჭრილში მთელი თავისი მრავალფეროვნებით მხოლოდ და მხოლოდ რუკების მეშვეობით წარმოჩინდება. ამასთან, რუკა მომხმარებლისათვის სივრცითი ინფორმაციის გადაცემის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სწორედ ამიტომ რუკას მრავალმხრივი გამოყენება აქვს: სამეცნიერო, სასწავლო-შემეცნებითი, სამხედრო-სტრატეგიული, საკადასტრო, საცნობარო და ა.შ. იგი არის ისტორიული, გეოგრაფიული, მხარეთმცოდნეობითი, ტოპონიმიკური და სხვა მრავალი სახის ინფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო.

ამასთან, რუკა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულების ფასდაუდებელი მონაპოვარია, რომელიც კი შეუქმნია კაცობრიობას მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. რუკა – ერის კულტურული საუნჯეა.

ჯერ კიდევ დამწერლობამდე, პირველყოფილ საზოგადოებაში უნდა შექმნილიყო უმარტივესი კარტოგრაფიული გამოსახულებები – პრეისტორიული რუკები ქვაზე, ნიჟარაზე, ძვალზე, მოგვიანებით – ხეზე, ტყავზე, პერგამენტზე, თიხის ფირფიტებზე, პაპირუსზე, ბამბუკის ღეროებზე, აბრეშუმზე, კერამიკასა და თუ სხვა მასალაზე. ამ პერიოდიდან დაწყებული ადამიანი ცდილობდა რუკებზე იმდროისათვის შესაფერისი სიზუსტით აესახა რეალობა, ზოგჯერ კი, ნებისთ თუ უნებლიეთ, მცდარადაც, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ყველა მათგანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარსულის რეტროსპექტიული სურათის აღდგენის მიზნით.

საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეულმა მდიდარმა არქეოლოგიურმა მონაპოვარმა შემოგვინახა სხვადასხვა მასალაზე შესრულებული პრიმიტიული გამოსახულებები.

უძველესი რუკის ჩანასახები მიკვლეულია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.

**ზურტაკეტის ყორღანებში**, რომელიც მდებარეობს მდ. შავწყაროსწყლის მარჯვენა ნაპირზე, გომარეთის პლატოს ძირში (დმანისის მუნიციპალიტეტი) ნაპოვნია ქვები (ძვ.წ. XVIII ს). მათზე ამოკანრულია ურთიერთგადამკვეთი ხაზებით შექმნილი გეომეტრიული ფიგურები, ტეხილი ხაზები, სხვადასხვა ორნამენტები, ცხოველთა სქემატური გამოსახულებები. როგორც ფიქრობენ, ამ ნაკანრებზე კარტოგრაფიული ელემენტების ამოკითხვაც შეიძლება. მათა პერსპექტიული მწკრივები, მდინარეთა ქსელი, ტბები, მცენარეთა გავრცელება, გზები, დასახლებები – ამის უტყუარი დასტურია.

როგორც ფიქრობენ, ქვებზე ნაკანრი გამოსახულებებით სარგებლობდნენ **ძველი კოლხებიც**. ეს ნაკანრები, გამოსახული ქვის ფირფიტებზე, მათთვის დამწერლობის და, სავარაუდოდ, რუკის ფუნქციასაც ასრულებდა. შორეულ ქვეყნებთან გაცხოველებული სავაჭრო და კულტურული ურთიერთობებისათვის და გზის გაკვალვისათვის ხომ ასე აუცილებელი იყო ტერიტორიების გრაფიკული გამოსახვა. ამის შესახებ ინფორმაცია მოგვეპოვება უძველეს თხზულებებშიც. აპოლონ როდოსელის თხზულებაში, „არგონავტები“, ვკითხულობთ, რომ კოლხებს „შენახული აქვს თავიანთ მამაპაათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“.

მეცნიერები კირბს გეოგრაფიული რუკის სინონიმად მიიჩნევენ. გერმანელი გეოგრაფი და თანამედროვე გეოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი კარლ რიტერი, რომლის იდეებმა უდიდესი გავლენა მოახდინა გეოგრაფიული აზროვნების განვითარებაზე XIX საუკუნეში, მიიჩნევს, რომ „კარტოგრაფიული ხელოვნების პატივ-დიდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძენს. იგი ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის“. ამასთან, მან გამოთქვა მოსაზრება, რომ სწორედ ეს ფირფიტები – პირველდანიყებითი რუკები, შეიძლება ჰქონოდა ჰეროდოტეს, როცა მან ჩამოთვალა ბოსფორისა და პონტოს სავაჭრო გზები.

კარტოგრაფიის განვითარება საქართველოში იწყება ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში. ქვეყნის თავზე დატრიალებულმა ძნელბედობამ მრავალი მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი და წერილობითი წყარო გაანადგურა. ვერც კარტოგრაფიული მასალები გადაურჩა ჟამთა სვლას – განადგურდა ან სხვა ქვეყნის საცავებში დაივანა. ამიტომ არ მოგვეპოვება XVIII საუკუნის უადრესი კარტოგრა-







სამეცნიერო სამეფო აკადემიის წევრის, კარტოგრაფ დელილთან და სხვებთან ერთად ქართველი მწერალი, მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე **სულხან-საბა ორბელიანი** (1658-1725) მოხსენიებული. იმ დროისათვის მაღალი სიზუსტითა და გემოვნებით შესრულებული ეს რუკა ფრანგმა კარტოგრაფმა სხვადასხვა წყაროს, მათ შორის, საბას მიერ საფრანგეთში ჩატანილი კარტოგრაფიული მასალებითაც შეადგინა.

რუკაზე დატანილია სივრცე შავი ზღვიდან კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩათვლით და მოიცავს თანამედროვე საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ნაწილობრივ თურქეთის, ირანის, თურქმენისტანისა და ყაზახეთის ტერიტორიებს. რუკამ უდიდესი წვლილი შეიტანა რეგიონის კარტოგრაფიულ შესწავლასა და ევროპელთათვის მის გაცნობაში. იმ პერიოდში ეს რეგიონი ხომ ასე უცნობი იყო დასავლეთ ევროპისათვის.

XVIII საუკუნეში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის ქართლის მეფე, პოეტი და მეცნიერი **ვახტანგ VI** (1675-1737), რომელმაც ქვეყანაში დიდი კულტურულ-მეცნიერული რეფორმები გაატარა. მისი ინიციატივით შექმნილმა „სწავლულ კაცთა კომისიამ“ ქვეყნისათვის მრავალი მნიშვნელოვანი საქმიანობა განახორციელა და შექმნა „ახალი ქართლის ცხოვრება“ – საქართველოს ისტორიის შევსებული და შესწორებული რედაქცია. ნაშრომი მრავალ საგულისხმო გეოგრაფიულ ცნობას შეიცავს.

სწორედ „სწავლულ კაცთა კომისიამ“ აგვმა საქართველოს ტერიტორია. ეს უდიდესი ნაბიჯი იყო, რამაც ხელი შეუწყო კარტოგრაფიის განვითარებას საქართველოში. დღემდე შემონახულია 1710-იან წლებში ვახტანგის VI-ის შეკვეთით ირანში დამზადებული ასტროლაბი, რომლითაც განსაზღვრავდნენ სხვადასხვა ობიექტების გეოგრაფიულ კოორდინატებს. თანავარსკვლავედებისა და პლანეტების მაჩვენებლები ქართული მხედრულითაა შესრულებული. ასტროლაბი ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ჩანაწერები კი, სადაც მოცემულია გეოგრაფიული კოორდინატების გამოთვლები, ინახება რუსეთის სახელმწიფო სამხედრო ისტორიულ არქივში, მოსკოვში.

ვახტანგ VI-ის კალამს მიაკუთვნებენ ასევე რუკას, სადაც ასახულია მდ. მტკვრის ხეობა მცხეთიდან კასპიის ზღვამდე (შემორჩენილია ფრაგმენტი). რუკა სტრატეგიული მნიშვნელობისაა და უკავშირდება ვახტანგ VI-ის ჩანაფიქრს რუსეთის მთავრობასთან ერთად, სამხრეთ კავკასია გაეთავისუფლებინა ირანის ბატონობიდან.

საქართველოს გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ცოდნის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართველ ისტორიკოსს, გეოგრაფსა და კარტოგრაფს **ვახუშტი ბაგრატიონს** (1696-1757). დღემდე მოღწეულ ნაშრომთაგან არსად ისეთი სისრულით არაა აღწერილი და დატანილი საქართველოს თანამედროვე და მიმდებარე ისტორიული ტერიტორიები, როგორც მის მიერ შექმნილ თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და მის მიერვე შედგენილ ატლასებში.

ვახუშტის პირველი ატლასი თარიღდება 1735 წლით და შედგება 8 ხელნაწერი რუკისაგან. რუკები შედგენილი უნდა იყოს სხვადასხვა პროექციაში. ამჟამად შემორჩენილია 4.5 ფურცელი და დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში [ფონდი H-2079]. მეორე ატლასი თარიღდება 1745 წლით და შედგება 19 რუკისა და 2 გენეალოგიური სქემისაგან. რუკები შედგენილია კონუსურ პროექციაში, ხოლო საწყის მერიდიანად აღებულია ს. ფეროს მერიდიანი. მესამე ატლასი მოიცავს საქართველოს 9 და კავკასიის 2 რუკას.

საქართველოს ატლასების შესაქმნელად ვახუშტიმ არაერთი ლიტერატურული და კარტოგრაფიული წყარო გამოიყენა. თვით ვახუშტი ასე წერს, რომ მანამდევ არსებობდა რუკები, „რამეთუ ვინაითგან დავსახენით ქარტა ანუ რუკანი საქართველოსა ანუ ივერიისანი, რომელსა ხაზვიდნენ მცირეთ და არა ჭეროვნად, და ჩვენ სრულიადი წინა დავდევით, განა ამისდა ჭერ იყო სამჭირნოთ, რალა აქუნდეს ღეოღრაფიისა აღწეროსაცა დადება (რომელი არს ქვეყნის მხაზველობა)“.

მთელი საუკუნის მანძილზე ვახუშტის ნაშრომები გახდა ქვეყნის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ცოდნის უმთავრესი წყარო იმ დასავლეთევროპელი სწავლულებისათვის, რომლებიც ქმნიდნენ კავკასიის შესახებ თხზულებებსა და რუკებს. იმდენად დიდი იყო მისი ნაშრომებისადმი ინტერესი, რომ რუკის ცალკეული ფრაგმენტი დაიბეჭდა იმავე პერიოდში: 1747 წელს საფრანგეთში – ქართლის რუკა და თბილისის გეგმა და 1766 წელს პარიზში რუკის სხვა ნაწილებიც. ვახუშტის რუკების საფუძ-

ვლემე ქმნიდნენ თავიანთ კარტოგრაფიულ ნამუშევრებს ცნობილი ევროპელი კარტოგრაფებიც. თანამედროვე ქართული კარტოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი სერგი ცხაკაია წერდა: „თითქმის 100 წლის მანძილზე (დაახლ. 1740-1830 წწ.) მხოლოდ ვახუშტის რუკების საფუძველზე ადგენდნენ კავკასიის რუკებს, როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაშიც, ამისთვის ხმარებაში იყო ვახუშტის მეორე ატლასის რუკები“.

ვახუშტი ბაგრატიონის ატლასი და „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ეროვნული კულტურის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი შენაძენია, მაგრამ მათი მნიშვნელობა სცილდება ეროვნულობის საზღვრებს. იგი მსოფლიო კარტოგრაფიის ოქროს საგანძურია. სწორედ ამიტომ 2013 წელს იუნესკომ ისინი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანა.


1737 წელს ქართველი მწერალი, მოგზაური, დიპლომატი და კარტოგრაფი ტიმოთე გაბაშვილი ადგენს დასავლეთ საქართველოს (იმერეთის) რუკას. ნიშანდობლივია, რომ ეს რუკა იმავე პერიოდში



ასტროლაბი

(აკად. ს. ჯანაშიას სახელობის) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი






ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი რუკა



შეიქმნა, როდესაც ვახუშტი ბაგრატიონის პირველი ატლასი. თუმცა ეს კარტოგრაფიული ნამუშევარი, მისგან სრულიად დამოუკიდებლად შეიქმნა.

რუკა ტიმოთე გაბაშვილს, იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის დავალებით შეუქმნია და რუსეთის იმპერატორისათვის ანა იოვანეს ასულისათვის გადაუცია სხვა წერილობითი და ზეპირი დანაბარების მსგავსად. ეს რუკა ამჟამად დაცულია მოსკოვის ცენტრალურ ისტორიულ არქივში, ხოლო ასლი სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის კარტოგრაფიულ განყოფილებაში. რუკის სწორედ ამ ასლის შესახებ წერს ივ. ჯავახიშვილი. რვაგვერდიანი ხელნაწერი – „ქართული რუკათმხაზველობის ერთი ძეგლთაგანი“ შესრულებული ქართულ და რუსულ ენებზე, შემორჩენილია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.



იმერეთის რუკის ფრაგმენტი, 1737

რუკის შექმნის აუცილებლობა უმთავრესად სამხედრო მიზნებით იყო ნაკარნახევი, ვინაიდან მასზე მრავლა-

დაა დატანილია ციხე-სიმაგრეები და მონასტრები, სანასონო ადგილები, დასახლებული პუნქტები კი მცირეა. წარწერები ქართულ და რუსულ ენებზეა შესრულებული.

როგორც ფიქრობენ, რუკა თვალზომითი აგეგმვითაა შესრულებული, მასზე არ არის დატანილი გრადუსთა ბადე. თუმცა მდინარეთა ქსელი სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტის ზუსტი ლოკალიზაციის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ არ არის დაცული რუკაზე გამოსახული ნაგებობების მასშტაბი, რუკის მაღალ ღირსებად შეიძლება ის ჩაითვალოს, რომ ეს ნაგებობები განსხვავებული ფორმითაა მოცემული და მათ არქიტექტურულ და სხვა დამახასიათებელ თავისებურებებს ასახავს.

რუკა ამჟამად დაცულია რუსეთის სახელმწიფო სამხედრო ისტორიულ არქივში მოსკოვში. რუკის ერთ-ერთი ასლი, სადაც შეცდომითაა მითითებული 1723 წელი, ინახება სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში. რუკის სხვა ასლები სხვა ქვეყნების საცავებშია დავანებული.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში კავკასიის და მათ შორის საქართველოს ტერიტორიის აგეგმვასა და რუკათშექმნას ახორციელებენ უმთავრესად რუსი, გერმანელი, ფრანგი სამხედრო ტოპოგრაფები და გეოდეზისტები. საქართველოში კარტოგრაფიული ცნობიერების მაღალი ტრადიციების მიუხედავად, ამ პერიოდში, ფაქტობრივად, არ იქმნება ქართულენოვანი რუკები. თითქოს ცოტა ხნით დადუმდა ქართული კარტოგრაფიული სკოლა. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანი იყო XX საუკუნის I ნახევარში სამეცნიერო ასპარეზზე ქართველი გეოდეზისტების, ტოპოგრაფებისა და კარტოგრაფების გამოჩენა. 1910-1920-იან წლებში იქმნება საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ცალკეული ნაწილისათვის სხვადასხვა მასშტაბის ქართულენოვანი რუკები:

- საქართველოს რესპუბლიკის რუკა. შესწორებული და გამოცემული გ. გაჩეჩილაძის და ვ. ტუგულოვის მიერ, 1918, ქართველ რუკათა გამომცემელი ამხანაგობა. მასშტაბი 1 დიუმზედ 20 ვერსი;
- საქართველო და მოსაზღვრე სახელმწიფოები. შედგენილი ს. ცხაკაიასა და პროფ. ა. ბენაშვილის მიერ, 1920. მასშტაბი 1:680,000;
- საქართველო. შედგენილი გ. გაჩეჩილაძისა და ქ. ძაგანიას მიერ, ტფილისი: რუკების გამომცემა „დეგე“, 1920. მასშტაბი 1 დიუმზედ 20 ვერსტი;
- სვანეთის ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული რუკა. შედგენილი ეგნ. გაბლიანის რედაქტორობით, ტოპ. ევ. ბარამიძის მიერ. საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო გამომც. გამომცემა, 1925;

▪ ტფილისის მაზრის ადმინისტრაციული რუკა. შედგენილი სამხედრო ტოპოგრაფთა კორპუსისა და სამიჯნო უწყების მასალების შესწორებით და გადამუშავებით ტოპოგრაფ ევ. ნ. ბარამიძის მიერ, გეოგრაფიულ სახელწოდებათა რედაქცია და ისტორიული პუნქტების გადაადგილება შესრულებულია პავლე ინგოროყვას მიერ, 1927;

▪ და სხვ.

საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის შედგენილი ეს რუკები წვრილმასშტაბიანია, რაც შეიძლება არ იძლევა მასზე ასახულიყო მცირე ზომის გეოგრაფიული ობიექტები, თუნდაც სასოფლო-დასახლებები. საქართველოს ცალკეული მხარეებისათვის შედგენილი მსხვილმასშტაბიანი რუკები კი, წარმოდგენას არ გვიქმნის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს ტერიტორიის ქართულენოვანი მსხვილმასშტაბიანი რუკების გამოცემის ახალი ტალღა იწყება 1930-იანი წლებიდან. ამ პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ქართველი გეოგრაფისა და ანთროპოლოგის **ალექსანდრე ჭავჭავაძის (1875-1973)** ავტორობითა და რედაქციით გამოცემული რუკები (მასშტაბები 1:400,000 და 1:200,000), რომლებიც მაღალი კარტოგრაფიული სიზუსტითაა შესრულებული.

მაგრამ ეს 1930-იანი წლებია. რა იყო მანამდე?

1920-იანი წლები მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია საქართველოს ისტორიაში, ვინაიდან ქვეყანა დიდი პოლიტიკური ქარტეხილების წინაშე დადგა – I მსოფლიო ომი, დამოუკიდებლობის მოპოვება და გასაბჭოება. ყოველივე ამის გამო კი ქვეყნის საზღვრების დადგენის აუცილებლობა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის განსაზღვრა უმთავრეს გამოწვევათა რანგშია აყვანილი. შეიძლება ითქვას, რომ ამაზე იყო დამოკიდებული ქვეყნის ბედი. სწორედ ამიტომ ასე მნიშვნელოვანი იყო შექმნილიყო საქართველოს ისტორიის რეალური სურათი მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტებითა და დამოწმებული ფაქტებით. ვის, თუ არა დიდ ივანეს შეეძლო შეექმნა ჟამთა ქარტეხილებში ჩაფერფლილი და საცავებში შემორჩენილი დოკუმენტების საფუძველზე ქართველი ერის ისტორია ასე მწყობრად და ასე სისრულით გაშუქებული. მაგრამ არც ეს იყო საკმარისი.

საჭირო იყო შექმნილიყო ქართველთა ისტორიული ასპარეზის ამსახველი ნათელი სურათი. **„ვიდრე საქართველოს ისტორიას განვაგრძობდეთ, თავდაპირველად უნდა გავითვალისწინოთ იმ ქვეყნის მიწა-წყალი და მოსახლეობა, სადაც ცხოვრობდა და მოქმედებდა ქართველი ერი... ვისაც სურს მომხდარი ამბების მნიშვნელობა და ქართველთა ცხოვრების განვითარების მიმდინარეობა ნათლად წარმოიდგინოს, მას ჯერ საქართველოს იმდროინდელი გეოგრაფია შესწავლილი უნდა ჰქონდეს“.**

**„იმქვეყნის მიწა-წყალი და მოსახლეობა, სადაც ცხოვრობდა და მოქმედებდა ქართველი ერი“**, – წერს მეცნიერი და იმთავითვე ნათელი ხდება, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ამ მიწა-წყლის „გათვალისწინებას“, ეს კი რუკის მეშვეობით განსაკუთრებით ხილული და თვალსაჩინოა.

ივანე ჭავჭავაძის მოღვაწეობა მოუწია იმ პერიოდში, როცა საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის, ფაქტობრივად, არ არსებობდა ქართულენოვანი რუკები. აქაც მან იტვირთა დიდი საქმის წამოწყება და ამით წარუშლელი კვალი დატოვა.

მან აქაც გაუსწრო დროს...



## „ვიდრე საქართველოს ისტორიას განვაგრძობდეთ...“

ზემოთ მოცემულ ივ. ჭავჭავაძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მემკვიდრეობის სქემას თუ გადავხედავთ, მისი განაზრახვისა და შექმნილის მონუმენტურობა შთამბეჭდავი და თვალნათელი გახდება. ხოლო თუ მხოლოდ მის სამეცნიერო მემკვიდრეობით დავინტერესდებით, მაშინ კი უნდა განვაცხადოთ, რომ ამ მემკვიდრეობის სრული გაცნობიერება მხოლოდ ამ ცალკეული შრომების ერთიანობაში დანახვითაა შესაძლებელი. ისინი ერთმანეთს არა მარტო ავსებენ, არამედ ერთმანეთსაც განაპირობებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ივანეს მემკვიდრეობა ამ შრომების უბრალო ჭამი როდია. როგორც შენობაა აგურებისა და სხვა სამშენებლო მასალის გარკვეული წესრიგით შექმნილი კომბინაცია, რომლითაც განსხვავდება იგი სხვა დანარჩენთაგან, ასევე ივანეს მემკვიდრეობის შემთხვევაშიც. მის მიერ გამოთქმული ცალკეული სამეცნიერო დებულებები ივ. ჭავჭავაძის ფენომენზე სრულ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ამ დებულებების თავისთავადი ღირებულების გარდა, მნიშვნელოვანია მისი მიმართება ამ შენობის შემადგენელ სხვა კომპონენტებთან. ამიტომაცაა აუცილებელი გამოვიკვლიოთ, თუ რა წილი და რა როლი ეკისრება ივანე ჭავჭავაძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში მეცნიერების ისეთ დარგს, როგორცაა გეოგრაფია.

**ამ დიდ შენობის ასაგებად ნუთუ გეოგრაფია საჭირო არ იყო?**

ამ კითხვას დადებითი პასუხი აქვს.

**ივანე ჭავჭავაძის ისტორიის გაშუქებისათვის გეოგრაფიას ერთ-ერთ მთავარ საყრდენად თვლის.** ჭერ კიდევ მაშინ, როცა ივანე ჭავჭავაძი პირველ ქართულ უნივერსიტეტს აარსებდა, მის ამოცანას ასე განსაზღვრავდა: „*საქართველოს და კავკასიის წარსული და აწმყო, მისი ბუნება და ადამიანი უნდა შეადგენდეს ამ ქართულ უნივერსიტეტის ყოველმხრივ სამეცნიერო კვლევადიების საგანს*“.

მოგვიანებით, მან აქ მოხაზულ გეოგრაფიულ არეალს მახლობელი აღმოსავლეთიც მიუმატა. ქართული უნივერსიტეტისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭების თხოვნასთან დაკავშირებით, 1918 წ. 19 ივნისს, იგი მთავრობას წერდა (შენიშვნა: ხელს პ. მელიქიშვილი, ივ. ჭავჭავაძი და ი. ყიფშიძე აწერენ მაგრამ ივანეს ხელითაა დაწერილი): „*უნივერსიტეტის გამგეობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ ჩვენს უნივერსიტეტს თავის მოქმედებისათვის იგივე სამეცნიერო მიზანი აქვს დასახული, რაც საზოგადოდ ყველა სხვა ქვეყნებისა და ერთა უნივერსიტეტებს აქვთ, მაგრამ ამასთანავე თავის უპირველეს და უსაკუთრეს მოვალეობად მას საქართველოს, კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის წარსულისა და აწმყო, ადამიანისა და ბუნების ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა აქვს და მუდამ ექმნება მიჩნეული. ამის გამო ამ უნივერსიტეტის სალექციო პროგრამა შესაფერისად ვრცელი იქმნება ზემოაღნიშნულ დარგებში და ისეთს საგნებს უნდა შეიცავდეს, რომელთა ამ სახითა და ამ თვალსაზრისით ერთად შესწავლა ჭერ არც ერთს სხვა უნივერსიტეტში განზრახული არ არის. ... საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე განსაკუთრებული ყურადღება საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ბუნების ყოველმხრივ შესწავლას მიექცევა. ამგვარადვე სამკურნალო ფაკულტეტზე საქართველოსა და კავკასიის და მახლობელ აღმოსავლეთის მკვიდრთა ჯანმრთელობისა და ავადმყოფობა-სნეულებათა, სამხრეთისა და ტროპიკულ ქვეყნებისათვის დამახასიათებელ გადამდებ მოარულისა და ავადმყოფობათა შესწავლა და სამეცნიერო გამოკვლევა მუდმივ მისწრაფების საგანი უნდა იყოს. ყველა ზემო აღნიშნულ მოსაზრებათა გამო, ცხადია, რომ ჩვენს უნივერსიტეტს განსაკუთრებული თავისებურება და ღირებულება ექმნება*“.

ეს, რა თქმა უნდა, ქართულ უნივერსიტეტს უნდა განეხორციელებინა, მაგრამ თავად თავის კვლევაში ასევე ფართოდ უყურებდა ყოველივეს. კიდევ უფრო ადრე, 1913 წელს, თავის „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „*ქართველი ერის ისტორიის „მეორე წიგნს... წინ უძღვის მეტად ვრცელი საქართველოს საისტორიო გეოგრაფია. მე კარგად ვგრძნობ, რომ ბევრად უკეთესი იქნებოდა მთელი ეს თავი და პირველ წიგნის პირველ თავისავე II ნაწილი, რომელიც აგრეთვე ამავე საგანს ეხება... „საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის“ სახელით ცალკე წიგნად ყოფილი-*

*ყო გამოქვეყნებული, მაგრამ რაკი ეხლა ეს ვერ მოხერხდებოდა, ამიტომ სხვა გზა არ არსებობდა და ისევ ამ თხზულებაში ჩავურთე. სრულებით უგეოგრაფიოდ – კი არ შეიძლებოდა. გასაოცარია ან აქამდის უგეოგრაფიოდ როგორ მუშაობდნენ ისე, რომ ხშირად თვით ავტორებმა არ იცოდნენ იმ ადგილის მდებარეობა, რომელთა შესახებ ისტორიაში იყო ლაპარაკი“.*

**რა ამოცანა აკისრია გეოგრაფიას ივანე ჯავახიშვილთან და რატომ ათავსებს იგი მას „ქართველი ერის ისტორიის შესავალში“?**

ამის პასუხსაც თავადვე გვაძლევს. ავტორი VII-XII სს-ის ისტორიის გადმოცემისას საპროგრამო დებულებას ავითარებს: *„ვიდრე საქართველოს ისტორიას განვავრცობდეთ, თავდაპირველად უნდა გავითვალისწინოთ იმქვეყნის მიწა-წყალი და მოსახლეობა, სადაც ცხოვრობდა და მოქმედებდა ქართველი ერი... ვისაც სურს მომხდარი ამბების ამბების მნიშვნელობა და ქართველთა ცხოვრების განვითარების მიმდინარეობა ნათლად წარმოიდგინოს, მას ჯერ საქართველოს იმდროინდელი გეოგრაფია შესწავლილი უნდა ჰქონდეს“.*

ამ სიტყვებს, მგონი, კომენტარი არ სჭირდება, მაგრამ მაინც დვაკონკრეტოთ: ივანე ჯავახიშვილის აზრით ადამიანმა ერის ისტორიის კითხვისას ყველაფერი ნათლად წარმოიდგინოს და კარგად გაერკვეს, მას ჯერ ამ ერის სამკვიდრებლის გეოგრაფია უნდა ჰქონდეს კარგად შესწავლილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით მკითხველს მკვლევარმა ჯერ ამ ადგილის გეოგრაფიული დახასიათება უნდა შესთავაზოს, სადაც ერთი მხრივ „მიწა-წყალი ანუ ბუნება (მთები, ზღვები, ტბები, მდინარეები, ველ-მინდვრები, საძოვრები, სახნავ-სათესი, საზღვრები და სხვა) იქნება განხილული და, მეორე მხრივ კი, ამ მიწა-წყალზე დამკვიდრებული მოსახლეობა (განსახლების არეალი, რიცხოვნება, მეურნეობა და ყოფა).

**რა გეოგრაფიული თემებია ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში განხილული?**

მას, როგორც ისტორიკოსს, პირველ რიგში, საისტორიო გეოგრაფიის საკითხები უნდა წარმოეჩინა – რომელი ერი რომელ ეპოქაში სად მკვიდრობდა, სად მდებარეობდა ისტორიაში ნახსენები ესა თუ ის გეოგრაფიული ობიექტი – სახელმწიფო იქნებოდა ეს თუ ქალაქი, სოფელი, მდინარე და სხვა. ამ საკითხების გარდა, ივანეს განხილული აქვს, თუ როგორ იცვალა ზოგიერთმა ტოპონიმმა თუ ეთნონიმმა სახელი.

სამწუხაროა, რომ ავტორმა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო და დასრულებული სახით ვერ დატოვა შესაბამისი ნაშრომი. ივანე აქვეყნებდა მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო ამა თუ იმ მონოგრაფიასთან და აუცილებელიც, რომ მას თან დართოდა. ამიტომ უხდებოდა დაწერილი თუ მოაზრებული თემის შემცირება. „ქართველი ერის ისტორიას“ მან მხოლოდ საქართველოს გეოგრაფიული მიმოხილვა დაურთო. არადა, მას უფრო ვრცლად უდოდა ეს საკითხი განეხილა: *„თავდაპირველად მე მინდოდა საქართველოს საისტორიო გეოგრაფიაში მთელ კავკასიის საგეოგრაფიო მიმოხილვაც ჩამერთო იმიტომ, რომ XI-XII ს. კავკასია საქართველოს სამეფოს სამზღვრებს შუა იყო მოქცეული; მაგრამ რაკი ამით გეოგრაფიული ნაწილი მეტად დიდი გამოდიოდა, იძულებული ვიყავი მხოლოდ საკუთრივ საქართველოს საგეოგრაფიო მიმოხილვა დამებეჭდა“.*

ამ ხარვეზის გამოსწორება მეცნიერმა მოგვიანებით სცადა, მაგრამ უამრავი საქმით დატვირთულმა ვერ მოასწრო. მას ამის გაკეთება ქართველი ერის ისტორიის შესავალი წიგნებში სურდა. თავის სიცოცხლეში გამოაქვეყნა მხოლოდ ამ სერიის II ტომი, რომელიც საენათმეცნიერო საკითხებს ეხებოდა და მას ეწოდება: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. ხოლო I და III წიგნები გამოუცემელი დარჩა. სწორედ ამ წიგნებისთვის მომზადებულ მასალებშია დაცული მეცნიერის მიერ დამუშავებული საგეოგრაფიო ცნობები.

ამის შესახებ ივანე თავადვე გვიყვება თავის „ქართველი ერის ისტორიის“ III გამოცემის წინასიტყვაში: „ქართველი ერის ისტორიის“ გეგმა იმ მხრივ არის შეცვლილი, რომ წინა გამოცემის ორივე წიგნის პირველი თავი, რომელშიაც **საქართველოს საისტორიო გეოგრაფია** და ეთნოლოგიურ-ლინგვისტიკური პრობლემები იყო განხილული, **გამოცალკავებულია და მთლიან წიგნად არის გამოყოფილი**, რომელიც „ქართველი ერის ისტორიის“ **შესავალი წიგნი იქმნება** და საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის გარდა მცირე აზიისა, კავკასიისა და საქართველოს ძირითადი ეთნოლოგიურ-ლინგვისტიკური პრობლემები იქმნება განხილული“.

ეს მასალები დაცულია მეცნიერის პირად არქივში და სათანადო შესწავლის შემდეგ გამოცემას ელოდება.

ამავე ჭრილში და მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილავდა ივ. ჭავჭავაძის რუკებს. ჯერ კიდევ 1908 წელს ივ. ჭავჭავაძის თავისი „ქართველი ერის ისტორიის“ I გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: **„ჩვენი სტამბები სამწუხაროდ სამეცნიერო წიგნების დასაბეჭდავად არ არიან. მე ამრავა მაქვს, ისტორიისათვის ძველნაშთებისა და მოღვაწეების სურათები და საგეოგრაფიო რუკები დამერთო, მაგრამ ამ წიგნისათვის ვერ მოხერხდა, იმედია, შემდეგში ამ დანაკლისსაც შევამსებ“**. დღეს რთულია იმაზე მსჯელობა, როგორ შეძლო დიდმა მეცნიერმა ამ დანაკლისის შევსება, მაგრამ ერთი კი ცხადია, იმდროინდელი სტამბების შესაძლებლობა დღევანდელთან მცირედის მანძილზე მიახლოებული, რომ ყოფილიყო, იგი უდიდეს მემკვიდრეობას დატოვებდა კარტოგრაფიული თვალსაზრისით.

ივ. ჭავჭავაძის დღემდე ცნობილ რუკებს შორის ყველაზე უადრესია მისი ხელნაწერი რუკა, რომელიც მან 1913 წელს შექმნა, ხოლო უახლესი – 1930 წლით დათარიღებული საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა. წარმოდგენილი ნაშრომიც სწორედ მისი ხელდასხმით შექმნილი რუკების წარმოჩენაა. თუმცა მისი კარტოგრაფიული მოღვაწეობა მხოლოდ ამ ჭრილში როდი უნდა შევაფასოთ. უდავოა, რომ მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე ივ. ჭავჭავაძის მრავალი ქართული და უცხოური, მათ შორის კარტოგრაფიული ნყარო გამოიყენა. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობიდან და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მრავალი ხელნაწერიდან თვალნათლად ჩანს, თუ რა ზედმიწევნით კარგად იცოდა მან რუკიდან ინფორმაციის ამოკითხვა და მისი ინტერპრეტაცია, რა სიზუსტით განსაზღვრავდა ობიექტების გეოგრაფიულ კოორდინატებს, რიგ მეტრულ მაჩვენებლებს. სწორედ ამ ცოდნა-გამოცდილებით ქმნიდა იგი ქართველი ერის ისტორიას და მის სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბებას, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას ერთდროულად სივრცით და დროით ჭრილში განიხილავდა.

უდავოა, რომ ივ. ჭავჭავაძის თვით ქმნიდა რუკებს, თუმცა რუკის კარტოგრაფიული საფუძვლის შედგენასა და მის გაფორმებაში, დახმარებას უწევდნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები. ამ მოსაზრებას შემდეგი გარემოებები ადასტურებს:

▪ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე გამოცემაში (1930 წ.) ივ. ჭავჭავაძის მადლობას უხდის იმ მრავალრიცხოვან კოლექტივს – მეცნიერებს, რომელთაც სხვადასხვა სახის დახმარება აღმოუჩინეს მეცნიერს ნაშრომზე მუშაობისას. მათ შორის იგი ასახელებს ევ. ბარამიძესაც: თავს **„მოვალედ ვრაცხ მადლობა მოვახსენო... ტოპოგრაფიკული ვესევი ბარამიძის რუკის დახატვისათვის“**, – წერს იგი და ამით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რუკა მის მიერაა შექმნილი და ევსევი ბარამიძის მხოლოდ ტექნიკური სამუშაო შეუსრულებია;

▪ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ასობით მცირე ბარათი, სადაც ივ. ჭავჭავაძის ხელით შესრულებული გეოგრაფიული ობიექტები, მათი ადგილმდებარეობა და გეოგრაფიული კოორდინატებია მითითებული. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ივ. ჭავჭავაძის თვითონ განსაზღვრავდა ობიექტების ლოკალიზაციას და მათ ასე გამზადებულ მასალებს აწვდიდა რუკათა მხაზველებს.

ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ როგორც საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის ისტორიის უბადლო მცოდნეს და, უთუოდ, რუკების შემდგენელ-რედაქტორს 1938 წელს თხოვნით მიმართავს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამხედრო კომისარიატის სახელმწიფო აგეგმვისა და კარტოგრაფიის მთავარი განყოფილების მთავარი რედაქტორი ლევ ზიმანი.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ (№ 6/1945) წერილში ნათქვამია, რომ დაგეგმილია სსრკ ხალხების ისტორიის რუკათა სერიის ჩართვა დიდ საბჭოთა ატლასში (Большой Советский Атлас Мира), კერძოდ, მეორე ტომში დაგეგმილია კავკასიის ხალხთა ისტორიის რუკების (I-VIII სს., ავტორი – გარდანოვი; IX-XI სს. ავტორი – პეტრუშევსკი; XI-XII სს. ავტორი – პეტრუშევსკი; XVI-XIX სს. ავტორი – გარდანოვი) განთავსება. სწორედ ამ რუკების რედაქტირებას სთხოვენ ივ. ჭავჭავაძის უცნობია, რა პასუხი გასცა ივ. ჭავჭავაძის ამ შემოთავაზებას. მაგრამ ერთი კი ფაქტია, რომ ივანე



ჯავახიშვილს საკავშირო აღიარება ჰქონდა მოპოვებული. ეს საკითხი მომავალ კვლევას საჭიროებს, რადგანაც ჯერჯერობით უცნობია არა მარტო ის, მიიღო მონაწილეობა თუ არა ივანე ჯავახიშვილმა ამ საქმეში, არამედ ისიც, თუ რა ბედი ეწია ზემოჩამოთვლილ რუკებს. ისინი არ დაბეჭდილა მსოფლიოს დიდ საბჭოთა ატლასში.

ამდენად, ივანე ჯავახიშვილის სახით ჩვენ წინაშეა ისტორიკოსი, რომელსაც არა თუ კარგად ესმის გეოგრაფიული მეცნიერების მნიშვნელობა, არამედ ზედმიწევნით კარგად იცის გეოგრაფია. ერთი სიტყვით, ივანე არის ისტორიკოსი, რომელმაც არა მარტო **„იცის იმ ადგილის მდებარეობა, რომელთა შესახებ ისტორიაშია ლაპარაკი“**, არამედ სიღრმისეულად აცნობიერებს გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობას.

## საქართველოს რესპუბლიკის რუკა – 1922 წელი

### ზოგადი ინფორმაცია რუკის შესახებ

**ტერიტორიული მომცველობა:**

**საქართველო და მისი მოსაზღვრე ტერიტორიები.**

**რუკის მასშტაბი: 1 დიუმზედ 10 ვერსი (1: 420,000).**

**მეტრული მაჩვენებლები: 129 x 99 სმ (4 ფურცელი: 64.5 x 49.5 სმ).**

**ტონალობა: ფერადი.**

**მასალა: ქაღალდი.**

**ენა: ქართული.**

არ არის გასაკვირი, რომ 1922 წლით დათარიღებული ეს რუკა, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ არის გამოცემული. საბჭოთა პერიოდში ხომ სწორედ ეს კომისარიატი (სამინისტრო) ასრულებდა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ფუნქციებს, იცავდა წესრიგს და აკონტროლებდა თითქმის ყველა სფეროს და, რაც უმთავრესია, გვევლინებოდა ქვეყნის „მთავარ ცენზორადაც“. ამიტომ თვით გამოსცემდა ან ცენზურას უწევდა ქვეყნის ტერიტორიის ამსახველ რუკებსაც.

1920-იან წლებში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ზოგადგეოგრაფიული დატვირთვის საშუალო- და მსხვილმასშტაბიანი ქართულენოვანი რუკები, რომლებზედაც ქვეყნის ტერიტორია

ერთ მთლიანობაში იქნებოდა წარმოჩენილი. ამის აუცილებლობა კი ნამდვილად არსებობდა, ვინაიდან მსოფლიოს ახალი გადანაწილება, რამაც დიდი ტერიტორიული ცვლილებები მოიტანა კავკასიის რეგიონში, ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების რუკებზე აღნუსხვის საჭიროებას ქმნიდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუკაზე მითითებულია საბჭოთა პერიოდისათვის ფართოდ გამოყენებული სიმბოლოები, როგორცაა დევიზი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ და წითელი დროშები, რუსულ და ქართულ ენებზე მინაწერით – „ს.ს.ს.რ.“, ინტერესს იწვევს თვით რუკის სახელწოდება „საქართველოს რესპუბლიკის რუკა“. 1921-1990 წლებში ჩვენი ქვეყანა ხომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა, ამიტომ იმ პერიოდის გამოცემებში – მონოგრაფიებში, სახელმძღვანელოებში, პერიოდიკაში, რუკებზე, იგი „საქართველოს სსრ-ის“ სახელითაა თითქმის ყველგან მოხსენიებული, მაგრამ არა ამ რუკაზე.

რომ არა რუკის ორიგინალზე მითითებული გამოცემის წელი, სწორედ სახელწოდების გამო, იგი 1918-1921 წლებში დაბეჭდილ რუკად შეიძლება მიგვეჩნია. ეს გარემოება არა მარტო საინტერესო, არამედ სამომავლო კვლევისათვისაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, ვინაიდან მრავალ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს – რატომ დაერქვა რუკას ასეთი სახელი? როგორ გამოეპარა ეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს? ხომ არ იყო იგი შედგენილი ჯერ კიდევ 1921 წლამდე და, მექანიკურად, შემთხვევით ხომ არ გადმოვიდა ეს სახელი 1922 წლის გამოცემაში? რუკის გამოცემის თარიღი რატომ არის ასეთი სიზუსტით მითითებული – 1922 წლის 5 ნოემბერი? ან იქნებ, ყველაზე მთავარი პასუხგაუცემელი კითხვა – ხომ არ იყო ეს დიდი მეცნიერის გაბედული ნაბიჯი და ერთგვარი შენიღბული პროტესტი საქართველოს გასაბჭოების წინააღმდეგ. იქნებ, სწორედ ამიტომაც გახდა ეს რუკა ასე ნაკლებად ცნობილი თუნდაც მკვლევართათვის, დღემდე იგი არც ერთი მეცნიერის კვლევის საგნად არ ქცეულა. საქართველოს ეროვნულ არქივში აღნიშნული რუკის მხოლოდ 2 ეგზემპლარია დაცული და ალბათ, კიდევ რამდენიმე – ქვეყნის სხვა არქივებსა და უწყებებში. იგი არ არის დაცული არც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, არც იმ სამეცნიერო-კვლევით თუ სასწავლო დაწესებულებებში (ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს ალექსანდრე ჭავჭავაძის გეოგრაფიული საზოგადოება, თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტი), სადაც ძველ რუკათა საკმაოდ დიდი ფონდია დღემდე დაცული. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, ხომ არ იყო ეს რუკა იმ პერიოდში აკრძალული, ხოლო სასწავლებლებად გადარჩენილი რუკის რამდენიმე ეგზემპლარი – არქივის თანამშრომელთა მხოლოდ საქმისადმი ერთგულებისა და თავდადების ხარჯზე შემორჩენილი?

რუკაზე დატანილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრები ასახავს 1922 წლის რეალობას, რაც დასტურდება შემდეგი გარემოებებით:

1. რუკაზე მოხაზულია „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ საზღვრები, რაც შეუძლებელია არსებულიყო 1922 წლამდე. როგორც ვიცით, ეს ავტონომიური ერთეული შეიქმნა რუსეთისა და საქართველოს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალისხმევით 1922 წლის 20 აპრილს.

2. ცალკე ერთეულის სახით რუკაზე არაა გამოყოფილი ზაქათალის მხარე (საინგილო), რომელიც 1918-1921 წლებში დემოკრატიული საქართველოს შემადგენლობაშია. გასაბჭოების შემდეგ დედამამშობლოს მოწყვეტილი ეს მხარე აღნიშნულ რუკაზე საქართველოს რესპუბლიკის ძველ საზღვრებშია მოქცეული.

ამრიგად, რუკა ნამდვილად 1922 წლის პოლიტიკური რეალობის ამსახველია, მაგრამ ეროვნული ინტერესების გამომხატველი და დამოუკიდებელი ქვეყნის ელფერის მქონე სახელწოდება – „საქართველოს რესპუბლიკის რუკა“, უდავოდ, ივანე ჯავახიშვილის დამსახურებაა. ეტყობა, არც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესვეურთ გამოუჩენიათ სათანადო სიფხიზლე, ან უფრო მეტიც – იქნებ „ნითელი ტერორის“ ამ მთავარ მედროშე ორგანიზაციაშიც მოღვაწეობდნენ დამოუკიდებელ საქართველოზე მეოცნებენი. ნიშანდობლივია ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილმა ქვეყნის ძველი საზღვარიც დაიტანა რუკაზე, რითაც დიდ და განუყოფელ საქართველოზე ოცნება კვლავ ძალაში დატოვა.

თანამედროვე კლასიფიკაციით რუკა ზოგადგეოგრაფიულ სამიმოხილვო-ტოპოგრაფიულია, რომლის მასშტაბია 10 ვერსი<sup>1</sup> 1 დიუმედ,<sup>2</sup> ანუ 1:420,000. სწორედ ამ მასშტაბის საქართველოს სამიმოხილვო-ტოპოგრაფიული რუკის გამოცემა იყო იმ დროს მეტად მნიშვნელოვანი, ვინაიდან, ერთი მხრივ, საკმაოდ დეტალურია, ხოლო, მეორე მხრივ, მეტად მოსახერხებელი, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ კედლის რუკის ფუნქციას ასრულებს. მანამდე შექმნილი საქართველოს წვრილმასშტაბიანი რუკები კი ამ დეტალურობის რუკაზე ასახვის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ამასთან, რუკის ქართულად გამოცემა ეროვნულობის ელფერსაც ატარებდა.

რუკაზე დატანილია საკოორდინატო ბადე. გრძედის ათვლის ნულოვან მერიდიანად აღებულია პულკოვოს მერიდიანი,<sup>3</sup> ანუ ისე როგორც XX საუკუნის დასაწყისამდე რუსეთის იმპერიასა და მათ შორის საქართველოში იყო მიღებული, ჯერ კიდევ გრინვიჩის მერიდიანის საწყის მერიდიანად შემოღებამდე.

როგორც წესი, საშუალო მასშტაბის რუკებს ადგენენ მსხვილმასშტაბიანი რუკების საფუძველზე და სხვადასხვა დამატებითი, მათ შორის სტატისტიკური და გეოგრაფიული მონაცემების გამოყენებით. საქართველოს რესპუბლიკის რუკაც უთუოდ მანამდე გამოცემულ მსხვილმასშტაბიან, რუსულ ვერსულ სისტემაში შედგენილ რუკებს, ე.წ. „ვერსტოკებს“<sup>4</sup> უნდა დაყრდნობოდა. ჩვენი ვარაუდით, რუკის შედგენისას უმთავრესად გამოყენებულია კავკასიის ე.წ. 5-ვერსიანი რუკის ფურცლები, რომელიც XIX საუკუნის II ნახევარშია შედგენილი. ამაზე თვით ივანე ჯავახიშვილის პირად ფონდში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) დაცული რუკები და მათზე მეცნიერის ხელით შესრულებული მინანურებიც მეტყველებს. რუკათა ურთიერთშედარებით გაირკვა, რომ რუსულ რუკებზე არასწორად აღნიშნული მრავალი ტოპონიმი აქ, ამ რუკაზე ძირძველი ქართული სახელითა და ტრანსკრიფციითაა ბევრგან მითითებული.

ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რითაც აღნიშნული რუკა განსხვავდება სამიმოხილვო-ტოპოგრაფიული რუკებისაგან, რომელზეც, როგორც წესი, მწვანე ფონით გამოსახულია დაბლობები, ანუ ზ.დ.-დან 200 მ-მდე მდებარე ტერიტორიები ხმელეთზე. აქ კი, ივ. ჯავახიშვილის რუკაზე, მწვანე ფერი ტყის აღმნიშვნელია, რითაც იგი მსგავსებას იჩენს მსხვილმასშტაბიან ტოპოგრაფიულ რუკებთან.

1 ვერსი – სიგრძის ერთეული ძველ რუსეთში და, მათ შორის, საქართველოშიც, მეტრული სისტემის შემოღებამდე. უდრის 1.06 კმ-ს.


2 დიუმი – სიგრძის ერთეული, რომელიც დღესაც გამოიყენება რიგ ევროპულ ქვეყნებში. უდრის 2.54 სმ-ს.

3 პულკოვოს მერიდიანი – გრძედის ათვლის ნულოვანი მერიდიანი, რომელიც გამოიყენებოდა რუსეთის იმპერიაში, გრინვიჩის მერიდიანის შემოღებამდე. სახელწოდება ეწოდა პულკოვოს ობსერვატორიის მიხედვით, რომლის მრგვალ დარბაზზე გადის ეს მერიდიანი. პულკოვოსა და გრინვიჩის მერიდიანებს შორის სხვაობა შეადგენს +30°19'34"-ს.

4 „ვერსტოკები“ – ვერსულ სისტემაში შექმნილი რუკები რუსეთის იმპერიაში.



# რუკაზე დატანილი გეოგრაფიული ობიექტები



რუკაზე მოცემულია ფიზიკურ-გეოგრაფიული (რელიეფის ფორმები, ჰიდროგრაფიული ქსელი, ტყეები) და სოციალურ-ეკონომიკური ელემენტები, რომელთა ასახვისათვის გამოყენებულია სხვადასხვა პირობითი აღნიშვნები – გეომეტრიული და სიმბოლური.

## რუკის პირობითი ნიშნები

რუკის ლეგენდაში მოცემულია 36 პირობითი ნიშანი, მათგან 21 წერტილში, 13 ხაზში და 2 ფართობში ლოკალიზებული ნიშანი. ლეგენდაში არ არის მოცემული 2 პირობითი ნიშანი – **ჭაობებისა და მთების**, თუმცა სიტყვიერად ისინი მითითებულია.

ლეგენდაში ასევე არ არის მოცემული, თუმცა დატანილია რუკაზე 8 პირობითი ნიშანი. მაგალითად, **რესპუბლიკის დედაქალაქის** (თბილისი), **საქალაქო საბჭოს** (ფოთის), **გადასასვლელის** (გად. ჩამხარა პხალეკორი, გად. მარუხი, გად, კლუხორი, გადას. ნახარი და სხვ.), **ზღვის** (შავი), **ტბის** (თორთომის, პალიასტომის, ფარავნის, ჩილდირის და სხვ.), **არხის** (დიდი არხი, ყარაიას არხი), **ხიდის** (წითელი ხიდი), **საფლავის** (გიორგი ბატონიშვილის).

**რელიეფი** რუკაზე გამოსახულია დატუშვის მეთოდით – გორაკ-ბორცვიანი და მთიანი ტერიტორიები მუქი ყავისფერითაა შეფერილი. რელიეფის გამოსახვის ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლევა ამოვიკითხოთ ქედებისა და სერების ორიენტაცია, რელიეფის ფორმები – ვაკეები, სუსტად და ძლიერ დახრილი ზედაპირები და არა ადგილის აბსოლუტური სიმაღლე. მთელი დანარჩენი ტერიტორია, ჰიდროლოგიური ობიექტების გარდა, ფაქტობრივად შეუფერადებელია. უფეროდაა დარჩენილი **მყინვარებიც**. მწვანე ფერით რუკაზე მოცემულია **ტყის** არეალი. იგი, ფაქტობრივად, ასახავს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში შექმნილი რუსული 5-ვერსიანი რუკების გენერალიზებულ ვარიანტს.

## სახელმწიფო საზღვარი

განსაკუთრებით საყურადღებოა რუკაზე დატანილი სახელმწიფო საზღვრის კონტურები. აქ. გატარებულია საქართველოს რესპუბლიკის ძველი და ახალი საზღვრები. ცხადია, ახალი საზღვრები ასახავს 1922 წლის მდგომარეობას. მის უმთავრეს მონაკვეთზე, იგი ემთხვევა საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო საზღვრებს. ამიტომ იგი ასახავს იმ პოლიტიკურ რეალობას, რომელშიც იმ პერიოდში, გასაბჭოების შემდეგ იყო საქართველო და ეფუძნება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც დაიდო საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის სახელმწიფო საზღვრის გამიჯვნასთან დაკავშირებით. გარკვეულ კითხვას ბადებს ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორია, იმ დროისათვის არსებულ საზღვრებში, მთლიანად არ არის ასახული რუკაზე, კერძოდ, ბიჭვინთის მერიდიანის დასავლეთით მდებარე ტერიტორია.

რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის ძველ საზღვრებს, რუკის ლეგენდიდან საერთოდ არ იკითხება ზუსტად რა პერიოდს შეესაბამება იგი. მაგრამ არ უნდა იყოს საკამათო ის ფაქტი, რომ ძველი საზღვრები ასახავს 1921 წლამდე, ანუ საქართველოს გასაბჭოებამდე ვითარებას. გასაბჭოებული საქართველოს რუკაზე ქვეყნის ძველი საზღვრის ასახვა, რაც „მთავარი ცენტრის“ მახვილ თვალს არ უნდა გამოჰპარვოდა, რუკის აკრძალვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზადაც შეიძლება დაგვესახელებინა. ძველ საზღვრებში ქვეყნის შემადგენლობაში მისი ისტორიული მიწები – შავშეთი, ფოცხოვი, ერუშეთი, არტაანი, ლორე, ყარაია, ზაქათალა და სხვა ტერიტორიები, უთუოდ ნოსტალგიას და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის სურვილით განაწყობდა ქვეყნის ერთიანობისა და საზღვრების ურყევობის სურვილით შეპყრობილ მამულიშვილებს.

საქართველოს რესპუბლიკის ახალი და ძველი საზღვრების ფარგლებში მოცემულია აგრეთვე ახალი და ძველი სამაზრო საზღვრებიც.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები – 1922				
#	მაზრები და ავტონომიური ერთეულები 1922 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით	№	ადმინისტრაციული/ავტონომიური ერთეულები	ადმინისტრაციული ცენტრები
<b>აღმოსავლეთი საქართველო</b>				
1	ახალქალაქი	1	ჯავახეთი	ახალქალაქი
2	ახალციხე	2	სამცხე	ახალციხე
3	ბორჩალო	3	ბორჩალო	რატევანი
4	გორი	4		გორი
5	დუშეთი	5		დუშეთი
6	თელავი	6		თელავი
7	თიანეთი	7		თიანეთი
8	სიღნაღი	8		სიღნაღი
9	ტფილისი	9		ტფილისი – დედა ქალაქი
<b>დასავლეთი საქართველო</b>				
10	გემო-სვანეთი	10	სვანეთი	ბეჩო
11	ზუგდიდი	11		ზუგდიდი
12	ლეჩხუმი	12		ცაგერი
13	ოზურგეთი	13		ოზურგეთი
14	რაჭა	14	რაჭა	ონი
15	სენაკი	15		სენაკი
16	ქუთაისი	16		ქუთაისი
17	შორაპანი	17		ჭიათურა
18	ფოთის საქ. საბჭო	18		ფოთი *
<b>ავტონომიური ერთეულები</b>				
19	აფხაზეთი**	19		სოხუმი - დედა ქალაქი
		20		გუდაუთი
		21		ოჩამჩირე
20	აჭარა	22		ბათომი - დედა ქალაქი
		23		აჭარისწყალი
		24		ქედა
		25	ქობულეთი	ქობულეთი
		26		ხულო
21	სამხრეთ ოსეთი	27	სამხრეთ ოსეთი	ცხინვალი

\* საზღვარი არ არის დატანილი.

\*\* ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრები რუკაზე არ არის დატანილი.

წყარო: საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ქ. ტფილისი, 1930.

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილის გაბედული ნაბიჯი მარტო რუკის სახელწოდებით როდი გამოიხატა. იგი ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ასახვაშიც შეიძლება დავინახოთ. ამას გვაფიქრებინებს ის მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც არსებობს ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ 1922 წლის რუკასა და იმ დროს არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას შორის. ეს შეუსაბამობა გამოიხატება ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობის, მათი საზღვრებისა და სახელწოდებების მიხედვით. შევხებით ზოგიერთ მათგანს:

▪ საქართველოს 1922 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით ქვეყნის შემადგენლობაში შედიოდა 21 ერთეული: 17 მაზრა (9 აღმოსავლეთ, ხოლო 8 დასავლეთ საქართვე-




ლოში), 1 საქალაქო საბჭო (ფოთის) და 3 ავტონომია (აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი). აღნიშნულ რუკაზე კი, საქართველოს ახალი საზღვრების ფარგლებში 27 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია დატანილი;

- აჭარის ფარგლებში რუკაზე ძველი სამაზრო ერთეულებიცაა (აჭარისწყალი, ბათუმი, ქედა, ქობულეთი, ხულო) დატანილი, მაშინ, როცა საქართველოს 1922 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით. აჭარა მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით სარგებლობდა, ყოველგვარი სამაზრო დაყოფის გარეშე;

- აფხაზეთის ფარგლებში კი პირიქით, არ არის დატანილი არც ერთი ადმინისტრაციული ერთეულის საზღვარი, მაშინ როცა საქართველოს 1922 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით მის ფარგლებში 3 მაზრა მოქცეული: სოხუმის, გუდაუთისა და ოჩამჩირის. თუმცა სამივე ამ მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი შესაბამისი პირობითი აღნიშვნით რუკაზე დატანილია;

- რუკაზე 1922 წლისდროინდელი ადმინისტრაციული და ავტონომიური ერთეულის სახელწოდებები. უმეტეს შემთხვევაში. ძველი სახელითაა მითითებული. მაგალითად, ონის მაზრის ნაცვლად რუკაზე წერია „რაჭა“, ხოლო სიღნაღის მაზრის ნაცვლად – „კახეთი“. ამ გარემოებების გამო ნაშრომი ისტორიული რუკის დატვირთვისაც იძენს.





საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ფართობების დინამიკა 1921-1923 წლებში

რუკაზე დატანილი ობიექტების შესახებ მეტად საგულისხმო ახსნა-განმარტებების მოძიება შეიძლება ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებში. აქ ახსნილია არა მარტო ცალკეული ადგილების სახელწოდებები, არამედ ზოგადი სიტყვების – გეოგრაფიული ტერმინების რაობა და, რაც მთავარია, ის, თუ როგორ იყო იგი გააზრე-

„საქართველოს საისტორიო გეოგრაფია უნდა დავიწყოთ მოკლე საზოგადო მომოხილვით, რომელშიაც აღნუსხული იქნება ძველს ქართულს მწერლობაში შენახული ცნობები მთებისა და მდინარეების შესახებ, რომ ამისდა მიხედვით მერე მოსახლეობის ნიშანდობლივი მდებარეობა უფრო ადვილი მისაგნები იყოს.“

ბული ძველად. ეს მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი რუკაზე დატანილი ობიექტების სწორ გააზრებაში გვეხმარება.



საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ავტონომიური ერთეულებისა და მაზრების მიხედვით, 1922 წელი

მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს.

სიტყვა „ქვეყანა“ სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენებოდა დროის სხვადასხვა პერიოდში. იგი იყო პოლიტიკური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულიც. მას ჰქონდა ზოგადი – მხოლოდ გარკვეული ტერიტორიის აღნიშვნელი მნიშვნელობაც.

„თვისებათა მიხედვით, გარეგან მოყვანილობისა და მდებარეობისდა გვარად ქვეყანა შეიძლება ყოფილიყო „მთა“ და „ბარი“. სწორედ ეს მთა და ბარი განსაზღვრავდა ქვეყნის შიდა მხარეებს შორის არსებულ სამეურნეო და კულტურული ურთიერთობებს.

ამასთან, ივ. ჯავახიშვილი განმარტავს, რომ „ვაკე“, საბას სამართლიანის განმარტებისამებრ არის „ქვეყანა ბრტყელი“ (ლექსიკონი) და ამისდა გვარად იგი შეიძლება ყოფილიყო ბარადაც და მთაშიაც...“

ივანე ჯავახიშვილი მთელი რიგი გეოგრაფიული ტერმინების მთის, ბარის, მალლობის, ბორცვის, თხემის, ქედის, მწვერვალის, ვაკისა და ოროგრაფიული ერთეულების შესახებ მეტად საინტერესო ინფორმაციას გვანვდის და ასახელებს იმ წყაროებს, სადაც ეს ტერმინებია მოხსენიებული. ეს კვლევა მკითხველს ეხმარება სწორად გააანალიზოს და შეათასოს ისტორიულ წყაროებში მოცემული ჩანაწერები, ვინაიდან ზოგიერთი გეოგრაფიული ტერმინი დღეს მივიწყებას მიეცა, ან სხვა მნიშვნელობით გამოიყენება. მაგალითად, დღეს აღარ იყენებენ ტერმინს „თავი ქედთა“, რაც ქედის უმაღლეს მწვერვალს აღნიშნავდა ძველად: „გადაბმულ მთების ქედში რომელი მწვერვალიც უფრო მაღალი იყო, იმას ერქვა „თავი ქედთა“, – წერს მეცნიერი.

### ქვეყანა და მისი ნაწილები

„... ქვეყანა შეიძლება დიდ იყოფილიყო და პატარაც: ქართლსა, სამცხესა, კახეთს, მესხეთს და ეგრისსაც ქვეყანა ეწოდებოდა, მათს შემადგენელს ნაწილებსაც“... – წერდა ივ. ჯავახიშვილი.

როგორც მან დაადგინა, მდებარეობისდა მიხედვით, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილს სხვადასხვა სახელი რქმევია ძველ საქართველოში:

- ◆ „გარეშემონი ქვეყანანი“, „მიმდგომი ქვეყანა“, „მიმდგომნი ქვეყანანი“ – ქვეყნის მახლობლად მდებარე მიდამოები;
- ◆ „უზინაგანესი“ – ქვეყნის მოსახლეობის შუაგული;
- ◆ „სანახები“ ანუ „სანახებნი“ – განსაკუთრებულ საზღვრებს შუა მოქცეული ქვეყანა;
- ◆ „არე“ – ქვეყნის კუთხე.

### მთანი ტყიანი და უტყეო

- ◆ „ზოგჯერ მთის სიმაღლისდა მიხედვით შემოსილობა იცვლებოდა ხოლმე: ჯერ „მარადის თოვლიანი“, მერე „უტყეო“, „კალთათა ბალახოვანი, ყვავილიანი“..., ან „კალთათა ტყიანი“... იყო ხოლმე“;
- ◆ „შემოსილობისდა მიხედვით მთები არიან „ბალახოვანი“, „შამბნარიანი“, „ყვავილოვანი“... ტყით შემოსილი მაღლობი ადგილების საზოგადო სახელი „მაღნარი“ იყო;
- ◆ „ძნელი გამოსაცნობია, თუ რა იყო „ღირღალნი“... „ღირღლოვანი“...? როგორც ეტყობა, არც საბა ორბელიანს სცოდნია ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობა: «ღელღელულა ადგილი», ამბობს იგი ბუნდოვანად (ლექსიკონი): მაგრამ ქვემო მოყვანილ მაგალითებიდან ჩანს, რომ ეს განმარტება გამოუსადეგარია: გრიგოლ ხანძთელი უამბობს აფხაზთა მეფეს ხანძთაში სახნავი და სათიბავი მიწები სრულებით არ არის და «არცა იქმნების ღირღლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადლოთაჲსა»...; მაშასადამე, ღირღლოვანი მწვერვალზე ყოფილა, მწვერვალის დამახასიათებელი იყო და არა ღელღელულესი. თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებიც ამას ადასტურებს: როდესაც ქართველთა ძლევა მოსილი მხედრობა ქ. მარანდს მივიდა, მარანდელნი «შელტოლვილ იყუნეს ღირღთა (ქცა ღირღალთა) და კლდეთა მაღალთა, რომელ არს ზედა კერძო თავსა მთისა მარანდისასა»...».

რუკაზე არაერთი ტოპონიმი დატანილი, რომლებიც „ხევი“ სიტყვიდანაა ნაწარმოები. მათ მიეკუთვნება: საგეოგრაფიო-საგამგებლო ადმინისტრაციული ერთეულების, დასახლებული პუნქტების (თეთრახევი და ორხევი – მცირე სოფლები თიანეთის მაზრაში, ბოდბის ხევი – სიღნაღის მაზრაში, კავთისხევი და მეჭვრსიხევი გორის მაზრაში), ოროგრაფიული და ჰიდროგრაფიული (მდინარეები: მურღულის ხევი ართვინის ყოფილ მაზრაში, ბაზარხევი სიღნაღის მაზრაში) და სხვა ობიექტების აღმნიშვნელი მრავალი სახელი. მათი აბსოლუტური უმეტესობა მდინარეთა სახელწოდებებია.

„საქართველოს უდარაჭებს და საზღვრავს „ჩრდილოეთ მთა კავკასია“, – ივ. ჯავახიშვილის ამ ჩანაწერში „მთა კავკასიის“ სახელით ქვეყნის ჩრდილოეთ მხარეს გადაჭიმული კავკასიონის მთიანეთია ნაგულისხმევი. მისივე თქმით,



### წელიწადის უარყოფითი ფორმების აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინი

„ღელე... საბა ორბელიანის სიტყვით, არის „ჰვეი მცირე“, ჰვეი... არის „უდიდეს და უღრმეს და წლოვანებითაცა მეტი ღელეთასა“, „ნაღვარევი“... ჰვეს აქვს დასაწყისი, რომელსაც ეწოდებოდა „თავი ჰვეისა“..., და ბოლო, რომელსაც ერქვა „დასასრული ჰვეისა“...

ამის გამო უწოდებიათ საქართველოსათვის „ქუეყანასა ჩრდილოდსა-სა კავკასიათა“.

ივანე ჯავახიშვილის კავკა/სიონის მრავალი შტოებიდან მხოლოდ რამდენიმეს ასახელებს, მხოლოდ იმათ, სადაც მისივე თქმით, „თავდება ქართველთა მოსახლეობა და ამიტომ დანარჩენი ნაწილები სახელებს აღარ გამოვევიდებით“. ქართველთა განსახლების არე-

ლად აქ იგი ასახელებს კავკასიონის შემდეგ მონაკვეთებს: მთანი აფხაზეთისანი, სვანეთის მთები, მთა-სა ჯადისასა, მთასა ფხოველთასა და მთასა დიდოთასა.

### საქართველოს მდინარეები

„თუმცა დასავლეთი საქართველო ბუნებისაგან უფრო უხვად არის მდინარე წყლებით დაჭიდოვებული, მაგრამ ცნობები ძველს ქართულს მწერლობაში აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების შესახებ უფრო მეტი მოიპოვება. ეს გარემოება, რასაკვირველია, იმით აიხსნება, რომ ჩვენმა ისტორიკოსებმა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის მიწა-წყალი კარგად იციან, დასავლეთის შესახებ-კი მხოლოდ საზოგადო წარმოდგენა აქვთ. თუ მომავალში აღმოჩნდებიან ისეთი წყაროები, რომლებშიაც, გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებათაებრ, ადგილობრივი და არა საზოგადო საქართველოს ცხოვრება და მიწა-წყალი იქმნება აწერილი, მაშინ ჩვენ უეჭველია შეგვეძინება უხვი მასალები დასავლეთ საქართველოს ჰიდროგრაფიისათვის“.

ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის ივ. ჯავახიშვილი მრავალ წყაროს ეყრდნობა და მხოლოდ მათი ურთიერთშედარებითი ანალიზით აკეთებს დასკვნას. ასე განსაზღვრა და დაადგინა მან მრავალი მთის, მდინარისა თუ სხვა გეოგრაფიული ობიექტის ლოკალიზაცია.

### ჰიდროგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინი

◆ „როგორც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებითგან ჩანს, ძველს ქართულს მწერლობაში ტბასაც თურმე ზღვა ეწოდებოდა... ასეთი მოვლენა მართო ქართულში არ არის, არამედ, ძველს მაგ. აღმოსავლეთის მწერლობაში, სპარსულში, სომხურში და სხვათა, ზღვასა და ტბას ერთი და იგივე სახელი აქვს“;

◆ „...როდესაც წყალი სიმაღლითგან ეცემა, «უკეთუ წყალი მაღალთა კლდეთა ჩამოდის – დაჩქერი და დაბალთა კლდეთა – ჩანჩქერი, ხოლო ლოდნართა მჩქერვლობასა – გოჩგოჩანასა“... ეძახიან“;

◆ „როდესაც მდინარე მიმდინარეობის მიმართულებას შეიცვლიდა, ამაზე ითქმოდა „მოიქცევის“... ან „მოდრკების“... ჩვეულებრივ მდინარე ან მეორეს, ან ზღვას „მიერთვის“, „შეერთვის“, „ერთვის“ ხოლმე...“;

◆ „იმ წყალს, რომელიც მეორეს ერთვის, „შემდინარე“... ეწოდებოდა. როდესაც სხვადასხვა წყლები ერთდებოდნენ, ამას წყალთა შეკრებაჲ ერქვა“... ხოლო იმ ადგილს, სადაც ერთი მდინარე მეორეს უერთდება, „შესაკრებელი“..., ანუ „შესართავი“.

## კავკასიონი

კავკასიონის ქედი „...ინყება შავი ზღვითგან იქ, სადაც ერთვის „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“; ...მცირე ხაზარეთის მდინარე უნდა, ალბათ, ყუბანი იყოს და მართლაც აქ ნახევარკუნძულ ტამანთან ინყება კავკასიონის მთა. ამ ბუმბერაზ მთას აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ აქვს მიმართულება და შუა ადგილას ორ ტოტად იყოფება: ერთი მთავარი უღელტეხილია, მეორე მის ჩრდილოეთით მდებარე უფრო დაბალი ქედი, რომელსაც იგივე მიმართულება აქვს, რაც მთავარ უღელტეხილს. ამ მთავარი უღელტეხილითგან მრავალი შტოები გამოდის, რომელთაც სხვადასხვანაირი მიმართულება აქვთ. მთავარი უღელტეხილის სხვადასხვა ნაწილებსაც, მის რიცხვმრავალს შტოებსაც თავთავიანთი სახელები აქვთ“.

მისთვის უცხო იყო სიყალბე მეცნიერებაში, არ წერდა დაუზუსტებელ ფაქტებზე დაყრდნობით. ამიტომ მის ნაშრომებში მრავლადაა ჯერ კიდევ დაუდგენელი და დაუზუსტებელი გეოგრაფიული ობიექტები, რომელიც სამომავლო კვლევისათვის შემოენახა მის შემდგომ თაობებს.

## ლიხის ქედი და ღადო

„...იგი ქართველთა მიწადაა ორს ნაწილად ჰყოფდა, იმიერ და ამიერ საქართველოდ: მცირით მთითგან რომელ არს ლიხია“ ინყებოდა „მარგუეთი“ და დასავლეთისაკენ იყო გადაჭიმული..., ლიხის მთის აღმოსავლეთით – კი ქართლი მდებარეობდა. ეს მთა თანამედროვე ტოპოგრაფიულს მწერლობაში ქართლ-იმერეთის მთად არის ცნობილი და როგორც ქართველი ისტორიკოსი ამბობს, არის „მთა მცირე“; მართლაც არც თუ ძალიან მაღალი, უფრო რომ დაბალი, ტყით შემოსილი ქედია, რომელიც შავი ზღვის და კასპიის ზღვის მდინარეებს ერთი-ერთმანეთისაგან ჰყოფს.

ამ ლიხის მთას სულ სამხრეთ-დასავლეთისკენა აქვს მიმართულება არჯევანის მთამდე, რომელიც ვითარცა თრიალეთის მთების წვერი აღმოსავლეთით დასავლეთისაკენ მიმდინარე ლიხის მთას დასავლეთით უდგება და იმასთან ერთად ბორჯომის ვიწრო ხეობას ჰქმნის. ამ ადგილითგან მოყოლებული ლიხის მთების მიმართულება ერთბაშად იცვლება და პირს დასავლეთისაკენ იქცევს. ლიხის მთების ამ გაგრძელებას „ღადო“ ერქვა...

ამ ნაწყვეტიდან მაინცა-და-მაინც ცხადად ჩანს, რომ ლიხის მთა და ღადო ერთმანეთის პირდაპირს გაგრძელებას შეადგენენ, ერთი უღელტეხილის ნაწილები არიან. ჩვენ ვიცით, მაშასადამე, სად ინყება ღადო, გამოსარკვევი დაგვრჩა, თუ სად თავდება იგი...

ჯვენი, რომელნიც ღადოს მთას ზედ ადგებოდნენ, არსიანის მთის მახლობლად, მის აღმოსავლეთით იყვნენ. ხოლო ლეონტი მროველის ზემომოყვანილი სიტყვებიც ამტკიცებენ, რომ ღადოს მთა სამცხეში იყო, ოძრჯეს ქვეყანაში, ესე იგი ეხლანდელი აბასთუმანის მახლობლად. ღადოს დასავლეთის წვერის მდებარეობა მეტის სისწორით მაშინ იქნება განსაზღვრული, როდესაც გამოირკვევა, თუ სად იყო ციხე დემოთი. ეხლანდელს 5-ვერსიან რუკაზე, არცა სხვა რაიმე წყაროში იგი აღნიშნული არ არის; მისი მდებარეობა არც ვახუშტისა სცოდნია დაჭეშმარიტებით...

ღადო მთის სახელი ეხლაც არის შენახული და თანამედროვე ტოპოგრაფიული აღწერილობისდა მიხედვით ღადოდ, ანუ სამცხის მთებად იწოდებიან მთები აწყურითგან მოყოლებული წყალწითელის მთამდე, რომელიც ოძრჯეს მახლობლად, აღმოსავლეთისაკენ მდებარეობს. წინათ-კი, როგორც ჩანს, ღადოდ იწოდებოდა მთა ლიხითგან მოყოლებული ვკონებ არსიანამდის“.

რუკა შედგენილია ევსევი ბარამიძის მიერ პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით.

**ევსევი ნიკიფორეს ძე ბარამიძეს (1895-1960)** წილად ხვდა ემუშავა ივანე ჯავახიშვილთან ერთად რამდენიმე კარტოგრაფიულ ნაწარმოებზე და შეექმნა იმ დროისათვის პირველი ქართული საშუალომასშტაბიანი რუკები ქვეყნის მთელი ტერიტორიისათვის. ივანე ჯავახიშვილი ეტყობა ენდობოდა მას და სწორედ ამიტომაც მასთან ერთად ქმნიდა ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვან კარტოგრაფიულ პროდუქტებს.



ევსევი ბარამიძე

ევსევი ბარამიძე იყო წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი, შტაბ-კაპიტანი. საბჭოთა წლებში, მრავალი წლის მანძილზე, იგი მეტად საპასუხისმგებლო სამუშაოს ასრულებდა: იყო სახალხო კომისართა საბჭოში საქართველოს დარაიონების სექტორის გამგე, XX საუკუნის 30-იან წლებში მუშაობდა ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში.

ევსევი ბარამიძის კვალიფიკაციაზე მეტყველებს შინაგან საქმეთა და მიწათ-მოქმედების სახალხო კომისრის სახელზე 1924 წლის ივლისში მის მიერ დაწერილი წერილი. იგი მიმართავს კომისარს თხოვნით საქართველოს 5-კმ-იანი მასშტაბის ადმინისტრაციულ-ეკონომიური რუკის გამოცემის შესახებ. წერილში მოცემულია რუკის გამოცემის მიზანი, შინაარსი, მუშაობის წარმოების პირობები და ხარ-

ჯთადრიცხვა. აღწერილია ის პრობლემური ვითარება, რომელიც დაკავშირებულია რეალური სიტუაციის ამსახველი რუკის არარსებობის შესახებ. ამასთან იგი ახასიათებს იმ ძირითად პრინციპებს, თუ როგორ უნდა შედგეს რუკა და რა ძირითადი ობიექტები უნდა იყოს მასზე დატანილი: „ამ ჟამად სრულებით არ მოიპოვება არც ერთი რუკა ან გეგმა, რომელიც სისწორით გამოხატავდეს ამ დროინდელ გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ სინამდვილეს. რუსული გეგმები და რუკები შედგენილია 30 წლის წინად კავკასიის ტოპოგრაფიულ კორპუსის მიერ და ძირითადი შევსება და შესწორება... 30 წლის წინად ნაჩვენები ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ტყეები, ეთნოგრაფიული რიცხვითი შემადგენლობა დასახლებულ პუნქტებისა და სხვ. დღეს აღარ შეეფერებიან სინამდვილეს...“

რუკის შინაარსი: რუკა აიხაზება 13 თაბახზე და გამოიცემა 5 ფერად. მასში მოთავსებული იქმნება ყველა დასახლებული პუნქტები, მათი ეთნოგრაფიული შემადგენლობის აღნიშვნით. სახალხო მამულები. ყველა სახელმწიფო და კერძო დანესებულებანი პროვინციებში. ახალი საზღვრები, როგორც რესპუბლიკის ისე მაზრების და რაიონების, საძოვარი და სახნავი ადგილები, ტყეები, ბუნებრივი სიმდიდრეები. ყველა გზები, ტბები და მდინარეები. ყინულოვანი მთები, მთები მათი სიმაღლის აღნიშვნით ზღვის დონესთან შეფარდებით, ზღვა, გზები, ხიდები და სხვა“.

1930-იან წლებში ევ. ბარამიძემ არაერთი სამეცნიერო თუ სასწავლო დანიშნულების რუკა შეადგინა:

- საქართველოს სსრ რესპუბლიკის რუკა. რედაქტორი ევ. ბარამიძე. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის გამოცემა, 1925. მასშტაბი 1:420,000;
- სვანეთის ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული რუკა. შედგენილი ევნ. გაბლიანის რედაქტორობით ევ. ბარამიძის მიერ. 1925. მასშტაბი 5 ვერსი დიუმზე;
- საქართველოს სსრ ადმინისტრაციული რუკა. შემდგენელი ევ. ბარამიძე. თბილისი: ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამოცემა, 1930. მასშტაბი 1:900,000;
- საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. სასწავლო რუკა. ქართული გამოცემის ხელმძღვანელი დ. დონდუა, ევ. ბარამიძე, რედაქტორი მ. შელუდიაკოვა. ლენინგრადი, 1936. მასშტაბი 1:5,000,000;
- და სხვ.

ევ. ბარამიძეს, ციმბირში ათწლიანი გადასახლების შემდეგაც, არ შეუწყვეტია კარტოგრაფიული მოღვაწეობა და მუშაობა განაგრძო სოფლის მეურნეობის სამინისტროში ტოპოგრაფ-კარტოგრაფად. თუმცა მის მიერ ამ პერიოდში გამოცემული რუკები ცნობილი არ არის.



# საქართველოს ბოტანიკურ-აგრონომიული არეების რუკა

## ძველი წყაროების მიხედვით

### ზოგადი ინფორმაცია რუკის შესახებ

ტერიტორიული მომცველობა: ისტორიული საქართველო და მოსაზღვრე რეგიონები  
საკოორდინატო სისტემა: მეტრული სისტემა  
რუკის მასშტაბი 1 : 2,100,000 (1 სმ-ში 21 კმ).  
ტონალობა: შავ-თეთრი  
მასალა: ქაღალდი

„საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა ძველი წყაროების მიხედვით“ პირველად გამოიცა 1930 წელს ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე გამოცემის დანართის სახით. რუკა შესრულებულია ევ. ბარამიძის მიერ და პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით.

რუკის შინაარსობრივი მხარე (არეების ტერიტორიული მომცველობის განსაზღვრა) შესრულებული უნდა იყოს თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ, რაც მისი ნაშრომის – „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ – ტექსტიდანაც ირკვევა. ავტორი აქ საკმაოდ დეტალურად აღწერს თითოეული

არის გავრცელებასა და ამა თუ იმ კულტურის მოყვანის შესაძლებლობას. ამასთან, ამავე გამოცემის წინასიტყვაობაში იგი მადლობას უხდის ტოპოგრაფ ევსევი ბარამიძეს რუკის დახატვისათვის.

რუკა დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

რუკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბოტანიკურ-აგრონომიული თვალსაზრისით. ივანე ჯავახიშვილს არ მიუღია სპეციალური აგრონომიული განათლება. მიუხედავად ამისა, მის მიერ შედგენილი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ და „საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა ძველი წყაროების მიხედვით“ აშკარა საბუთია იმისა, რომ იგი ღრმად განსწავლული მეცნიერი იყო, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა ეკონომიკურ და აგრონომიულ საკითხებში. როგორც ნ. კეცხოველი აღნიშნავდა, „*ვახუშტის შემდეგ (1742 წლიდან) XX საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულამდე საქართველოს კულტურულ მცენარეთა ზონალობას ასე სრულად არავინ შეხებია. თუ კავკასიის მკვლევარნი ამ საკითხზე წერდნენ, ამას ან შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ან კულტურულ მცენარეთა ერთ რომელიმე განსაზღვრულ სახეობას ან ჯგუფს ეხებოდნენ, ანდა სხვა რაიმე საკითხთან დაკავშირებით მოიხსენიებდნენ*“.

ბოტანიკურ-გეოგრაფიულის გარდა, რუკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ძველი წყაროების ანალიზის საფუძველზე, ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ „*გემომოყვანილი ყველა ცნობების თავისდათადაც და რუკის დახმარებითაც შესწავლა მკვლევარს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის შესაძლებლობასაც ზედმიწევნით გაუთვალისწინებს და ჩვენი ქვეყნის წარსულისა როგორც ეკონომიური, ისევე პოლიტიკური ისტორიის არაერთ მნიშვნელოვან საკითხსაც სისწორით გაარკვევინებს... უკვე ბოტანიკურ-გეოგრაფიულისა და აგრონომიული არეების ზოგადი მიმოხილვაც-კი ადამიანს ფრიად საგულისხმო სურათს გადაუშლის*“...

როდესაც ივ. ჯავახიშვილი ქმნიდა შრომებს ქართველი ერის ისტორიის შესახებ, ქვეყნის მიწა-წყალს ერთ მთლიან სხეულად წარმოაჩენდა, რომელიც „*ბუნებრივი ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიურად ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული*“.

ივ. ჯავახიშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ისტორიის შესწავლას. ველური მცენარეების გაკულტურებასა და ცხოველთა მოშინაურებას საზოგადოების კულტურის ნაწილად განიხილავს და აღნიშნავს: „*ყოველი ამის შესახები გამოკვლევა ადამიანის კულტურის ისტორიასაც აფართოებს და აღრმავებს*“.


„ქართველი ერის მოღვაწეობა მართო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ასპარეზით არ განისაზღვრებოდა, არამედ მეურნეობაშიც მას დაუცხრომელი მუშაობა უწარმოებია და იმ ხანაში, რომელსაც ეს წიგნი ეხება, მისი საქმიანობა ამ დარგში საკმაოდ ნაყოფიერი ყოფილა. თუ აქამდის ჩვენ უცხოელებთან უმთავრესად ბრძოლის ამბები ვიცოდით, ეხლა უკვე ვრწმუნდებით, რომ ამას გარდა მეურნეობის სფეროში მათთან ურთიერთობაც ყოფილა და, და, პოლიტიკური ბრძოლისდა მიუხედავად, მართო მეზობელი კი არა, არამედ მონინააღმდეგეთა ქვეყნებითგანაც მეურნეობის სფეროში გამოსადეგი მონაპოვარი და მნიშვნელოვანი გამოცდილებაც გამოუყენებია ისევე, როგორც ქართულ სასოფლო მეურნეობასაც სხვათა მეურნეობაში თავისი წვლილი შეუტანია“.

„...განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების წყალობით ყოველ თემს ყველაფერი, რაც მის მცხოვრებლებს სჭირდებოდათ, არც ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა. მთა ადგილების მკვიდრთ თავიანთი საკუთარი არც ღვინო და არც ხილი არ შეიძლება ჰქონოდათ, ბარელებს, თავის მხრივ, რასაკვირველია, ხორბლეულისა და ქთილეულის ის სიუხვე უნდა შეჰპურებოდათ, რომელიც საქართველოს მალეობ თემებს გააჩნდათ.

ამას გარდა, წვრილფეხა საქონელს მალეობი ადგილების სუსხიანი ზამთრისა და თოვლიანი, უბალახო პირობების ატანა არ შეეძლო. ამიტომ მესაქონლეობის მიმდევარი მთის მცხოვრები ცხვრის ფარას ზამთრობით თავის თემში ვერ დასტოვებდა. მას თავისი საქონლისათვის ბარის თბილი და ზამთრის საძოვრიანი ადგილები აუცილებლად სჭირდებოდა. თავის მხრით ბარის მცხოვრებსად საკუთარი წვრილფეხა საქონლის ზაფხულობით ბარად დატოვება არ შეეძლო, რადგან ცხვარს არც აქაური სიცხის ატანა შეეძლო და არც საკმაო საძოვარი ექმნებოდა“.

## სახელმწიფო საზღვარი

რუკაზე დატანილი საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, მის უმთავრეს პერიმეტრზე, ემთხვევა 1923 წლის რუკაზე გატარებულ საზღვარს. გამონაკლისია „რანისა“ და „დვალეთის“ მონაკვეთები.



ისტორიულ რუკაზე რანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელიც მოიცავს შამქორ-განძის მიდამოებს – მდინარეების შამქორის წყლის, ხარგურის, განძის აუზებს მთლიანად და მდ. ყაინაღის აუზს ნაწილობრივ, მოქცეულია საქართველოს ფარგლებში. წარმოდგენილ რუკაზე კი რანის მთელი ტერიტორია ქვეყნის მიღმაა დარჩენილი. დვალეთის ტერიტორია – მდ. კასრის წყლის (დღ. მდ. არდონი) ზემო წელის აუზი, ორივე რუკაზე საქართველოს ფარგლებშია მოქცეული, თუმცა წარმოდგენილ რუკაზე საზღვარი უფრო ჩრდილოეთითაა გატარებული. ამის

დამზერა რუკის მარტივი ვიზუალური დათვალიერებითა და გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრით შეიძლება. ჩ.გ. 43<sup>0</sup>-ის ხაზი გადის ქ. ძაუგის (დღ. ვლადიკავკაზი) სამხრეთით. წარმოდგენილ რუკაზე დაახლოებით ამავე განედზე არის გატარებული საზღვარი მდ. კასრის ხევის (არდონის ზემო წელის აუზი) ხეობაშიც, თუმცა ისტორიულ რუკაზე ამის თქმა არ შეიძლება. საზღვარი აქ გაცილებით სამხრეთითაა გატარებული.

## რუკის პირობითი ნიშნები

რუკაზე დატანილია 18 პირობითი ნიშანი, რუკის ლეგენდაში კი მოცემულია მხოლოდ 14. მათ შორისაა 3 წერტილში (სატახტო ქალაქი, ქალაქები, დაბა-სოფლები), 4 ხაზში (სახელმწიფო და არეების საზღვრები, მთავარი გზები, მდინარეები) და 7 ფართობში ლოკალიზებული (ტბები და ბოტანიკურ აგრონომიული არეები) ნიშანი.


ლეგენდაში არ არის ასახული მთების, იზობათების, ქვეყნებისა და თემების სახელწოდებები. რუკაზე სულ 2 მთაა (იალბუზი, რკინის პალო) დატანილი და ისინიც განსხვავებული პირობითი ნიშნებითაა მოცემული. რაც შეეხება ქედებს – ცივ-გომბორისა და ლეკეთის მთებს, როგორც მიღებულია, მხოლოდ ტექსტითაა აღნიშნული. იზობათები ზღვისა და ტბების აკვატორიაში არ ასახავენ რეალურ სიღრმეებს. იზობათებისათვის გამოყენებული პირობითი ნიშანი გამოყენებულია მხოლოდ სხვა ფართობითი ობიექტებისაგან გარჩევის მიზნით. გარდა აღნიშნულისა, ლეგენდაში არ არის ასახული 1 პირობითი ნიშანი, რომელიც დატანილია მდ. კაპოეტის წყლის (დღ. ბზიფი) აუზში, თან. მდ. იუფშარის მარჯვენა მხარეს.

## ტოპონიმები

რუკაზე დატანილია: სახელმწიფო საზღვარი, მდინარეები, ტბები, მთავარი გზები, სატახტო ქალაქი, ქალაქები და დაბა-სოფლები, აგრეთვე მთები, თუმცა მათი პირობითი აღნიშვნები არ არის შეტანილი რუკის ლეგენდაში.

რუკაზე სულ დატანილია 202 ტოპონიმი, რომელთა უმეტესობა ოიკონონიმაა. აქედან 67 დაბა-სოფლების, ხოლო 42 – ქალაქების სახელწოდებაა.

როგორც წესი, მსგავსი შინაარსის რუკების ზოგადგეოგრაფიულ საფუძველს უმთავრესად ქმნის ოროჰიდროგრაფიული ერთეულები და ნაკლებად ადმინისტრაციული ქორონიმები (მხარეები, პროვინციები, თემები და სხვ.). წარმოდგენილ რუკაზე კი ამ ფუნქციას უმთავრესად ასრულებს ჰიდროგრაფიული ქსელი და ისტორიული საქართველოს ადმინისტრაციული ქორონიმები. რუკაზე 33 მდინარეა დატანილი, რაც აადვილებს აგრონომიული არეების ტერიტორიული გავრცელების აღქმადობას. ოროგრაფიული ერთეულები კი სულ 4-ია (იალბუზი – მთა; ლეკეთის მთები, რკინის პალო – მთა და ცივ-გომბორის მთები).



მსგავსი შინაარსის რუკისათვის ზოგადგეოგრაფიულ საფუძველად ადმინისტრაციული ქორონიმების გამოყენება უთუოდ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებით უნდა აიხსნას. ივანე ჭავჭავაძის ქართველი ერის ისტორიას ეკონომიკური განვითარების წანამძღვრების საფუძველზე აგებდა. მას კარგად ესმოდა, რომ პოლიტიკური და სამეურნეო ისტორია ურთიერთგადაჭაჭვულია და რომ სწორედ ბუნებრივმა გარემომ და ამ გარემოში ჩამოყალიბებულმა სამეურნეო ცხოვრების სტილმა ჩამოაყალიბა ქვეყანა ერთ მთლიან სხეულად.



ივანე ჯავახიშვილს კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აგრონომიული არეების შესწავლას საქართველოსათვის. მეურნე სახლდებოდა იქ, სადაც მოხერხებული იყო საცხოვრებლად და დასახლებების გასაშენებლად, აგრეთვე სოფლის მეურნეობისათვის საწარმოებლად. ამასთან მეურნე იმ მეურნეობას ავითარებდა, რომელიც კონკრეტული აგრონომიული არისათვის იყო შესაფერისი.

„ვახუშტის თხზულებითგან ჩანს, რომ უძველესი დროითგან საქართველოში მიღებული ქვეყნის ორად დანაწილება, ბარად და მთად, გეოგრაფიულ თვისებებთან ერთად, იმავე დროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა. მთის ზოლის თვისებას ამ მხრივ უვენახობა, უხილობა და მარცვლეულობის მოსავლის სიმცირე წარმოადგენდა, ბარის ზოლისას კი სწორედ ვენახიანობა, ხილიანობა და „მოსავლიანობა...“

საფიქრებელია, რომ ძველ ძეგლებშიც მთა და ბარი მარტო გეოგრაფიულად-კი არა, არამედ ამნაირადვე მთისა და ბარის ზოლებად და მეურნეობად უნდა ყოფილიყო ნაგულისმხევი“.

საქართველოს ფარგლებში მოქცეულ ტოპონიმთა რაოდენობაა 167, საქართველოსა და სხვა ქვეყნის საზღვარზე მდებარესი – 6, ხოლო ქვეყნის ფარგლებს გარეთ – 29 ტოპონიმი.

ბოტანიკურ-აგრონომიული არეების რუკის შედგენისას ივ. ჯავახიშვილს გამოუყენებია მრავალი წყარო: „სპეციალური მწერლობისა და წყაროების შესწავლა დამჭირდა, იძულებული ვიყავი აუარებელი დრო და ენერჯია შემეღია ისეთი საკითხების გამორკვევისათვის, რომელიც ბოტანიკოს-აგრონომების მოვალეობას შეადგენს“, „ჩვენში სასოფლო მეურნეობის ისტორიის მკვლევარი არსადა სჩანს და ამისათვის აუცილებელი წყაროების ენათა ცოდნაც ჯერ არავის გააჩნია“.

უმთავრესად იგი ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებას ეყრდნობა: „ვახუშტის მოძღვრებისა და სქემის შესწავლის შემდგომ საქართველოში არსებული ბოტანიკურ-გეოგრაფიული ზოლების შესახებ, უნდა თავმოყრილი იყოს ყველაფერი, რაც ძველი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო არეების გამორკვევასა და რუკის შედგენას შეგვაძლებინებს. საისტორიო ძეგლებსა და საბუთებში გაფანტული და უმთავრესად ვახუშტის ცნობების მიხედვით ამ საყურადღებო საკითხის შესწავლა საკამათო ზედმიწევნოლობით შეიძლება“.

რუკაზე მოცემულია **6 ბოტანიკურ-აგრონომიული არე:**


1. თურინჯ-ნარინჯის
2. ბრინჯ-ბამბის
3. ვენახ-ხილიანის
4. უვენახ-ხილო
5. ბალახ-ყვავილოვანი
6. ზამთრის საძოვრები

ივანე ჯავახიშვილი იძლევა სხვადასხვა ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო შეფასებას:

„...თურინჯ-ნარინჯისა და ბრინჯ-ბამბის არეები საქართველოს მხოლოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კიდებზე მოეპოვება. მთელი დანარჩენი ტერიტორია ორ მთავარ დიდ, ვენახ-ხილიანსა და უვენახ-ხილო არეს უკავია. ამასთანავე დამახასიათებელია, რომ ვენახ-ხილიანი არეს ზოლი შუაშია მოქცეული, აქეთ-იქით-კი, ჩრდილოეთითა და სამხრეთით, ვენახ-ხილიან ზოლს ჯერ უვენახო, მერმე უვენახ-ხილო და შემდეგ ალპური საძოვრების არე აკრავს. ოდენობით ეს უკანასკნელი, უვენახ-ხილო და ალპური, ზოლი ვენახ-ხილიან არეს საგრძნობლად სჭარბობს...“

უვენახ-ხილო არე ბუნებრივი პირობების წყალობით ერთის მხრით ხორბლეულისა და ქრთილეულის კულტურისათვის იყო განკუთვნილი, მეორეს მხრით, ვრცელი, საუცხოო, საზაფხულო საძოვრების დიდი სიუხვის გამო, ამასთანავე მრავალრიცხოვანი მესაქონლეებისათვის იყო გამოსადეგი. აღსანიშნავია, რომ საზაფხულო საძოვრების სიუხვე და სივრცე უმთავრესად საქართველოს სამხრეთ ნაწილში მოიპოვება, ჩრდილოეთით მდებარე საზაფხულო საძოვრებს-კი, საქართველოს ამ საზღვრებში მინისა და ფართო ვაკე ადგილების სიმცირის გამო, შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს“.

**თურიჩ-ნარინჯის ბოტანიკურ-აგრონომიული არე** ყველაზე მცირე გავრცელებისაა. წარმოდგენილია მხოლოდ კოლხეთის ბარის ზოლში – შავი ზღვის სანაპიროს სიახლოვეს აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის ფარგლებში. აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის ტერიტორიაზე ეს არე წყვეტილად, მცირე ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი და ბრინჯ-ბამბის არეს ენაცვლება. სამხრეთ ზღვისპირა ვაკეებზე კი, მდ. ჭოროხის ქვემო წელში – ვახაბრისა და გონიოს ვაკეებზე, ერგესა და ლიგანის ხეობებში უწყვეტ ფართობს ქმნის. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ კოლხეთის ბარის სამხრეთ ნაწილში თურიჩი და ნარინჯი თითქმის ყველგან იყო გავრცელებული, ხოლო ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილებში – ფრაგმენტულად.




ეს სუბტროპიკული კულტურების გავრცელების არეა, სადაც ხელსაყრელი ოროგრაფიული, კლიმატური და ნიადაგური პირობები ამ კულტურების მაღალ მოსავალს იძლეოდა.

*„თურიჩ-ნარინჯის არე საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე ყოფილა მხოლოდ ოდიშში ადგილ-ადგილ, ხოლო ბათუმის მიდამოებში, გონიას, ერგეს და ლიგანის ხეობაში თურიჩი ნარინჯი და ზეთისხილი ყველგან ხარობდა და იყო“.*

*„თურიჩი ძველ საქართველოში გარეგანი მოყვანილობითაც, ფერთაც, მშვენიერი სურნელებითაც და გემოთიც საუკეთესო ხილად იყო მიჩნეული“.*

**ბრინჯ-ბამბის ბოტანიკურ-აგრონომიული არე** ვრცელდება როგორც დასავლეთ, ისე მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, თუმცა „ბრინჯ-ბამბის არედ კუხეთის ბარი, გაღმა-მხარი, მტკადრე ენისელი, გარე-ვახეთში ივრის სანაპიროები ითვლებოდა...“



არე მოიცავს მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროს, მდ. ივრის ქვემო წელის ორივე მხარეს და ქვემო ქართლის ტერიტორიას რუსთავ-იალღუჯა-ხუნანის ფარგლებში. ერთი მცირე ფრაგმენტის სახით ეს არე წარმოდგენილია მდ. ივრის შუა წელში, თანამედროვე ქ. საგარეჯოს სიახლოვეს. ამრიგად, ეს ბოტანიკურ-აგრონომიული არე უმთავრესად ვახეთსა და ქართლში ყოფილა წარმოდგენილი. *„უფრო მეტი სივრცე ამ კულტურას ლიხთ-ამერეთის აღმოსავლეთ სანაპირო თემში ჰქონია დაკავებული“.*

*ქართლში მხოლოდ ქვემო-ქართლის დაბლობში მოდიოდა ბრინჯ-ბამბა, სახელდობრ, დებედას ხეობაში, ალგეთის ხეობაში მტკვრის შესართავითგან მოყოლებული იალღუჯამდის და ქციის ხეობაში ნახიდურითგან ნაჭბადინამდის“.*

*„საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ ივ. ჯავახიშვილი მას დასავლეთ საქართველოში – ოდიშსა და გურიაში – აღნიშნავს: „გურიაში შედარებით ნაკლებ ყოფილა გავრცელებული, სამაგიეროდ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ოდიშის ნიადაგიცა და ჰავაც ბრინჯის კულტურისათვის იმდენად კარგი აღმოჩენილა, რომ ეს მცენარე იქ თურმე მოურწყავადაც ხარობდა“.*

*„...ჭანეთში ეხლაც ყოფილა ბრინჯის ადგილობრივი, მუქი, მაგრამ გემრიელი ჯიში, რომელიც თურმე ურწყავი, მთაშიც-კი ხარობს და მშრალ ადგილებშიც იზრდება...“.*

*„ოდიშში ბრინჯის იმდენად ინტენსიური კულტურა ყოფილა, რომ საგარეო ექსპორტის საგნადაც ქცეულა. იგივე არქ. ლამბერტი ამტკიცებს, რომ სამეგრელოში ბრინჯი იმდენად ბლომად მოდიოდა, რომ არამცთუ აქაურებს ჰყოფნის, “არამედ მიაქვთ ოსმალეთის გემებსაც, რომლებიც აქ მოდიან“.*


ამ მაღალი ღირებულებების გამო, ივ. ჯავახიშვილი გამოთქვამს სურვილს, რომ აგრონომებმა ჭანურ და ოდიშის ბრინჯებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, გამოარკვიონ მათი რაობა და ღირებულება.

ივ. ჯავახიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას ბრინჯის – უცხო ქვეყნის მცენარის, ჩვენს ქვეყანაში გამოჩენის შესახებ. მას მიაჩნია, რომ ძველი ხანის მწერლობის ქართული ძეგლების ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლის გამო, ამ კუთხით საბოლოო დასკვნის გაკეთება შესაძლებელი არ არის და სვამს კითხავს: „არსებობდა, თუ არა, ამ ინდოეთისა და მის მეზობლად მდებარე ცხელი ქვეყნების მცენარის სახელი მე-IX ს-ზე უწინარეს ხანაში... ამ საყურადღებო საკითხის გადასაწყვეტად აღმოს. საქართველოს შესახებ მკვლევარი ამ ჟამად ჯერ კიდევ გადაჭრილს ვერაფერს იტყვის, დასავლეთ საქართველოში ამ მცენარის გავრცელების დასაწყის ხანაზე ერთი მოსაზრების გამოთქმა ეხლაც შეიძლება...“

დასავლეთ საქართველოში ბრინჯის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოთაგან არ უნდა იყოს შესული, როგორც ეს მოსალოდნელი იყო...

მართლაც ბრინჯის კულტურისათვის დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპირო ზოლში, ნიადაგისა და ჰავის უხვი ნოტიობის წყალობით, მეტად ხელსაყრელი პირობები იყო. მე-XVII და მე-XVIII ს. ავტორების ცნობებითგანაც ჩანს, რომ სამეგრელოში ბრინჯის მოყვანას დიდი ხნის წარსული უნდა ჰქონოდა და ფართოდაც ყოფილა გავრცელებული“.

**ვენახ-ხილიანი ბოტანიკურ-აგრონომიული არე** დიდ ფართობზეა გადაჭიმული როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.



„...ერთი და იგივე ჯიში ზოგჯერ რამდენსამე თემში მოიპოვება, ანდა მისი ერთი სახესხვაობა ერთს თემში გვხვდება, მეორე კი სხვა რომელსამე, ანდა რამდენსამე თემშია ხოლმე დაცული... რომელი მათგანი ნამდვილად ჯიშია და რომელი მართო სახესხვაობად უნდა იქმნეს მიჩნეული, ასეთი საკითხის გამორკვევისა და გადაწყვეტისათვის ხანგრძლივი ბოტანიკური და ამპელოგრაფიული შესწავლა და

„...საქართველოს ყველა თემში ჯერჯერობით ყურძნის 250 სახელწოდება გვექმნება აღნუსხული, ხოლო თუ თეთრსა და შავ-წითელსა და სხვა სახესხვაობასაც გავითვალისწინებთ, მაშინ ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა საერთო რიცხვი 287 იქმნება“.

„ძველი საქართველოს ეკონომიკაში, მეტადრე სასოფლომეურნეობაში, მევენახეობა-მეღვინეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დარგის უაღრესობა ქართველი ერის ყოფაცხოვრებისა და ქონებრივი კეთილდღეობისათვის იმ საგულისხმო გარემოებიდანაც ჩანს, რომ მიწა-წყალის ორ მთავარ გეოგრაფიულ და ბოტანიკურ-ეკონომიურ ნაწილად, მთად და ბარად, გაყოფა, როგორც დავრწმუნდით, სწორედ მევენახეობის გავრცელების თვალსაზრისზე იყო დამყარებული“.

„საქართველოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშებზე ცნობები, მრავალი ნაკლისდა მიუხედავად, ბლომად არის სხვადასხვა წყაროებში გაფანტული“.

„მთავარი წყაროების შესწავლის დროს გამოირკვა, რომ არსებული ცნობები შემონმება და შევსება აუცილებლად საჭირო იყო. ამისთვის სხვადასხვა პირების დახმარებით დამატებითი ცნობების შეგროვება მომიხდა და, ამ დროს, ქართულ ამპელოგრაფიას არა ერთი ყურძნის ჯიშის ახალი, აქამდე აღუწესვლი სახელი შეეძინა, მაგრამ ამასთანავე ხშირად ირკვეოდა, რომ ჯიში უკვე გადაშენებული იყო და წინანდელი ცნობის არც შევსებისა და არც შემონმების აღარავითარი საშუალება აღარ არსებობდა“.

„...თუ ყურძნის ჯიშის ამათუიმ საერთო სახელწოდებისთვის რომელსამე თემში ხალხს ფონეტიკურად კი არა, არამედ ან ამპელოგრაფიულად, ანდა სადაურობის გამომჟღავნებელი დანართი სახელი მიუმატებია, ასეთი შემთხვევა სახესხვაობის მაუწყებლად მაქვს მიჩნეული“.



დაკვირვებაა საჭირო, რაც მომავლის ამოცანასა და ბოტანიკოს-ამპელოგრაფების მოვალეობას შეადგენს“.

„ამა თუ იმ სახელწოდების ყურძენი ერთნაირად არ ყოფილა საქართველოში გავრცელებული: ზოგს დიდი არე ჰქონია დაპყრობილი, ზოგი უფრო ვიწრო ფართობზე ყოფილა გავრცელებული, ზოგს და ბევრს ზემოაღწერილ ჯიშ-სახესხვაობათაგანს ერთი თემის საზღვრებს იქით ასპარეზი ვერც კი მო-



ვაზის ჯიშების განაწილება საქართველოს თემების მიხედვით

უპოვებია. ამისდა მიხედვით ყურძენის ჯიშების საქართველოში ცნობილი მთელი რაოდენობა შესაძლებელია 4 მთავარ ჯგუფად დაიყოს. პირველ ჯგუფად ამიერ-იმერ საქართველოში ცნობილი და მამასა-დამე საერთო ჯიშები უნდა გამოვყოთ, მეორე ჯგუფად მარტო აღმოსავლეთს, მესამედ მარტო დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ჯიშები მივიჩნიოთ და მეოთხე ჯგუფში მოვათავსოთ ყურძენის ჯიშების თუ სახესხვაობათა ის სახელები, რომელთა გავრცელების არე ერთი, ან ორი თემის ფარგლებს არ სცილდება“.

### საქართველოს ზოგადი ჯიშები

საქართველოში ორივეგან – ლიხთიმერ და ლიხთამერ – გავრცელებულ ჯიშებიდან, ასახელებს სულ 23-ს: ბუდეშური, განჯის-ყურძენი, დამპალა, თითა, თხლაფად, კაპისტონი, კუმსი, მელისკუდად, მჟღრია, მცვივანი, მწვანე, რკო, რქა-წითელი, სააბი, საკმელად, საფერავი, ტრედის-ფეხა, ფერადი, შავი ყურძენი, ცხენის-ძუძუდ, ძელშავი, ხარისთვალა და ხიხვი.

მათ შორის ყველაზე ფართოდ საფერავად და მწვანედ წოდებულ ჯიშებს მიიჩნევს. ზოგიერთ ჯიშზე იმასაც აღნიშნავს, რომ წარსულში მათ გავრცელების არე გაცილებით უფრო ფართო ჰქონდა.

„...ხარისთვალა კახეთითგან მოყოლებული ჭანეთამდის აღწევს და კახეთშიც, ქართლშიც, სამცხეში, იმერეთსა, გურიაში, აჭარაში და ჭანეთშიც არის, სადაც თოლი-მჩხუშ ყურძენი ეწოდება. პირველი სიტყვის ჩამოცილებით ამ ჯიშის სახელი ჩხუში აჭარაში და სამეგრელოში ჩხუჩეში-ს სახით მოიპოვება, სადაც მამასადამე თეთრი ხარისთვალა ყოფილა ისევე, როგორც ქართლში, იმერეთსა და მესხეთშიც თეთრი ხარისთვალა, კახეთში კი შავიც არსებობს, ხოლო გურიაში მარტო შავი ხარისთვალაა ცნობილი“.

### დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ყურძენის ჯიშები

მხოლოდ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ყურძენის ჯიშთა საერთო რაოდენობა აღემატება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულს. აქ სულ 16 ჯიშს ასახელებს: ადანასური, აკიდო, არაბოული, ბუტკოდ, დიდ-მტევანა, დონდლაბი, მაური, მახვატელი, მეკენჩხალა, რცხილათუბანი, სამაჭრე, სამგაჭა, ჩეში, ჩეჭიბეში, ჩხავერი, და ციცქა.


„დონდლაბი დასავლეთ საქართველოში გავრცელებული: იმერეთში იგი შავი ყურძნის ჯიშის სახელია, რომელსაც ხარისთვალაც, საკუჭალაც, ანდა მაჭანურიც ეწოდებოდა, რაჭაში კი დონდლაბი თეთრ ყურძენსა ჰქვია. გურიაში იქ დონდლო-ს ეძახიან ყურძნის ერთ თეთრ ჯიშს. საფიქრებელია, რომ ამავე სახელის შესატყვისობა უნდა იყოს სამეგრელოში არსებული შავი ყურძნის სახელი დღუდღუში, რომელშიც ში ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებაა და დღუდღუ ფუძეა“.

### აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშები

მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა საერთო რაოდენობაა 8: ადრეული, არაგვისპირული, განახარული, თავკვერი, ქიშური, ღრუბელი, პარტკალა, შაბია.

### საქართველოს მხოლოდ ერთ თემში გავრცელებული (ენდემური) ყურძნის ჯიშები

საქართველოს მარტო ერთ თემში გავრცელებული ყურძნის ჯიშების რიცხვი საკმაოდ დიდია. ამ მხრივ, განსაკუთრებით დასავლეთი საქართველო ყოფილა გამორჩეული.



წყაროთა სიმცირისა და ცნობათა სიმოკლისდა მიუხედავად, მაინც შესაძლებელია ზოგადად ისიც გამოარკვიოს ადამიანმა, თუ რა მოჰყავდათ ძველად ჩვენ წინაპრებს თავიანთ მტილ-სამოთხეებსა და ბალ-ნალკოტებში და როგორ ჰქონდათ სასოფლო მეურნეობის ეს დარგი მოწყობილი“.

„ჭერჭერობით მხოლოდ VI ს-ითგან მოყოლებული მოგვეპოვება ძეგლები, რომლებშიც მტილ-სამოთხეთა ვითარების გადათვალისწინებლად კოკრეტული ცნობებია დაცული ერთ მათგანში IV ს. იბერთა მეფის მცხეთის „სამოთხეა“ მოკლედ აღწერილი...“

...სამოთხედ სამეფოდ, სამეფო ბაღი, მეურნეობის მარტო ერთი დარგისა და მხოლოდ ერთი დანიშნულებისათვის არ ყოფილა განკუთვნილი, როგორ მოსალოდნელიც იყო, იქ სხვადასხვა ხეები მდგარა, მაგ., მაღალი ნაძვისა და ბრინჯისა და, რა თქმა უნდა, ბევრი სხვა ჯიშის ხეები, რომელნიც ადამიანის თვალის საამებლად ისევე, როგორც სხეულის დასასვენებლად და სიცხის დროს ჩრდილში გასაგრძელებლად ჰქონიათ დარგული“.

„...უმტილ-ვენახოდ ქართველ მიწისმოქმედს ცხოვრება იმდენად არ მოსწონდა, რომ მათი გაშენებისათვის არც თავის ძალ-ღონესა და არც ქონებრივ სახსარს არ ზოგავდა, შრომას მაშინაც

არ ერიდებოდა, როდესაც თვით ბუნებრივი პირობები მებოსტნეობას, მებარეობასა და მევენახეობას ხელს არ უწყობდნენ“...

„...ქართველი მიწათმოქმედისა და სოფლის მეურნის ეს დამახასიათებელი თვისება, შრომის მოყვარეობა და მებალეობა-მეხილეობით აღტაცება უკვე VI ს. ბიზანტიელ ისტორ იკოსს პროკოპი კესარიელს შეუნიშნავს და თავის საისტორიო ნაშრომში აღუბეჭდია. მისი სიტყვით, მესხეთში, ამ თემის მთავორიანობისადა მიუხედავად, იქაურ მკვიდრთ თავიანთი შრომითა და ცოდნით ვითარცა დახელოვნებულ მიწისმოქმედ... ხეხილიცა და ვენახებიც გაუშენებიათ და ხილ-ნაყოფიც საკმაოდ ჰქონიათ...“

„მემტილეობა და მებალეობა ისევე, როგორც მევენახეობა მიწისმოქმედისაგან გეგმიან მუშაობას თხოულობდა: ბოსტნეული და ხეები ისევე, როგორც ვაზი, უნდა სათანადოდ და გარკვეულ რიგზე ყოფილიყო დარგულ-დათესილი, სამოთხესა და ნალკოტში, ბაღშიც გზები უნდა ყოფილიყო და საჩრდილობელი და დასასვენებელი ადგილები გაეკეთებინათ და მოეწყოთ, გარკვეული გეგმის გარეშე, რა თქმა უნდა, ამის განხორციელება არ შეიძლებოდა“.

„მხოლოდ ხეხილით დარგულ ადგილსაც თავისი განსაკუთრებული სახელი გააჩნდა და „ხილნარი“ ეწოდებოდა...“



მცენარეულობის დარგვა საქართველოს მუზეუმის XII, აXII-XIII სს. № A-109 ხელნაწერთაგან, რომელიც ეფრემ მცირესაგან კომენტარებით შემკულს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრებულს წარმოადგენს




ბაღის ბარვა და მებალე გადმოღებულია XVII ს. პირველი ნახევრის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთგან

ეს ტერმინი ორნაწილიანი სიტყვაა და ხილისა და ნარისაგან არის შემდგარი. ს. ორბელიანის განმარტებით, „ნარი ეკლიანი ბალახი“ უნდა იყოს...

ამნაირად, „ნარი“ მართლაც ეკლიანი მცენარეების სახელების შემადგენელ ნაწილად არის გამოყენებული, მაგრამ, უეჭველია, ეს შედარებით მერმინდელი მნიშვნელობა უნდა იყოს, წინათ კი, როგორც ჩანს, მას ზოგადი მნიშვნელობა ჰქონია. ამ გარემოებას ისეთი გამონათქვამებიც ამჟღავნებს, როგორიცაა ფიჭვნარი, ნაძვნარი, ნიგვზნარი, თხილნარი, რცხილნარი და სხვა ბევრიც...



გემოჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელები საქართველოს სხვადასხვა თემში მდებარე ადგილებისა და ამის გამო „ნარი“ იმერ-ამერ საქართველოს კუთვნილებად უნდა ვიცნოთ, ამ სიტყვას მსხალნარ, ნიგვზნარსა და თხილნარის მსგავს სახელებში, ცხადია, არასგზით ეკლის მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს, არამედ თითქმის ისეთივე მნიშვნელობა და წარმოებაში იმნაირივე დანიშნულება აქვს, რანაირიც „ოვანს“ აქვს მიკუთვნებული“.



ხილის ქართული ჯიშები

„ხილეულობა საქართველოს დედ-ქალაქში სამცხეთიდანაც შემოჰქონდათ, იქაური ხილი განთქმული ყოფილა. ხილეულობის უმნიშვნელოვანეს ცენტრად აწყვერი და ახალციხე ყოფილა. მესხეთი რომ საქართველოს ჩამოცილებული ჰქონდა და ოსმალეთს ეპყრა, მაშინაც XVIII ს. დამლევსაც კი საპალნეობით შემოჰქონდათ იქითგან ხილეულობა“.


„საქართველოს ნიადაგის გემოაღნიშნულმა მრავალგვარობამა და ბუნების მრავალფეროვნებამ სხვადასხვა სირთულისა და სიმძიმის სახნავი იარაღი მის შემდგომაც, რაც ახალი, გაუმჯობესებული

სახეობა გაჩნდა, არამცთუ ზედმეტად არ აქცია, არამედ სათანადო პრიობებში მაინც აუცილებელი გახადა. ამის წყალობით ერთსა-და-იმავე თემში, ზოგჯერ ერთისა-და-იმავე მეურნისათვის ორი და რამდენიმე განსხვავებული სახეობის სახვნელი იყო ხოლმე საჭირო. ამიტომ ცხოვრების სინამდვილემ ქართველ ხალხს სახვნელს განვითარებისა და გაუმჯობესების სხვადასხვა საფეხურის გამომხატველი და სხვადასხვა სირთულის მქონებელი სახეობა დღევანდლამდისაც-კი შეუნარჩუნა. ამ გარემოებამ საქართველო სახნავი იარაღის თავისებურ საისტორიო მუზეუმად აქცია და სასოფლო მეურნეობის კულტურის მკვლევარს დაკვირვებისა და შესწავლის საუცხოო ასპარეზი შეუქმნა“.

„...თანამედროვე ეთნოგრაფიული ფაქტებით სარგებლობის და გამოყენების დროს არ უნდა დაივიწყოს ადამიანმა, რომ ყველაფერი რაც შორეული წარსულითგან დღევანდლამდე ცხოვრებაში გადარჩენილია, ყოველთვის თავდაპირველი სახით არ არის ხოლმე დაცული. სრულად არ მოუღწევია ჩვენამდე დროთა განმავლობაში მოპოვებულ გაუმჯობესებული სახეობის სახვნელს. შეუძლებელია ზოგჯერ მაინც მას წინამორბედი სახეობის სახვნელზე რაიმე გავლენა არ მოეხდინა და ზოგჯერ და ზოგან წინანდელი სახეობის იარაღის ნაწილობრივი ცვლილება მაინც არ გამოეწვია. დროთა განმავლობაში სახვნელის თვითოეული სახეობისათვის განკუთვნილი ტერმინიც შესაძლებელია შეცვლილიყო“.

**უვენახ-ხილო ბოტანიკურ-აგრონომიული არე** გადაჭიმულია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში და თითქმის მთლიანად უწყვეტ არეალს ქმნის. იგი მოიცავს საშუალო მთის სარტყელს კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მთიანეთების ფარგლებში.

ერთადერთი გამონაკლისია მდ. რიონის ქვემო წელის მიდამოები, ე. ფოთის ირგვლივ, სადაც უვენახ-ხილო არე მცირე ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი. ჩრდილოეთიდან მას ბრინჯ-ბამბის, ხოლო აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ვენახ-ხილიანი ბოტანიკურ აგრონომიული არე ესაზღვრება.




„ქვემო ქართლში უვენახ-ხილო და შემდეგ უტყეო, ბალახოვან-ყვავილოვანი არე ვენახ-ხილიან ზოლს ზემოთ იწყებოდა. ამ უვენახ-ხილო ზოლის საზღვრის აღნიშვნას რომ იმავე მიმართულებით შევუდგეთ, როგორითაც ვენახ-ხილიანი არე გვქონდა განსაზღვრული, ასეთი სურათი წარმოგვიდგება:

ქციის ხეობაში უვენახ-უხილო არე სამშვილდითგანვე იწყებოდა, დბანისის ხეობაში დბანისთგან მო-  
ყლებული სათავემდე, სკვირეთის, ანუ ვერეს ხეობაში ვანათს ზევით მდებარე ნაწილი სათავემდე,  
კლდეისისა და ძველი გომარეთის ხეობანი მთლიანად, ირაგას ხეობა ტორნითურთ ბესდერისაკენ,  
ჭიჭავის ხეობის ზედა ნაწილი, ფინეზაურის ხეობა, ბალიჭის ხეობა აბულმუგს ზევით და ზურტაკეტის  
ხეობა მთლიანად“.

„შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთით მდებარე ქვეყნის უვენახ-ხილობის ზოლის საზღვრის და-  
საწყისი ხაზი იყო თეძმის ხეობაში რკონს ზევით, მთელი ჭვარები და თრიალეთი, ტანის ხეობა ბობნავს  
ზევით ძამის ხეობა გვეძინეთს ზევით...“

მესხეთის უდიდესი ნაწილიც უვენახ-ხილო არეს წარმოადგენს. სადგერის ხეობა, თორ-გუჭარე-  
თის ხეობა, შაორი, თავკვეთილი, კველრმა, ტაბისყური და ირჭანის, ანუ ყარაღაჯისა ისევე, როგორც  
სამცხის, ანუ ლადოს მთები მთლიანად უვენახ-ხილო არე იყო...“

დასავლეთ საქართველოში უვენახ-ხილო არე, ბუნებრივი პირობებისა და ჰავის გამო, გაცილე-  
ბით უფრო ნაკლებ იყო, ვიდრე ამერეთში. აქ უვენახ-ხილო  
ზოლს ეკუთვნოდა უმთავრესად ლადოსა და გურიის მთების ზე-  
და, ტყიანი ხაზი და რაჭაში შქმერი, ჭეჭორის ხეობა კუდაროს  
ზევით, რიონის ხეობა ჭიდროთას ზევით და მთიანი ადგილები,  
დასასრულ, რასაკვირველია, სვანეთიც მთლიანად“.



**ბალახ-ყვავილოვანი ბოტანიკურ-აგრონომიული**  
**არე** გადაჭიმულია კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მა-  
ღალმთიან ზოლში.

„უტყეო და ბალახიან-ყვავილიან სივრცეს ჭავახეთი, ფოსო, ერუშეთი, არტაანი და კოლა წარმო-  
ადგენდნენ...“

ასეთივე თვისებისა იყო ოლთისის ხეობა ნარუმავს ზევით, ტაოს მაღლობები, იდი და ნარუმაკი,  
ბასიანი, თორთომის ხეობა ხახულს ზევით. აქ მთური ზოლი იყო და მთური კულტურა ხარობდა მხო-  
ლოდ. ბალახ-ყვავილიანობის წყალობით აქ ვცრელი და საუცხოვო საზაფხულო საძოვრები იყო“.


„ხეობის დაღარულობისა და ვრცელი ველობების უქონლობის გამო ლიხთ-იმერეთის უტყეო და  
ბალახიან-ყვავილიანი ხაზი არც საზაფხულოს საძოვრებად იყო სათანადოდ ფართოდ გამოსადეგი. ამ  
არეს მხოლოდ ადგილობრივი მესაქონლეობის დაკმაყოფილება შეეძლო“.

**ზამთრის საძოვრების ბოტანიკურ-აგრონომიული არე** ტფილისითგან ბარდავამდე და ივ-  
რის სანაპიროებზე ზამთრის საძოვრების არე იყო ისევე, როგორც გარეჯის მთებსა და უდაბნოს მი-  
დამოებში. ასეთივე დანიშნულება ჰქონდა, სარწყავი რუს გამოყვანამდე, სამგორის ველსა და ჩადი-  
ვარსაც, რათგან უწყლობის გამო უმთავრესად თავისი ბალახოვნობის მხრით შეიძლება ყოფილიყო  
გამოყენებული“.

„საქონლის გამოსაკვებად განკუთვნილ მიწას „საძო-  
ვარი“ ერქვა.. როგორც ამ ადგილითგანაც ჩანს, საძოვრად  
ჩვეულებრივ მხოლოდ კორდ-გაუტეხელი მიწა იხმარებო-  
და...“

საძოვარს გარდა, ტერმინი “სასაძოვრეც“ არსებობ-  
და...“

„...საძოვარი“ ისეთ ადგილს ეწოდებოდა, რომელსაც  
საქონელი ჩვეულებრივ სძოვდა, „სასაძოვრე“ კი ისეთ ად-  
გილს ჰნიშნავდა, რომელიც საძოვრად გამოდგებოდა, ან საძოვრად ქცევა შეიძლებოდა. ეს ტერმინი  
ისევეა ნაწარმოები, როგორც საყანე, სახნავი, სავენახე“...“





ივანე ჯავახიშვილის მიერ  
საილუსტრაციოდ გამოყენებული  
მინიატურა (ფრაგმენტი)  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,  
H-1665



„ძველადაც ქართველს გემრიელი და შნოიანი პურისჭამა უმწვანილოდ ვერ წარმოედგინა და მწვანილი სუფრის აუცილებელ კუთვნილებასა და მშვენებას შეადგენდა. ეს გარემოება ნაბახტევის ეკლესიის XV ს. პირველი ნახევრის კედლის მხატვრობითაც საუცხოვოდ მტკიცდება: სერობის სურათს ჩვეულებრივი კომპოზიციის მაგიერ, როდესაც სუფრაზე პური, თევზი და ღვინო იყო ხოლმე დახატული, იქ მწვანილიც, ბოლოკი და ხახვიც, ჰხატია“.



ნაბახტევის ფრესკა

აკად. შ. ამირანაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების მუზეუმი





## საქართველოს საისტორიო რუკა VII-XII სს.

### შედგენილი ძველი წყაროების მიხედვით – 1913 წელი

#### ზოგადი ინფორმაცია რუკის შესახებ

ტერიტორიული მომცველობა: კავკასია.  
რუკის დედანი: საქართველოს  
პრეზიდენტის კერძო კოლექცია.  
რუკის მასშტაბი: 1 დიუმზედ 15 ვერსი  
(1: 1,080,000).  
მეტრული მაჩვენებლები: 80 x 53 სმ  
(4 ფ.: 64.5 x 49.5 სმ).  
ტონალობა: კონტურული რუკა.  
მინაწერები: შესრულებულია შავი ტუშით.  
მასალა: ქაღალდი.  
ენა: ქართული.

ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი ხელნაწერი (1913 წელს შეადგინა ე. პეტერბურგში). იგი დართული აქვს 1913-1914 წწ. გამოსულ „ქართველი ერის ისტორიის“ ორტომეულის პირველ ტომს.

ივანე ჯავახიშვილმა 1908 წელს გამოსცა „ქართველი ერის ისტორია“, სადაც წერდა: *„მე ამრავა მაქვს, ისტორიისათვის ძველ ნაშთებსა და მოღვაწეების სურათები და საგეოგრაფიო რუკები დამერთო, მაგრამ ამ წიგნისათვის ვერ მოხერხდა. იმედია, შემდეგში ამ დანაკლისსაც შევამსებ.“*

ეტყობა, ივანე ჯავახიშვილმა არა მარტო სათანადო გეოგრაფიული კვლევაც ჩაატარა და რუკა შეადგინა, არამედ მას საგანგებო ნაშრომიც ჰქონდა დაწერილი. იგი 1908 წელს გამოცემული წიგნის წინასიტყვაში წერდა, რომ ნაშრომს

*„ჩემს ჯერედ გამოუქვეყნებელ მონოგრაფიულ გამოკვლევებზე ვამყარებ ჩემს შეხედულებასა და დასკვნას, როგორც მაგ. ქართველ ტომების უძველეს დროს გეოგრაფიულ მიმოხილვაში, ქართველების კულტურის შესახებ და ქართველების წარმართობის შესახებ, მე იძულებული ვიყავ, რომ ჩემი ამრი და მსჯელობა დაუსაბუთებელი არა ყოფილიყო, „ისტორიაში“ მონოგრაფია თითქმის მთლად შემეტანა“.*

ამ მონოგრაფიის ცალკე დაბეჭდვა კვლავაც ვერ მოხერხდა და II გამოცემაში, რომელიც 1913-1914 წწ. განხორციელდა ორ ტომად, კვლავაც ყველაფერი უცვლელი დარჩა. შეიცვალა მხოლოდ ერთი რამ, II გამოცემას დაერთო ერთი რუკა. თუმცა ავტორს იმთავითვე ერთი კი არა, რამდენიმე რუკის დართვა სურვებია.

ამ რუკას ეწოდება: „საქართველოს საისტორიო რუკა VII-XII ს. შედგენილი ძველი წყაროების მიხედვით ივ. ჯავახიშვილის მიერ“. სამწუხაროდ, თავად „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე გამოცემა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ხოლო მას დართული რუკა კი უფრო ძნელად საშოვნია. ეროვნული ბიბლიოთეკის ეგზამპლარებს ან რუკა არ ახლავს, ან ძალიან დაზიანებულია. ჩვენ აღნიშნული რუკა ეროვნული არქივის ბიბლიოთეკაში მოვიძიეთ.

რუკის ერთადერთი დედანი არსებობს, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ გიორგი მარგველაშვილის საკუთრებაა. მისი დიდსულოვანი დახმარებით ჩვენს ხელთაა ამ რუკის ელექტრონული ასლი.

აღნიშნული რუკა სტამბურად ნაბეჭდი კონტურული რუკაა, რომელზედაც ივანე ჯავახიშვილს თავისივე ხელით დაუტანია გეოგრაფიული სახელწოდებანი – მთები, ზღვები, მდინარეები და დასახლებული პუნქტები, 300-ზე მეტი ობიექტი. ამ უკანასკნელთა ხასიათის, ქალაქია თუ სოფელი, ერთმანეთისაგან გარჩევა შეუძლებელია, რადგანაც პირობითი ნიშნები რუკას არა აქვს.

ზოგიერთი ადგილი ისე დატვირთულია გეოგრაფიული სახელწოდებებით, რომ მათი ერთმანეთისაგან გარჩევა ჭირს. ეს თავად ავტორსაც უგრძნია და ამის შესახებ აღნიშნავს: *„ამ შრომას დართული აქვს საქართველოს საისტორიო რუკა, რომელიც შედგენილია ძველ ქართულ წყაროების და წარწერების და მიხედვით... რაკი საქართველოს ზოგ კუთხის შესახებ მრავალი ცნობები მოიპოვება, ამიტომ თუმცა თვით რუკის ზომა დიდია, 90 ვერსიანია, მაინც საგეოგრაფიო სახელები მეტად მჭიდროდ მოვიდა და აქა-იქ ძნელი გასარჩევია“.*



მეცნიერს ამ უხერხულობის დასაძლევად გარკვეული ხერხისთვის მიუმართავს, რომელიც სა-  
ძიებლის შედგენით გამოუსწორებია. იგი წერს: „*რუკას განსაკუთრებული საძიებელი აქვს დართული,  
რომლის საშუალებითაც მსურველი თვითთველ საგეოგრაფიო სახელს თავ-თავის ადგილას ადვილად  
იპოვის*“. ამ საკითხს იგი ხელმეორედაც უბრუნდება და აღნიშნავს: „*რაკი ამ თხზულებას ჩემ მიერ შედ-  
გენილი რუკა და ამ რუკისათვის სახმარებელი საძიებელიც დართული აქვს, ამიტომ აქ ქალაქ-სოფლე-  
ბის მდებარეობაზე არაფერს ვიტყვით*“.

ამ წიგნის დაბეჭდილ არც ერთ ტომს ამგვარი საძიებელი თან არ ახლავს. იგი ვერც მეცნიერის  
პირად არქივში მივაკვლიეთ. ეტყობა, სათანადო მასალა ივანეს პეტერბურგში ჰქონდა და იმ მასალებ-  
თან ერთად დაიკარგა, რომელიც რუსეთიდან სამშობლოში იყო გამოგზავნილი.

რაც შეეხება რუკაზე დატანილ საგეოგრაფიო ობიექტებს, მათ შესახებ მეცნიერი მიუთითებს:  
„*თვითთველი საგეოგრაფიო სახელის შესახებ აღნიშნულია, სად არის იგი მოხსენებული; მაგრამ  
მკითხველს ის კი არ ეგონოს, ვითომც იმ შემთხვევებს გარდა, რომელიც მოხსენიებულია, სხვაგან არ  
იხსენიებოდეს: თვითთველი თხზულებითგან მხოლოდ რამდენიმე, თვალსაჩინო მაგალითი მაქვს სა-  
ნიმუშოდ მოყვანილი*“.

ივ. ჯავახიშვილს სურს ზუსტად ჰქონდეს ყოველივე აღნუსხული და მკითხველს აფრთხილებს,  
რომ „*გეოგრაფიაშიც და რუკაზედაც აღნიშნულია მხოლოდ ის საგეოგრაფიო სახელები, რომლებიც  
ძველს ქართულს წყაროებშია მოხსენიებული და თუ სხვა რომელიმე ადგილები იქ აღნუსხული არ  
არის, ეს თავის – და თავად რასაკვირველია იმას არ ამტკიცებს, ვითომც ისინი მე-XII საუკუნემდე არ  
არსებობდნენ: ზოგჯერ საკმარისია რომელიმე ძველი წყარო, ან წარწერა ახლად გამოქვეყნდეს, რომ  
ახალი საგეოგრაფიო ცნობები აღმოჩნდეს*“.

მეცნიერი არა მარტო ძველის დასახელებისას იცავს სიზუსტეს, არამედ ტოპონიმის დაწერილო-  
ბის მხრივაც. ამის შესახებ იგი წერს: „*რუკაზე ყველა საგეოგრაფიო სახელები იმ სახით სწერია, რო-  
გორც მაშინ იყო მიღებული: ამიტომ არის აღნიშნული „ცხუმი“ და არა სოხუმი, „ფუთი“, „დარუბანდი“ და  
არა ფოთი, დერბენდი და სხვა*“.

ივ. ჯავახიშვილი საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობის თავის მიდგომაზეც გვეუბნება  
ორი სიტყვით: „*ვინცებთ აღმოსავლეთითგან და დასავლეთისაკენ მივემგზავრებით*.“ თუმცა, როგორც  
მას სჩვეოდა, არ გვიხსნის რატომ იქცევა ასე. მეტიც, ამ წინადადებას იმერეთის გეოგრაფიული ობი-  
ექტების – შორაპანი, დიშნა, უბისა, ჭრუჭი და სხვა – დასახელება მოსდევს, რაც თითქმის ქვეყნის შუა-  
გულში მდებარეობს და ზემოხსენებული პრინციპი დარღვეულია.

მეცნიერი საისტორიო წყაროებზეც გამოთქვამს თავის აზრს და გამოყოფით ვახუშტის ნაშრომს  
ასახელებს. „*თუმცა ქართულად არსებობს სახელოვან მეცნიერ ბატონიშვილის ვახუშტის უკვდავი  
თხზულება, რომელშიაც საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესახებ მრავალი ძვირფასი ცნობე-  
ბი არის შეკრებილი, მაგრამ საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის მიმოხილვა მაინც ხელახლად  
უნდა დაწერილიყო*“.

ყოველივე ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. მეცნიერის აზრით, ეს იყო: „*ვახუშტის საზოგადო მიმო-  
ხილვა აქვს შედგენილი უძველესი დროითგან მოყოლებული მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგამდის და  
ისტორიული და ტანამედროვე ცნობები ერთი-ერთმანეთშია არეული*“. ამდენად ივანემ სამართლი-  
ანად დაიწუნა ვახუშტისეული ცნობების ერთმანეთისაგან ქრონოლოგიური გაუმიჯნაობა. მან თავის  
მხრივ დაამატა, რომ „*ძველი ხანის შესახებ ეხლა ჩვენ უფრო მეტი და უკეთესი წყაროები მოგვეპოვება,  
ვიდრე თავის დროზე ვახუშტის ხელთა ჰქონდა*“. მაგრამ ივანე კიდევ უფრო მნიშვნელოვან საკითხს  
ეხება, როგორც საისტორიო კვლევა-ძიების მეთოდოლოგიაა. მისი აზრით „*თანამედროვე სამეცნი-  
ერო მეთოდები ვახუშტის დროინდელზე უფრო მკვეთრი და ფაქიზი და ეხლა მაშინდელზე მეტის გა-  
მორკვევაც შეიძლება*“.

თუ რა გამოარკვია დიდმა მეცნიერმა მისი თხზულებების მიხედვით ნათელია. მაგრამ ამის შესა-  
ხებ ჩვენ მის არქივში დაცული მასალებითაც შეიძლება ვიმსჯელოთ.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემონახულია ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი 1000-ზე მე-  
ტი ბარათი, სადაც მოცემულია სხვადასხვა წყაროდან მეცნიერის მიერ ამოწერილი გეოგრაფიული

ტერმინები და ობიექტები. ცალკეულ შემთხვევებში ბარათებზე სხვა პიროვნების მიერ გაკეთებული მინანქრებიცაა.

ბარათები მეტად მდიდარ და საინტერესო მასალას შეიცავს. მათ უმეტესობაზე აღნუსხულია გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდება ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით, მათი პარალელური სახელები, რომლებიც დიდ მეცნიერს ამოუწერია ძველრუსული ე.წ. „ვერსიანი“ რუკებიდან, მითითებულია აგრეთვე მათი გეოგრაფიული კოორდინატები და მოსაზრება ამ ობიექტების შესახებ.

#### ბარათი

„ჰქუიან კვრიაკვანმინდა (ჟამთალ \* 865, გვ. 709) 5 ვერსიანზე სწერია, Ругулис-мта 61030' \_ 42015'

შეცდომა ხომ არ არის, ნახე ფილიპოვის თხზულება, სადაც რუქეთის მთები იხსენიება.

რუქეთის მთა ოშორასთან იწყობა და ტაპანლიას მთის შტოს წარმოადგენს (ТОТД. Ф.

2 გამ. 143). ძველად როგორც ეტყობა ტაპანლი – მთა რუქეთისა ყარა კალისტა

„ანყურსა შევიდა... შეივლტოდა მთად რუწეთისა, აღმართისა ძნელა სავალსა, სოფელსა რომელსა“.

#### ბარათი

##### შარვაშეთის მთა

ვახუშტი: მოდევის ჯევისა ბარალეთის მდინარეს შემდინარეს სათავეს შარვაშეთის მთაში აქვს (გეოგრ. ბ. 100), ხოლო თვით ბარალეთის წყალს სათავე კი ტაბისყურ... (ვახ. შეცდომით ფარავანის ტბა უწერია) და სანსარების შორის მთაში აქვს (იქვე 28), რათგან ბარალეთის წყალი თავისი შემდინარით = 5 ვერსიანი რუკის „Мец-джурь“-ს, ამიტომ საფიქრებელი ხდება, რომ ტაბისყურითგან (?) სანსარას მწვერვალამდე (?) მთას შარვაშეთის მთა რქმევია.

#### ბარათი

რათგან ვახ-ს ნათქვამი აქვს, რომ გოკიის წყალს (=Чобарет чай + Тетровчай) სათავე შარვაშეთის მთასთან აქვს და იგივეა გოკიის წყლის შემდინარის ოლდამის ჯევისა სათავეა (გეოგრ. 96), ამიტომ შარვაშეთის მთა მწვერვალი Кара-чай-ითგან ვიგულისხმობ.

#### ბარათი

Улнгарскій хребет, რომელიც არსიანთან იწყობა და ჯერ აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით, შემდეგ აღმოსავლეთ-სამხრეთით იხრება და оз. Хозапинь (= karwaxs) = ვახუშტის “ერუშეთის მთას” (N1 ↓ Samtzkhe)

ქედს ვარხანიტგან ოკუზდალამდის, რომელსაც რუსულად ჯერ Улнгарскій хреб. და შემდეგ Чалдо...рскій хребет ჰქვიაან – ვახუშტის “ნიალის ყურის მთას”-ს ოკუზ-დალთგან აღჭალამდის რასაც რუსულად Мадатапинскій хребеть ჰქვიაან = აბოცის მთას ხრ. Зингалскій რომელიც Чалдырскій оз ? -ს ჩრდილოეთით აკვრია = პალაკაციოს მთებს г. Ахъ-Баба= ვახუშტის “ბაბას მთას”.

ზოგადი ინფორმაცია რუკის შესახებ

**ტერიტორიული მომცველობა:**  
**საქართველო და მიმდებარე ტერიტორიები, ისტორიული საქართველოს ტერიტორიის ნაწილი.**  
**რუკის მასშტაბი: 1 დიუმზედ 10 ვერსი (1: 420,000).**  
**მეტრული მაჩვენებლები: 201.6 x 109.3 სმ (6 ფ.: 68.3 x 54.6 სმ; 65 x 54.6 სმ).**  
**ტონალობა: ფერადი.**  
**მასალა: ქალაღი.**  
**ენა: ქართული.**  
**რეპრინტი: 1991 წ.**

ივ. ჭავახიშვილის ხელდასხმით შექმნილ რუკებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მნიშვნელობა სწორედ 1923 წლით დათარღილებულ საქართველოს ისტორიულ რუკას ეკუთვნის.

რუკა საგულისხმოა მრავალი თვალსაზრისით. მისი გამოცემიდან თითქმის საუკუნე გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა და დაზუსტდა. სხვადასხვა წყაროს ფართო ხელმისაწვდომობის ხარჯზე, უფრო მრავლსიმომცველად და სიცხადით გაშუქდა ესა თუ ის საკითხი, მაგრამ აღნიშნული რუკა მაინც შეუცვლელი და უშრეტი წყაროს შარავანდედითაა მოცული სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის – ისტორიკოსების, დემოგრაფების, გეოგრაფებისა თუ ენათმეცნიერთათვის.

საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა სახელმწიფოთა საზღვრები, ადგილმონაცვლე-

ობას განიცდიდა მოსახლეობა, იცვლებოდა მათი ეროვნულ-კონფესიური სტრუქტურა. ამ გარემოებების გამო იცვლებოდა ტოპონიმებიც. ისინი ხომ მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი იმ ხალხების ენასთან, ტრადიციებთან, ისტორიასთან, საერთოდ კულტურასთან, რომლებიც ოდესმე ყოფილან განსახლებულნი ამა თუ იმ ტერიტორიაზე. სწორედ ამიტომ ივ. ჭავახიშვილის რუკაზე მოცემული მრავალი ტოპონიმი, რომლებიც ამჟამად მივიწყებულია და მხოლოდ ისტორიული ფაქტის „მატარებელია“, მიუთითებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის განსახლების ძველ არეალს, რაც წარსული პერიოდის ისტორიის ფურცლებს აცოცხლებს. მათი მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს სხვადასხვა ხალხების განსახლების არეალი, მიგრაციული ნაკადების მიმართულებები და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესი. დროთა განმავლობაში განსაკუთრებით იცვლებოდა დასახლებული პუნქტების აღმნიშვნელ სიტყვათა მნიშვნელობები და ამ ცვლილებებზე თვალის მიდევნება ერთობ საშური, თუმცა რთული საქმეა. „ქართველი ერის ისტორიაში“ ივ. ჭავახიშვილი განიხილავს ისტორიული გეოგრაფიის და მათ შორის, ქართული გეოგრაფიული ტერმინოლოგიის საკითხებს. იგი განმარტავს – სოფელს, ქვეყანას, დაბას, აგარას, კარს და ძველ წყაროებზე დაყრდნობით ცდილობს მათ არსში ჩანვდომას. კვლევის ასეთი მიდგომა მეტად მნიშვნელოვანია, რამეთუ იგი გვეხმარება მართებულად წავიკითხოთ რუკაზე აღბეჭდილი ობიექტები და განვსაზღვროთ რუკის ადეკვატური ანალიზი. ამის შესახებ თვით ივ. ჭავახიშვილი წერდა: „მინაწყლისა და მოსახლეობის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში ქართულ სახელმწიფო და სამწერლობო ენაში დროთა განმავლობაში დიდი ცვლილება მომხდარა: არა ერთ სიტყვას სრულებით შესცვლია მნიშვნელობა იმისდა მიუხედავად, რომ მისი ბგერითი შემადგენლობა და გარეგნობა სრულებით უცვლელი დარჩენილა. ეს გარემოება განსაკუთრებულ სიფრთხილეს გვიკარნახებს, რომ ძველი ძველის შინაარსი შეცდომით მერმინდელი და თანამედროვე მნიშვნელობით არ გავიგოთ“.

საქართველოს ისტორიულ რუკაზე მრავალი დასახლებული პუნქტია დატანილი: მთავარი ქალაქები, მცირე ქალაქები და დაბა-სოფლები. მათ შორის განსხვავებები მოსახლეობის რიცხოვნობითა და სამეურნეო საქმიანობით განისაზღვრება. თვით ქალაქები კი, როგორც ივ. ჭავახიშვილი წერს, იწოდებოდა „რაოდენობისა, მდებარეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისდა გვარად“. ამ დასკვნას იგი სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით აკეთებს, ამგვარად, არსებობდა: „დიდი ქალაქი“,



„პატარა ქალაქი“, „სამეუფო ქალაქი“, „ქალაქი სამეფო“, „სახლი სამეუფო“, „საჯდომელი დიდთა მეფეთა“, „ქალაქი ზღვს კიდისასა“.

სახელწოდება „უდაბნო“ 1923 წლის რუკაზე მხოლოდ ერთადერთ ტოპონიმშია ასახული – „გარეჯის უდაბნო“. მართალია, იგი საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე მშრალი ადგილია, თუმცა ეს არ ნიშნავს უდაბნოს ბუნებრივი ზონის მნიშვნელობით, რომელიც მუდმივად ან სეზონურად ცხელჰავიან და მშრალ კლიმატურ პირობებში, ნიადაგ-მცენარეულ საფარს მთლიანად მოკლებულია, ან მეტად ღარიბი მცენარეული საფარითაა წარმოდგენილი. ამის დასტურია 1922

### სოფელი, ქვეყანა, დაბა

„თუ ეხლა ამ თვალსაზრისით მივუდევით საკითხს და მიწაწყლისა და მოსახლეობის ერთეულების ტერმინების მნიშვნელობის შესწავლას შევუდგებით, უნდა აღინიშნოს, რომ სრულებით შეცვლილია ტერმინის „სოფელის“ მნიშვნელობა, რომელსაც ეხლა და უკვე დიდი ხანია დაბის მნიშვნელობა აქვს. უძველეს ქართულ მწერლობაში „სოფელი“ ქვეყანასა ჰნიშნავდა“...

„...დაახლოებით VIII საუკუნითგან მოყოლებული იმ ძველი ტერმინის მაგიერ თანდათან ახალი სიტყვა „ქვეყანად“ შემოდის, რომელიც მალე გაბატონდა და ერთადერთ საზოგადო ტერმინდა იქცა“.

„...VIII ს. მოყოლებული თუმცა ამ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა და დაბას უდრიდა, მაგრამ პირვანდელი მნიშვნელობა ზოგიერთს შემთხვევაში სიტყვას „სოფელი“ მაინც შერჩა...“.

“IX-X ს-იდან მოყოლებული „სოფელი“ უკვე წინანდებურად ქვეყანასა და სანახებს აღარ აღნიშნავს, არამედ დაბას... როდესაც „დაბა“ და „სოფელი“ ერთსა და იმავე დროს იხმარებოდა, ჰქონდათ რაიმე განსხვავება მათ, თუ ერთსა და იმავეს აღნიშნავდნენ, არა ჩანს“.

„... ტერმინი „დაბად“ იხმარებოდა, რომლის პირვანდელი ფორმა უნდა „დაბანი“ ყოფილიყო. ამ სიტყვას თავდაპირველად დამუშავებული მიწისა და ნახნავის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და სვანურში „დაბ“ ეხლაც ხნულსა ჰნიშნავს“.

### დაბა, უდაბნო

„... სოფელი დასახლებულს ადგილსა ჰნიშნავს. სამაგიეროდ სიტყვასაც „დაბად“ თავის პირვანდელი მნიშვნელობა, ნახნავ-დამუშავებულს რომ ჰნიშნავდა, შენახული აქვს სიტყვაში „უდაბნო“, რომელიც ქართულად მცენარეულობას მოკლებულს, მოტიტვლებულს ადგილს-კი არ ერქვა, არამედ როდესაც ადგილი ცარიელი, დაუმუშავებელი „უქმ და უღვანი იყო“.

„... უდაბნო ტყიანიც შეიძლება. ამგვარად, უდაბნოდ იწოდებოდა ისეთი ადგილი, სადაც მოსახლეობა და ნახნავი არ მოიპოვებოდა, სადაც მიწა უკაცური, „უქმი და უღვანი“ იყო...“

წლის საქართველოს რესპუბლიკის რუკაზე დატანილი 3 ტოპონიმი „უდაბნოს“ სახელწოდებით: მონასტერი რაჭაში, მცირე სოფელი ლეჩხუმში და ცალკე სახლი საქართველოს ახალი საზღვრის გარეთ, ყარსის სიახლოვეს.

1923 წლის ისტორიულ რუკაზე მრავალი ტოპონიმი დატანილი, რომლებიც ნაწარომებია „კარი“ სიტყვისაგან. ასეთია: აბუნკარი ჭანეთში, აშათურთკარი – ციხე-სიმაგრე – შიდა ქართლში, გულერისკარი – დაბა გურიაში, კასრის კარი – დაბა, ციხე-სიმაგრე და ხიდი, უკანაკარი – დაბა სამშვილდეში და სხვ.

## აგარა

„... საგეოგრაფიო სახელად გვხვდება „აგარაც“, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. „აგარა“ როგორც ეტყობა სოფელზე ყოფილა დაკავშირებული...“

„... სოფლისაგან და დაბისაგან. ვგონებ აგარა ჩვეულებრივ ამა თუ იმ სოფლის ან მარტო საზაფხულო სადგური იყო, ან სახნავ-სავენაჯე, რომელიც თუმცა სოფელსავით დასახლებული არ ყოფილა, მაგრამ თითო-ორი იქნებ ყურის მგდები ოჯახობა შეიძლებოდა ყოფილიყო“.

თემი გარკვეულ „საგეოგრაფიო-საგამგეო ერთეულს ეწოდებოდა“. თუმცა, ისტორიულად ეს ტერმინიც განიცდიდა მნიშვნელობის ცვლილებას. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, თავდაპირველად იგი „ქვეყნის მნიშვნელობით“ გამოიყენებოდა და მხოლოდ, მოგვიანებით დავინროვდა მისი მნიშვნელობა:

## კარი

„... ქვეყანაში შემომყვანელს უმთავრესს გზას ან სიმაგრეს, რომლის ხელში ჩაგდებაც მეომარს მთელის სანახების, ზოგჯერ მთელის ქვეყნის, დაპყრობასაც-კი უადვილებდა, „კარი“ ერქვა ...“

ასეთს ადგილას ან ციხე-სიმაგრეები იყო აშენებული, ან თუ ჯვეის იწროები ბუნებრივ ზღუდედ გამოდგებოდნენ, მაშინ თვით ხეობაში იქ, სადაც გზა დავინროვდებოდა, კედელსა და კარს აგებდნენ ხოლმე“.

„...საგამგეო ერთეულის სახელად ქართულ მწერლობაში სიტყვა „თემიც“ იხმარებოდა. VII-XI სს-ის საისტორიო ძეგლებში იგი არა გვხვდება და როგორც ეტყობა დაახლოებით XII საუკ-ში ჩნდება. „თემი“ იმავე ცნების აღმნიშვნელია და იმავე ერთეულის სახელია, როგორისაც „ქუეყანად“ იხმარებოდა, ისევე მაშინ „თემი“ ყველგან მიღებული ყოფილა“. „... „თემი“ ახალი რაიმე საგამგეო ერთეულის სახელი არა ყოფილა. იგი ხან სამეფოს, ხან ქვეყნის, ხან ხეობის მაგიერ არის ნახმარი. მაგრამ თუ ასე იყო თავდაპირველად,

შემდეგში მას უფრო გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭა. მან თავისებური ელფერი მიიღო. ქვეყანა საზოგადო, ფართო ცნების გამომხატველად იქცა და მის მაგიერ თემი ჩადგა. ზემომოყვანილი მაგალითებითაც ირკვევა, რომ სრულიად საქართველოს შემადგენელ ნაწილებს და კუთხეებს, როგორც მაგ., კახეთს და სხვას, წინათ „ქუეყანა“ ეწოდებოდა, XII-XIII სს-ში უკვე „თემს“ – ასე ეძახდნენ. შემდეგში ხომ უფრო მკაფიო ცნების აღმნიშვნელად იქცა და „თემი“ ერთი ტომით დასახლებულს, განსაზღვრულ საგეოგრაფიო-საგამგეო ერთეულს ეწოდებოდა და ეხლაც ასე ეწოდება“.


საქართველოს ისტორიულ რუკაზე დატანილია 46 თემი, მათ შორის საქართველოში – 34. ქვეყნის ფარგლებში, I ს. ქრ.შ.-ით, მოქცეულია შემდეგი თემები: აბოცი, არგვეთი, არტაანი, აფხაზეთი, აჭარა, ბამბაკი, თრიალეთი, გურია, დვალეთი, კახეთი, სვანეთი, ტაშირი, ჭიქეთი სხვ.

ზოგიერთი თემი რუკაზე სახელწოდების გარეშეა, თუმცა თემის აღმნიშვნელი სასაზღვრო ნიშნითაა შემოფარგლული. მაგალითად, მდ. რიონის შუა წელის აუზი, სადაც მთავარ ქალაქად ქუთაისია დასახლებული. ანალოგიურია მდ. მტკვრის მარჯვენა მხარის შუა წელის აუზი, სადაც მთავარ ქალაქად ორია დასახლებული: განძა ანუ განჯა და შამქორი.

მცირე ფართობი მქონე თემების სიმრავლით და შესაბამისად ქვეყნის ტერიტორიის დაქუცმაცებით განსაკუთრებით სამხრეთი საქართველოა გამორჩეული. ამ მხრივ, ასევე გამორჩეულია ისტორიული საქართველოც – ტაო-კლარჯეთი და ქვემო ქართლის ტერიტორიის ნაწილი.



ზოგიერთი თემის ფარგლებში რუკაზე შედარებით მცირე ტერიტორიული ერთეულებიცაა დატანილი, რომელთაც ასევე საგეოგრაფიო-საგამგეო ერთეულის ფუნქცია უნდა ჰქონოდა, თუმცა მათი საზღვრები რუკაზე აღნიშნული არ არის. მაგ., გუდამაყარი, თოშეთი, თრუსო, მალრან-დვალეთი, სავახტანგო, ფშავი ანუ ფხოვი, ქნოლო, ჟამური, ცროგო, ცხრაზმა, ჭურთა, ხევსურეთ და სხვ. ასეთი საგეოგრაფიო-საგამგეო ერთეულების სიმრავლის განსაკუთრებით აღმოსავლეთი საქართველოა გამორჩეული.



რუკის ფრაგმენტი

რუკაზე დატანილია საქართველოს საზღვრები 3 ისტორიული პერიოდისათვის:

1. I საუკუნე ქრ.წ.
2. XII საუკუნის ქრ.შ.
3. 1783 წლის ქრ.შ.

ყველაზე ვრცელი ტერიტორია საქართველოს XII საუკუნეში უკავია და როგორც რუკიდან ჩანს, იგი ორ ზღვას შუაა მოქცეული. თანამედროვე საქართველოს ფარგლებს გარეთ, მის საზღვრებშია ჩრდილოეთ კავკასიისა (ყაბარტ ჩერქეზნი, ოვსეთი, ბასიანი, ოვსეთი, ძურძუკნი, დიდოეთი, დაღის-ტანი) და სამხრეთ კავკასიის (ტაო-კლარჯეთი, კოლა-არტაანი, პალაკაციო, აბოცი, ბამბაკი, ყაზახი და სხვ.) მნიშვნელოვანი ტერიტორიები. რაც შეეხება ქრ.წ. I საუკუნისა და ქრ.შ. 1783 წლის საზღვრებს, ისინი უმთავრეს პერიმეტრზე ერთმანეთს ემთხვევა. ერთადერთი გამონაკლისია მხოლოდ პალაკაციოს ტბის ირგვლივ მდებარე ტერიტორია, რომელიც 1783 წლის მდგომარეობით აღარ არის საქართველოს შემადგენლობაში.

საქართველოს ისტორიული რუკის ერთ-ერთი ეგზემპლარი დაცულია ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის აკაკი შანიძის (1887-1987) შთამომავალთა ოჯახში. საგულისხმოა ის მინანქრები, რომლებიც რუკის ზედა მარჯვენა კუთხეში, ლურჯი და ყავისფერი მელნითაა შესრულებული რუსულ და ქართულ ენებზე. ტექსტების სრული ამოკითხვა რთულად, თუმცა ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუნ-




დაც ფოტოგადაღებისა და გრაფიკული პროგრამის მეშვეობით. ეს მინაწერები, ორი პიროვნების მიერ სხვადასხვა დროს უნდა იყოს შესრულებული.



აკაკი შანიძე

რუკის ზემოთ, მარჯვენა კიდეზე რუსული წარწერაა, სადაც მხოლოდ „ტატიანა კონსტანტინოვნა“ იკითხება. მას აქვს მიწერილი ციფრი „1“, რაც ა. შანიძის მიერაა გაკეთებული და სქოლიოზე მიუთითებს. ქვემოთ, მართლაც მისივე ხელით შემდეგი წარწერაა მოცემული: „ეს ტატიანა არის კონსტანტინე ზანისის შვილი (ზანისი ცნობილი ფოტოგრაფია). ამ ქალს დაუხატავს ამ რუკის ბორდიურები და თვით ეს სურათები. ა.შ. 7.V.927. ეს რუკა შევიძინე კონსტანტინე ზანისისაგან.“ ამ წარწერის მარცხნივ შემდეგი მინაწერია: „ა. შანიძე, 1937“

როგორც ამ ჩანაწერებიდან ირკვევა, რუკის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის კონსტანტინე ზანისის შვილს – ტატიანას.





აკაკი შანიძის მინაწერი რუკაზე

კონსტანტინე ზანისი (1864-1947) – თბილისის ქუჩა-ბანდებისა და ჟანრული სცენების შესანიშნავი ფოტოგრაფიების შემქმნელი, იმავე დანესებულებაში მუშაობდა, რომელშიც ევსევი ბარამიძე. ის იყო სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილების ფოტოგრაფიის გამგე. აქედან ცხადად იკვეთება ის კავშირი, რომელიც ევსევი ბარამიძეს – აღნიშნული რუკის ერთ-ერთ შემქმნელსა და ზანისების ოჯახს შორის უნდა არსებულიყო.



კონსტანტინე ზანისი







რუკის ჩარჩოს ფრაგმენტი

სამხრეთ სანაპიროს ქალაქი	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები
სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები
13	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	6500	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები	სამხრეთ სანაპიროს სოფლები

ფრაგმენტები სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფილების სიდიან, 1921  
კონსტანტინე მანისი და მისი მეუღლე და შვილები









საქართველოს საზღვრების რუკა, ქართული





Carte de la Géorgie (საქართველოს რუკა), ფრანგული 1






Carte de la Géorgie (საქართველოს რუკა), ფრანგული 2



ისტორიულად ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავი სახელმწიფო საზღვრების ურყევობა და მდგრადობაა. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის. იმ გეოპოლიტიკურ სივრცეში, სადაც ქართული სახელმწიფო აღმოცენდა და შემდგომში განვითარდა,



ერთ-ერთ ურთულესი ამოცანა ქვეყნის საზღვრების დაცვა და მისი განმტკიცება იყო. სახელმწიფო საზღვრის დადგენასთან დაკავშირებული საკითხების ძირეული შესწავლის აუცილებლობა კარგად ჰქონდა გააზრებული ივ. ჯავახიშვილს. სწორედ ამიტომაც მიუძღვნა ამ საკითხს თავისი რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციის (1919 წ.) დელეგატი, ხოლო შემდეგ საბჭოთა საქართველოს პირობებში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის საზღვრების გამამტკნავი კომისიის მუშაობაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1921 წლის 7 ივნისს, რექტორის სახელზე, შემოვიდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიმართვა, რომელშიც ნათქვამია:


„გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატთან მოწვეულია განსაკუთრებული კომისია შემდგარი საქართველოს, სომხეთის და

აზერბაიჯანის წარმომადგენელთაგან რომელსაც მინდობილი აქვს სსენებული რესპუბლიკათა საზღვრების გადამიჭვნა და აგრეთვე მოსაზღვრე სოფლების მცხოვრებთა შორის ურთი ერთ დამოკიდებულების მოგვარება.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ თუ შესაძლოდ დაინახავთ, გასწიოთ პავლე ინგოროყვასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობა აღნიშნულ კომისიაში”.

იმავე დღეს ივ. ჯავახიშვილი პასუხს უბრუნებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს: „პასუხად თქვენს მომართვაზე 6 ივნისიდან № 5716/2462 პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ მე თანახმა ვარ ვიკისრო საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობა მეზობელ რესპუბლიკებთან საზღვრების გამომრკვევ კომისიაში”.

მსოფლიო ომი ანტანტის (ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთის, იტალიის, აშშ-სა და სხვ.) გამარჯვებით დამთავრდა. ომმა, რომელმაც დაახლოებით 9-10 მლნ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ძირეულად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, დაანგრია ოთხი დიდი იმპერია – გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის, რუსეთის, ოსმალეთის და მათ ნანგრევებზე წარმოქმნა ახალი დამოუკიდებელი





სახელმწიფოები, საერთაშორისო აღიარებისა და ტერიტორიული სივრცის გაფართოების მისწრაფებებით, ერთმანეთთან შეუთანხმებელი და სადავო საზღვრებით. კაცობრიობა კვლავ ახალი ომის დაწყების საფრთხის წინაშე დადგა. ამიტომ მოკავშირეთა ძალები იწყებენ მზადებას მსოფლიოს ახალი პოლიტიკური მოწყობისათვის – პარიზის სამშვიდობო კონფერენციისათვის. აქ, ამ საერთაშორისო ასპარეზზე უნდა გადაწყვეტილიყო მრავალი სახელმწიფოს ბედი – სახელმწიფოებრივი აღიარება და საზღვრების გამიჯვნის საკითხი.

საქართველოც დიდ იმედებს ამყარებდა ამ კონფერენციაზე. „სულ ახლო მომავალში პარიზში იქმნება მსოფლიო სამშვიდობო კონგრესი, რომელზედაც, სხვათა შორის, საბოლოოდ გადაწყდება აღდგენილ თუ ახლად წარმოშობილ სახელმწიფოთა ბედი. ყველანი გაფაციცებით ემზადებიან საერთაშორისო მაღალ კრებისათვის, რომ კულტურულ კაცობრიობას თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი საჭიროებანი წარუდგინონ“ – წერდა გაზეთი „საქართველო“.

1918 წ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შეადგინა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგაცია. თავდაპირველად (21 ნოემბერი) დელეგაცია სამი პირისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე, ნიკო ნიკოლაძე და გიგო რცხილაძე. შემდეგ კი (7 დეკემბერი) დელეგაციამ შემდეგი სახე მიიღო:

1. ნ. ჩხეიძე – თავმჯდომარე
2. ი. წერეთელი

*დელეგატები:*

3. გ. რცხილაძე
4. ნ. ჯაყელი
5. პროფ. ი. ჯავახიშვილი
6. გენერ. ი. ოდიშელიძე

*მოთათბირენი:*

7. ვლ. მგელაძე
8. ვახ. ღამბაშიძე
9. ბ. ბაბე
10. ივ. ზურაბიშვილი

*სეკრეტარიები:*

11. ი. გოგოლაშვილი
12. ა. დეკანოზიშვილი
13. ე. წერეთელი
14. დ. შარაშიძე – თავმჯდომარის პირადი მდივანი

*საინფორმაციო ნაწილი:*

15. ი. ნაკაშიძე
16. გ. რობაქიძე
17. ა. გვათუა – სამეურნეო ნაწილის გამგის თანაშემწე
18. ნავროზაშვილი – საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე
19. პორ. წვერავა – რადიოს სპეციალისტი

როგორც ეტყობა, დელეგატთა ეს შემადგენლობაც შეიცვალა და 1919 წ. 9 იანვარს 12-კაციანი საქართველოს დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრა, 11 იანვარს ბათუმში ჩავიდა. აქედან სტამბოლში, შემდეგ კი პარიზში უნდა გამგზავრებულიყვნენ. აქ დელეგაცია ხელოვნურად შეაყოვნეს.

1919 წ. 11 იანვარს ივანე ბათუმიდან აკაკი შანიძესა და იოსებ ყიფშიძეს წერდა: „ინგლისელების სიტყვა ისევ მრუდე აღმოჩნდა: გემი აქ არ არის და ერთ კვირაზე ადრე არც იქნება“. იმავე დღეს ივანე ჯავახიშვილი წერილს უგზავნის მეუღლესაც და იმავე საკითხზე ჩივის. ივანე ანასტასიას: „ბათუმში ვზივარ, რათგან ინგლისელების ცნობა სწორე არ გამოდგა, როგორც ხშირად სხვა დროსაც: გემი არ არის, ვითომც გუშინ წინ წასულიყოს რაკი სტამბოლითგან ბრძანება მოსვლოდეს. როდის მოვა ჭერ არ იციან, შეიძლება ერთ კვირასაც დაუგვიანდესო, უსაქმოდ ვართ. აქ მშვენიერი დარია, თბილა. ხალ-

ბი ძალიან ცოტადა დარჩენილა. დღეს ინგლისელი გენერლები უნდა ჩამოვიდნენ ტფილისიდან და იმედია როგორც შეგვაცდინეს, ისევე გამოანოროებენ და გემს გვიშოვიან”.

მართლაც, აქ ისინი ერთი კვირა შეყოვნდნენ გემის მოლოდინში და შემდეგ კი კონსტანტინოპოლში (სტამბული) გაემგზავრნენ. მაგრამ დელეგაციას გზის გაგრძელების საშუალება არ მისცეს და იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. ივანე ჯავახიშვილი, სხვა წევრებთან ერთად, 2 აპრილს თბილისს დაბრუნდა.

საქართველოს დელეგაციის ევროპაში გამგზავრებაზე გაზეთი „საქართველო“ შემდეგ აზრს გამოთქვამდა: „დელეგაციას საერთოდ ცუდად ეპყრობიან და ჯერჯერობით მსოფლიო კონფერენციაზე არ უშვებენ. ამის მიზეზად ასახელებენ დელეგაციის სოციალისტურ შემადგენლობას”. თუმცა გაზეთ „შრომას“ ჰქონდა განსხვავებული მოსაზრება: „ჩვენი დელეგაცია სტამბოლში მის და იქიდან წასვლას ვერ ახერხებს. რა თქმა უნდა ბურჟუაზიული და ნაციონალისტური წრეების მიერ შეთხზული ჭორი თითქოს ჩვენს დელეგაციას იმიტომ აბრკოლებენ, რომ ის სოციალისტებისაგან შედგება, მართალი არ არის. ჩვენი დელეგაციის სტამბოლში გაჩერება, უეჭველია, არის ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტრების საქმე. მათი მიზანია, რომ ჩვენი დელეგაცია სრულებით არ მოხვდეს საერთაშორისო კონფერენციაზე, რომ ჩვენი ხმა იქ სრულებით არ გაისმას”. მართლაც, საქართველოს ხელისუფლებას აბრალებდნენ პირველ მსოფლიო ომში გერმანოფილობას, რომელიც შეუთავსებელი აღმოჩნდა გამარჯვებული მოკავშირეებისათვის და, პირველ რიგში, ინგლისისათვის. ამასთან საკმაოდ აქტიურობდა სომხური ლობიც. მათ ხომ დასაბუთებელი ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდათ საქართველოსთან და ახლა სარგებლობდნენ შექმნილი მომენტით და საქართველოს გერმანოფილობას თავის ანგლოფილობის სასარგებლოდ იყენებდნენ.

გზის გაგრძელების უფლება მისცეს მხოლოდ კარლო ჩხეიძესა და ირაკლი წერეთელს. ისინი, ალბათ, იმიტომ დაუშვეს კონფერენციაზე რომ საქართველოს წარმომადგენლობაც ყოფილიყო წარმოდგენილი და თანაც, ისინი რუსეთსა და ევროპაში ცნობილი პოლიტიკოსები იყვნენ. ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე იმჟამად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის, ხოლო მოგვიანებით, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე იყო.

ბათუმსა და კონსტანტინეპოლში გამგზავრების მოლოდინის პერიოდს უქმად არ ჩაუვლია დიდი მეცნიერისათვის. სწორედ ამ პერიოდში შექმნა მან თავისი ორი მეტად ღირებული ნაშრომი: „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში” და „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული”. ჩვენი ქვეყნის საზღვრების შესახებ შექმნილ მცირერიცხოვან ნაშრომთა შორის ეს უკანასკნელი უთუოდ გამორჩეულია მწყობრი, ღრმა მეცნიერულ ანალიზზე დაფუძნებული მსჯელობებით.

ივანე ჯავახიშვილი კი უკან, სამშობლოში ბრუნდება და თავის მიერ დაარსებულ პირველ ქართულ უნივერსიტეტში 28-29 აპრილს კითხულობს ლექციას „მოხსენება თანამედროვე მომენტზე”.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მრავალი დოკუმენტი იქნა წარდგენილი, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფოები ცდილობდნენ წარმოეჩინათ თავიანთი ქვეყნის ისტორია, ტერიტორიული მომცველობა და მოთხოვნილი საზღვრები. 1926 წელს სტენფორდის უნივერსიტეტის (აშშ, კალიფორნია) გამომცემლობამ გამოაქვეყნა „პარიზის კონფერენციაზე სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ წარდგენილი დოკუმენტების კატალოგი”. როგორც ამ გამოცემიდან ირკვევა, სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილი დოკუმენტები ორ ძირითად კატეგორიად იყო წარმოჩენილი: დელეგაციის მიერ ავთენტურად მიჩნეული დოკუმენტები (Propaganda Authenticated by the Delegations) და დელეგაციის არაავთენტური დოკუმენტები (Propaganda Unauthenticated by the Delegations). ცხადია, ანალოგიური დოკუმენტებით წარდგა საქართველოც. ამ დოკუმენტთა ნუსხაში ჩამოთვლილია რუკებიც, რომლებიც ივ. ჯავახიშვილის ხელდასხმით შეიქმნა.

საქართველოს მხრიდან უმაღლესი რანგის შეხვედრაზე წარდგენილ დოკუმენტებს შორის განსაკუთრებით ყურადსაღებია „პარიზის კონფერენცია, 1919. საქართველო” (Paris. Peace Conference, 1919. Georgia... Memories présenté à la Conférence de la paix (revendications politiques-frontières) suivi de l'carte de l'indépendance de la Géorgie et d'une carte. Paris [Imp. M. Flinikowski] 1919. 1 p. 1., [5] - 22 p., 11. map, 27 cm.



პარიზის სამშვიდობო კონფერენციის დოკუმენტები (საქართველო)

<p>დელეგაციის მიერ ავთენტურად მიჩნეული დოკუმენტები Propaganda Authenticated by the Delegations</p> <p>დელეგაციის მიერ წარდგენილი Documents Presented to the Peace Conference (გვ. 11)</p>	<p>საჯაროდ გავრცელებული Documents Distributed to the Public (გვ. 36-37)</p>	<p>დელეგაციის არაავთენტური დოკუმენტები Propaganda Unauthenticated by the Delegations (გვ. 84)</p>
<p>"ქართული დელეგაცია შვიდობის კონფერენციამე მოხსენება წარდგენილი შვიდობის კონფერენციამე. პოლიტიკური პრეზენტაციები – სამ-საქართველოს ღვრები. თან ერთვის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და რუკა. პარიზი – 1919 წ. ივლისი." Paris. Peace Conference, 1919. Georgia... Mémoire présenté à la conférence de la paix revendications politiques-frontières): suivi de l'acte de l'indépendance de la Géorgie et d'une carte. Paris [Imp. M. Flimikowski] 1919. 1p. 1., [5]-22 p., 11. map. 27 cm.</p> <p>At head of title: Délégation géorgienne à la Conférence de la paix.</p>	<p>■ ბაბე ვ. საქართველოს ეკონომიკური რუკა. მასშტაბი 1:1.680.000. პარიზი: გრაფიკული ლობროტის მიერ, 1919 (?). ფორადი, 45½ x 62 სმ. Babet V. Carte économique de la Géorgie, dressée par V. Babet. Échelle 1:1.680.000... [Paris] Gravé par Lobrot [1919?] col. map. 45 ½ x 62 cm. (in folder 31 sm);</p> <p>■ საქართველოს რუკა. მასშტაბი 1:3.000.000. პარიზი: გრაფიკული ლობროტის მიერ, 1919 (?). ფორადი, 21½ x 35 სმ. Carté de la Georgie, Echelle 1:3.000.000... [Paris] Gravé par Lobrot [1919?] col. map. 21½ x 35 cm. (in folder 31 cm.);</p> <p>■ ჩერქეზი ვ. საქართველო; ტრადიციები და პოლიტიკური უღლებები, 1919. Cherkosov V. ... La Géorgie: ses traditions et ses droits politiques... Paris, Impr. L. Pochy, 1919. 1 p., 1., 14 p. 24 cm. At head of title: V. Tcherkésoff. l'Extrait de la Revue de Paris du 1 octobre 1919°;</p> <p>■ ილუსტრაციები, საქართველო. პარიზი, 1 ნაწყვეტი პარიზიული უზრუნველადან, 1919 წლის 1 ოქტომბერი. L'Image, no 221, octobre 1919. En Géorgie. [Paris, 1919] [16] p. illus. (incl. ports., map) 28 sm. Cover-title. „La Géorgie doit être libre“. by Jacques de Layr. p. [2-4];</p> <p>■ საქართველო უნდა იყოს თავისუფალი“;</p> <p>■ რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებები 1762-1796 წლებში. რუსეთის იმპერატრიცა კატერინე II-ისა და საქართველოს მეფის, ერეკლე II-ს შორის დადებული ტრაქტატი. (რუსეთის შრომების კრებული, ტ. XXI 15838) პოლ მორეოდის წინასიტყვაობა, ბატონ მ. ოკუნელის კომენტარები). Russia. Treaties, etc., 1762-1796 (Catherine II) Traité conclu en 1783 entre Catherine II, impératrice de Russie, et Irakly II, roi de Géorgie. (Recueil des lois russes, vol. XXI, no. 15838) Avec une préface de M. Paul Moraiaud... et commentaires de M. A. Okouneli. Genève [Impr. Chaulmontet] 1919. 19, [1] p. 27 cm. Published by the Bureau de presse géorgien, Bern;</p> <p>■ წერიტული ი. იმიერკავკასიის გამყოფა რუსეთიდან და საქართველოს დამოუკიდებლობა. ირაკლი წერიტლის მოხსენება, სენსორაფიული ჩანაწერი, 1919. ალბერტ ტომბის წინასიტყვაობა. Tsereteli, Irakly. ... Séparation de la Transcaucasie et de la Russie et indépendance de la Géorgie; discours prononcés à la Diète transcaucasienne, par Irakly Tsereteli (comptendu sténographique) Préface d'Albert Thomas. Paris, Imprimerie Chaix, 1919. 55 p. 21 sm. At head of title: Irakly Tsereteli;</p> <p>■ ვეშაპელი გ. საქართველო - თურქეთი: ლამბისანი, ტრაპიზონი და გორხის მიდამოები. ბერნი, 1919, გ. ივლისი, 52 გვ. ილუსტრ. შინაარსი-წინასიტყვაობა საქართველო-თურქეთის ისტორია. საქართველო და თანამედროვე თურქეთი. ლემანი, სომხეთის ეგტორშია ქართველების მომავალი თურქეთში. Veshapeli, G. ... La Géorgie turque: Lasiestan, Trenizon et contrée du Tchorkh... Berne, Imp. G. Iseli, 1919. 52 p. incl. illus., tables, map. 23 cm. Contents. - Préface.-Histoire de la Géorgie turque.-La Géorgie turque contemporaine.-L'Al. lemagne, l'autonomie arménienne et l'avvenir de la Géorgie turque.</p>	<p>■ საქართველოს ეროვნული კომიტეტი. საქართველოს დამოუკიდებლობის უღლები. Comité national géorgien. Le droit de la Géorgie à l'indépendance. [n. p., 1918?] [4] p. 28 sm. Caption title;</p> <p>■ ემანუელ კუნე. დამოუკიდებელი საქართველო: წარსული, აწმომ, მომავალი. ვენეცია, 1920. La Tribune de Genève, " 1920. Kuhne, Emmanuel, ... La Géorgie libre: son passé - son présent - son avenir (avec une carte) Genève, Impr. de „La Tribune de Genève, " 1920;</p> <p>■ ნიპოლდი ო. საქართველო სერთა-შორის საქართლის თვალთახევიტო. ბერნი, 1920. Nippold, Otfried, 1864 - La Géorgie du point de vue du droit international. par O. Nippold... Berne, Impr. G. Iseli, 1920. 78 p., 11. 23 cm. „Edition du Bureau de presse géorgien“;</p> <p>■ პარიზი. სამშვიდობო კონფერენცია, 1919. საქართველო: გემორანდუმი წარდგენილი სამშვიდობო კონფერენციამე (პოლიტიკური პრეზენტაციები - სამღვრები), საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიხედვით (თან ერთვის რუკა), გამოქვეყნებული ფრანგულადგ. Paris. Peace Conference, 1919. Georgia... Memorandum presented to the Peace conference (political claims - frontiers) followed by the act of independence of Georgia and a map. Paris [Imp. M. Flimikowski] 1919. 1 p. 1., [5]- 20 p. fold. map. 27 ½ cm. At head of title: Georgian delegation to the Peace conference. Issued also in French.</p>

At head of title: Délégation géorgienne à la Conférence de la paix, გვ. 11). ეს დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტების განყოფილებაში. მოგვიანებით ითარგმნა ქართულადაც. ეჭვგარეშეა, რომ ამ დოკუმენტის შედგენაში ივ. ჭავჭავაძის მონაწილეობა. გამოცემას თან ერთვის ივ. ჭავჭავაძის მიერ ფრანგულ ენაზე გამოცემული „საქართველოს რუკა“.

თუმცა არც ამ გამოცემაში და არც პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული არ არის ივ. ჭავჭავაძის გვარი. ეს ლოგიკურია, ვინაიდან ოფიციალურ დოკუმენტებში შემდგენელ პიროვნებათა გვარები, როგორც წესი, არ მითითდება.

აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ საქართველოს დელეგაცია შუამდგომლობით მიმართავს კონფერენციაზე შეკრებილ სახელმწიფოებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტა კი უცილობლად ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების მოგვარებასაც საჭიროებს:

„განსაზღვრავს რა თავის საზღვრებს, საქართველოს მთავრობა მოითხოვს მხოლოდ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ყოველთვის ეკუთვნოდა ქართველ ხალხს და, რომლებიც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამავე დროს, სხვა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს არ ეხება.


საქართველო არ მოითხოვს იმ საზღვრების აღდგენას, რომელიც მას აყვავების ეპოქაში ჰქონდა. უარს ამბობს იმ ტერიტორიებზეც, რომლებიც მას 1801 წელს რუსეთთან შეერთების დროს ეკუთვნოდა და, რომლებიც მეზობელი ხალხების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

...საქართველოს დელეგაცია ამტკიცებს, რომ საქართველოს ტერიტორიამ უნდა მოიცვას: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ზაქათალის და ბათუმის ოლქები, ორი ოლქი ყარსის დასავლეთით (ოლთი და არდაგანი) და შავიზღვისპირეთის ოლქის რამდენიმე ნაწილი, აგრეთვე ტრაპეზუნის ვილაიათი (ტრებიზონი). რუკას განმარტებებით ვთავაზობთ კონფერენციას”

– ვკითხულობთ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მოხსენებაში, რომელიც წარდგენილ იქნა პარიზის საზავო კონფერენციის სახელზე. პარიზი, 1919 წლის ივლისი.

თუ ამ ამონარიდს ჩვენ სწორედ ბათუმ-კონსტანტინეპოლში დანერგილ ივ. ჭავჭავაძის ნაშრომს – „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ – ძირითად პათოსსა და სულისკვეთებას შევადარებთ, მათ იგივეობაში ეჭვი არ შეგვეპარება. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი ადგილი მეცნიერის ამ ნაშრომიდან. იგი მოხაზავს რა საქართველოს მთელს საზღვარს, ბოლოს იძლევა რჩევას: „კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლებაზე იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს”.

საყურადღებოა, რომ ივ. ჭავჭავაძის მიერ შედგენილი 1919 წლის რუკა, ჩვენთვის ცნობილი 3 ვარიანტის სახითაა შემორჩენილი:



1. საქართველოს საზღვრების რუკა, 1919. ქართული. მასშტაბი 1: 3,000,000. შემორჩენილია მისი შავ-თეთრი ვარიანტი, სადაც საზღვრები დატანილია წითელი კონტურით.

2. Carte de la Georgie, 1919. საქართველო. ფრანგული. მასშტაბი 1: 3,000,000.

3. Carte de la Georgie, 1919. საქართველო. ფრანგული. მასშტაბი 1: 3,000,000.

სამივე რუკას, მცირე გამოჩვენების გარდა, საერთო აქვს ზოგადგეოგრაფიული საფუძვლის ელემენტები – ოროჰიდროგრაფიული ქსელი და დასახლებული პუნქტები. თუმცა, ამის თქმა არ შეიძლება საზღვრების მიმართ. რუკებზე რამდენიმე პოლიტიკური საზღვარია გატარებული, რომლებიც სამ ტიპში შეიძლება გავაერთიანოთ: ისტორიული, თანამედროვე და მოთხოვნილი.

ფრანგულენოვან რუკებზე საზღვრის კონტური, მის უმეტეს ნაწილზე ერთნაირადაა მოხაზული. თუმცა მათ შორის 2 არსებითი სხვაობაა:

◆ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ერთ რუკაზე გადის მდ. მაკოფსესთან (ქ. ტუაფსის სიახლოვეს), ხოლო მეორეზე – მდ. ფსოუსთან, ე.ი. პირველ შემთხვევაში ქვეყნის ტერიტორია უფრო ვრცელია და საზღვარი ჩრდილო-დასავლეთითაა გადანული.

დღეს მეტად რთულია აიხსნას, თუ რატომ არის განსხვავებულად გატარებული საზღვრის კონტურები. ლოგიკურად, იგი სხვადასხვა ისტორიული პერიოდის ერთგვარი გამოძახილი უნდა იყოს – საქართველოს საზღვარი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვანაირად გადიოდა. იყო დრო, როცა ქვეყნის საზღვარი არა თუ მდ. ფსოუს, მდ. მაკოფსეს, არამედ კიდევ უფრო ჩრდილო-დასავლეთითაც კი გადიოდა. ამის შესახებ თვით ივ. ჯავახიშვილიც წერდა თავის ერთ-ერთ ნაშრომში: „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“: „სრულიად საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის უკიდურეს სამზღვარზე აბხაზეთი იყო და ეხლაც იგივე კუთხე ჰსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკას. ისტორიულის ცნობების მიხედვით მე-XI-ე საუკუნეში ეს მოსამზღვრე ხაზი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა, სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი იწყობოდა. მოსამზღვრე ხაზად მდ. ყუბანის შესართავი და კავკასიის ქედის წვერი ითვლებოდა (ლ. მროველი იხ. ქართველი ერის ისტ. II, 311 და 266). ასე ჩრდილოეთით იმიტომ იყო სამზღვარი წაწეული, რომ მაშინ ჭიქეთი და ალანთა ქვეყანაც აბხაზეთს ეკუთვნოდა“.

◆ მართალია, საქართველოს სამხრეთი საზღვარი ორივე ფრანგულენოვან რუკაზე ერთნაირადაა გატარებული (წითელი ხაზით), მაგრამ განსხვავება თვით მიდგომაშია. კერძოდ, ერთ რუკაზე დატანილია მოთხოვნილი საზღვარი, რომელიც უდიდეს პერიმეტრზე ემთხვევა იმ დროის თანამედროვე საზღვარს. ამის გამო შეუძლებელია ერთმანეთისაგან გაირჩეს არსებული და მოთხოვნილი საზღვრის კონტურები. მეორე რუკის შემთხვევაში კი, ეს განსხვავება ხილულია. ქვეყნის არსებული საზღვარი გატარებულია წითელი ხაზით, ხოლო მოთხოვნილი – წითელი პუნქტებით.

საზღვრის კონტურები კიდევ უფრო მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ქართულ რუკაზე, სადაც 4 ტიპის საზღვარია აღბეჭდილი. ის, რაც ფრანგულ რუკებზე მოთხოვნილ საზღვრადაა გატარებული, აქ ისტორიული საზღვრის სტატუსითაა მოცემული. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პარიზის სამშვიდო კონფერენციაზე ივ. ჯავახიშვილისეული ვერსია მოთხოვნილ საზღვარზე საქართველოს ისტორიული სამართლიანობის აღდგენის სურვილის გამოხატვაა.

### საზღვრები საქართველოს 1919 წლის რუკების მიხედვით

საზღვრები	ქართული	ფრანგული 1	ფრანგული 2
ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვარი	+	+	+
საქართველოს სახელმწიფო ისტორიული საზღვარი	+		
საზღვარი სომხების მოთხოვნილებისამებრ	+		
საქართველოს საზღვარი რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს	+		
საქართველოს მიერ მოთხოვნილი საზღვრები		+	+
საქართველოს საზღვრები			+



რა დასკვნას აკეთებს ივ. ჯავახიშვილი, თუ როგორ უნდა გატარდეს ჩვენი სახელმწიფოს საზღვარი, ამის შესახებ თვით მეცნიერი აღნიშნავს:

„საქართველო მუდამ უნდა ემყარებოდეს თავის თავს“

„...საჭიროა მხოლოდ რომ საქართველოს პოლიტიკური აზროვნება შეეჩვიოს იმ აზრს, რომ საქართველო მუდამ უნდა ემყარებოდეს თავის თავს, და თავისი ძალღონით მას შეუძლია შემუსროს გარედან შემოსეული მტერი. საქართველოსთვის საჭირო არ არის ვისიმე პროტექტორატი. ბედი ცვალებადია, სხვისი მფარველობა კი ჩვენ მოგვადუნებს. საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი იმედი უნდა ჰქონდეს. ჩვენი სამშობლო ისეა შემოფარგლული, რომ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მას ბუნებრივი სიმაგრეები საზღვრავენ. დასავლეთიდანაც საზღვრავს ზღვა. მხოლოდ ერთად ერთი საზღვარი, რომელიც ღიაა, ეს არის აღმოსავლეთის საზღვარი. საქართველოს თავის დასაცავად მხოლოდ ამ საზღვრის ხელოვნურად გამაგრება ამ მშვენიერი საზღვრების გამო საქართველოს არ დასჭირდება დიდი ჯარის შენახვა, საჭირო დროს საქართველო შემოჰკრებს თავის შეგნებულ შვილთ, რომელნიც სამშობლოს დაიცავენ. საჭიროა მხოლოდ რომ ყოველ ქართველს ჰქონდეს სამხედრო ცოდნა. ჩვენ სამშობლოს რამდენიმე ათეული საუკუნე უცხოვრია, ბევრი ჭირ-ვარამი გადაუტანია, მაგრამ იგი ისევე ისე დგას, როგორც სალი კლდე, მაშინ როცა მის დამპყრობი სახელმწიფოები დაშლილან, განადგურებულან, და ბევრი მათგანი სრულებით აღგვიღან დედამიწის ზურგიდან.

ამ გვარად ჩვენი სამშობლოსათვის საბრუნავია, რომ განამტკიცოს თავის დამოუკიდებლობა, დაემყაროს მხოლოდ თავის ძალებს, დარჩეს კვალად ნეიტრალური ამ მსოფლიო ომში და სახელმწიფოთ ფეხის ხმას არ აჰყვეს“.

„ქართველი ერის ისტორიაში“ ივ. ჯავახიშვილი აღწერს იმ ტერიტორიასა და ცვლილებებს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა განიცდიდა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში: ძლიერების ხანაში დიდი ტერიტორიული მომცველობით, როცა „მთელი ამიერი კავკასია-კი ეკუთნოდა“, ხოლო ძნელბედობის ჟამს – დაქუცმაცებული და შემცირებული. წარმოდგენილ ნაშრომში კი მეცნიერის კვლევის მთავარი მიზანი ამ დიდი ისტორიული ცვლილებების განხილვაა კი არ არის, არამედ **XX საუკუნის დასაწყისში შექმნილი პოლიტიკური რეალობის ადეკვატური აღქმა და ტერიტორიული გამიჯვნის ერთგვარი სტრატეგიის წარმოჩენა**. როგორც თვით ივ. ჯავახიშვილი წერს ნაშრომში განხილული აქვს „საქართველოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული სამზღვრები, ისე როგორც თვით იგი ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრეთვე გეოგრაფიულ და ეკონომიური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა“.

ივანე ჯავახიშვილი საქართველოს საზღვრებს იმ **ორ უმთავრეს კონტექსტში** განიხილავს, რომლის საფუძველზეც უნდა შემოიფარგლოს ქვეყნის მიჯნები:

- ისტორიულ კონტექსტში – როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში, საუკუნეთა განმავლობაში;
- თანამედროვე ვითარების (საერთაშორისო სამართლის) კონტექსტში – როგორ უნდა შემოიხაზოს საქართველოს რესპუბლიკის თანამედროვე სახელმწიფო საზღვრები.

როგორც თვით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, გამოკვლევა 3 ძირითადი მიმართულებით აქვს ჩატარებული:

1. საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების: „თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში“.

2. საზღვრის დაცვის: „თუ როგორ იცავდა ამ სამზღვრებს ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში“.

3. საზღვრის გატარება ისტორიული სამართლიანობისა და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობის დაცვის შესაბამისად: „თანამედროვე ცხოვრებისა და აწინდელი პირობებისადა მიხედვით, – თუ რა ნაირად უნდა შემოიხაზოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამზღვრები ამჟამად, რომ საერთაშორისო სამართლისა, 1783 წ. რუსეთთან დადებული ხელშეკრულებითა და ეროვნებათა თვითწამორკვევის უფლებით უზრუნველყოფილი ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები არ შეილახოს და სამართლიანობა აღდგენილ იქმნას“.

აღნიშნულ საკითხებს იგი საკმაოდ დეტალურად განიხილავს და აზუსტებს იმ ძირითად გარემოებებს, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა გატარდეს ქვეყნის სახელმწიფო საზღვრები. ეს გარემოებებია:


- საერთაშორისო სამართალთან შესატყვისობა;
- რუსეთთან 1783 წელს დადებული ხელშეკრულების დაცვა;

- ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფა;
- ქართველი ერის პოლიტიკური უფლებების შეუღახაობა;
- სამართლიანობის აღდგენა.

შეიძლება ითქვას, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული გათვლებია, რომლებსაც არც დღეს დაუკარგავთ თავიანთი აქტუალობა და მნიშვნელობა. თუმცა დიდი მეცნიერისათვის სრულიად არ არის საკმარისი აღნიშნული გარემოებები ქვეყნის ბედ-იღბლის განმსაზღვრელი ასეთი რთული საკითხის გადაჭრისათვის იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება გათვალისწინებული „სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი“. რას გულისხმობს იგი? „... კეთილმემობლურ დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლებებზე იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს“ – წერს ივ. ჯავახიშვილი და ასახელებს რამდენიმე ასეთ ადგილს. ე.ი. ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მიღმა, იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს გარკვეულ დათმობებსაც, თუ, რა თქმა უნდა, ამას უსაფრთხოება და მშვიდობიანი თანაარსებობა მოითხოვს.

სწორედ ეს „სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი“ არის ივ. ჯავახიშვილისათვის ის **სახელმძღვანელო პრინციპი**, რომლითაც მშვიდობიანად უნდა გადანყდეს აღნიშნული საკითხი. თუმცა XX საუკუნის დასაწყისში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ საქართველოს წაართვა შესაძლებლობა, ეხელმძღვანელა ამ უმთავრესი პრინციპით და ამასთან აღედგინა ისტორიული სამართლიანობა: „ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობასა და არც კეთილ მემობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მემობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისაგან გადაარჩენს. სწორედ ამ კეთილმემობლურ დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლებებზე იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს...“ [ჯავახიშვილი, 1919].

როგორც ივ. ჯავახიშვილის ნაშრომიდან „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ და მასთან თანდართული რუკიდან ირკვევა „საქართველოს საზღვრების რუკა“ (1919 წ.) გამოიყენა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილებაში, რისთვისაც იგი მადლობას უხდის მის უფროსს: „ამ მონოგრაფიას დართული აქვს რუკა, რომელიც დამზადებულია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილების მიერ, რისთვისაც მის უფროს პროფ. გენ. ან. ბენაშვილს და ტოპოგრაფიულს განყოფილებას დიდს მადლობას მოვახსენებ“.



საქართველოს საზღვრები ივ. ჯავახიშვილის 1919 წლით დათარიღებული სამი რუკის მიხედვით

როგორც საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული 1921 წლის ერთი დოკუმენტიდან („სია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილების მოსამსახურეთა, რომლებმაც უნდა მიიღონ სესხი შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდიდან“. ფ. 1969, ანაწერი №2, საქმე №265, გვ. 1-7) ირკვევა, ეს განყოფილება საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. აქ მუშაობდა 49 თანამშრომელი – კარტოგრაფები, ტოპოგრაფები, გეოდეზისტები, მხაზველები, ფოტოგრაფები, რუკის რედაქტორი და დამხმარე სხვა პერსონალი. მათ შორის არიან თავისი დარგის გამოჩენილი სპეციალისტები:

- ევსევი ბარამიძე – ტოპოგრაფიულ სამუშაოთა უმცროსი მწარმოებელი;
- კონსტანტინე ზანისი – ფოტოგრაფიის გამგე;
- ვლადიმერ ტუგულოვი – ტოპოგრაფიულ სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი;
- გიორგი ქავთარაძე – რუკების რედაქტორი;
- მიხეილ ქავთარაძე – აქაქი (მეჩუქურთმე);
- სერგი ცხაკაია – კარტოგრაფი;
- გრიგოლ ხუნჯუა – ტოპოგრაფიულ სამუშაოთა მწარმოებელი;
- და სხვ.

**ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილი** (1862-1941) – გამოჩენილი მეცნიერი, ქართველი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი, ქართული უნივერსიტეტის, ან უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელია. მას დიდი წვლილი მიუძღვის გეოდეზიურ-კარტოგრაფიული საქმიანობის ფართოდ დანერგვაში საქართველოში.

ა. ბენაშვილი გახდა ქართულ უნივერსიტეტში 1918 წელს დაარსებული ასტრონომიისა და გეოდეზიის კათედრის პირველი გამგე, 1919 წლიდან – სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანი. პეტრე მელიქიშვილთან ერთად იყო პირველი პროფესორი ბუნებისმეტყველების დარგში. საგულისხმოა, რომ სწორედ ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ა. ბენაშვილი 1918 წელს წარადგინა კანდიდატად „ტფილისის ფიზიკური ობსერვატორიის“ დირექტორის ადგილზე.


როგორც ერთ-ერთ საუკეთესო გეოდეზისტსა და ტოპოგრაფს, ჯერ კიდევ 1901-04 წლებში ა. ბენაშვილს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე ჰქონდა მინდობილი რუსეთის იმპერიაში. იგი მუშაობდა დასავლეთის სასაზღვრო სივრცის ტრიანგულაციის სამმართველოს უფროსის თანაშემწედ, შემდეგ უფროსად. 1908 წელს იგი პოლკოვნიკის, მოგვიანებით კი გენერალ-მაიორის წოდებას იღებს.

ა. ბენაშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობიდან შემორჩენილია 1920 წლის რუკა „საქართველო და მისი მოსაზღვრე სახელმწიფოები“ (მასშტაბი 1:1,680,000), რომელიც შედგენილია ს. ცხაკაისთან ერთად. რუკა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასზე დატანილი საქართველოს საზღვარი ასახავს გასაბჭოელამდელ ვითარებას. თუ ამ რუკას ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ 1919 წლის ქართულ-ფრანგულ რუკებს შევადარებთ, სადაც ქვეყნის იმდროინდელი საზღვარიცაა დატანილი, ეს შესაძლებლობას მოგვცემს დინამიკაში წარმოვიდგინოთ ის ტერიტორიული ტრანსფორმაციები, რასაც ისტორიის ამ მოკლე პერიოდში ჰქონდა ადგილი.



ანდრია ბენაშვილი






ანდრია ბენაშვილის რუკა „საქართველო და მისი მოსაზღვრე სახელმწიფოები“ (1920 წ.)



ვიქტორ ბაბეს „საქართველოს ეკონომიკური რუკა“  
 (Carte Économique de la Géorgie, Dressée par V. Babet)





ვიქტორ ბაბეს მიერ შედგენილი რუკის (Carte Économique de la Géorgie) გამოცემის თარიღი წყაროებში განსხვავებულადაა მოცემული. როგორც ჩანს, იგი რამდენჯერმეა გამოცემული. მსოფლიოს უმსხვილეს ელექტრონულ ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზაში რუკის გამოცემის წლად მითითებულია: 1900-იანი წლები (პარიზი, გეოგრაფიის ეროვნული ინსტიტუტი), 1910-იანი წლები (პარიზი, ლობროტის გამოცემა), 1918 წელი (პარიზი, საქართველოს საინფორმაციო ბიურო) და 1921 წელი (პარიზი, გამომცემელი არ არის იდენტიფიცირებული).

ჩვენს ხელთ არსებული რუკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომლის ანალოგები დაცულია საქართველოში სხვადასხვა ორგანიზაციაში: (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტების განყოფილება, თსუ ემიგრაციის მუზეუმი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება და სხვ.), მასზე მითითებული არ არის გამოცემის წელი. ეს გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული რუკა დამოუკიდებელი გამოცემა არ უნდა იყოს და იგი წიგნის ან რაიმე სხვა ტიპის გამოცემის ჩანართია.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს კიდევ ერთი გარემოება – საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბიბლიოგრაფიულ კატალოგში ვ. ბაბეს სამეცნიერო ნაშრომებს შორის დასახელებულია 2 მონოგრაფია:

1. „საქართველოს ბუნებრივი რესურსები. სამთამადნო სიმდიდრეები“ (Les Richesses naturelles de la Géorgie. Richesses minières. E. Durand, 1920. In-8, 52 p., pl. [142]), გამოცემული 1920 წელს პარიზში.

2. „საქართველოს რესპუბლიკა. ფინანსების, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო. ვ. ბაბე – საქართველოს მანგანუმის მადანი“, პარიზი, ე. დურანის სტამბა, 1921, 33 გვერდი. (République de Géorgie. Ministère des Finances, du Commerce et de l'Industrie. La Minerai de manganèse de Géorgie, par V. Babet. Paris, Impr. de E. Durand, 1921. In-4<sup>o</sup>, 33 p. carte, pl.). გამოცემული 1921 წელს.

ვ. ბაბეს ნაშრომებში ჩართულია ძალზე სქემატური რუკები საქართველოს ცალკეული მხარეების მიხედვით, რომლებზეც სასარგებლო წიაღისეულის ბუდობებია აღნუსხული. მთლიანი საქართველოს რუკა კი ამ ნაშრომებში არაა მოცემული. აქედან კი ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ჩვენთვის საინტერესო რუკა ბაბეს მიერ ადრე გაკეთებული რუკის რეპრინტი არ არის, არამედ საგანგებოდ, სწორედ რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარსადგენად შექმნილი კარტოგრაფიული ნაწარმოებია. საქართველოს დელეგაციისათვის მომგებიანი იქნებოდა კვალიფიციური სპეციალისტის – კარტოგრაფისა და გეოლოგის მიერ შექმნილი რუკა, სადაც აისახებოდა საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობები. ქართული დელეგაცია ხომ ყოველნაირად ცდილობდა საქართველოს საკითხით ევროპის ქვეყნების დაინტერესებას.

ვიქტორ ბაბეზე ინფორმაცია მეტად მწირია და მისი ბიოგრაფია საკვლევეია. ცნობილია, რომ ვ. ბაბე იყო არა მარტო საქართველოს დელეგაციის წევრი, არამედ საფრანგეთში საქართველოს საელჩოს თანამშრომელიც, ხოლო მისი მეუღლე ანეტა მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნთსაცავის გამგედ.

ვ. ბაბესა და ივ. ჭავჭავიძის 1919 წლის რუკის ურთიერთშედარებამ წარმოაჩინა მრავალი საინტერესო და მეცნიერული თვალსაზრისით ღირებული, თუმცა ჯერ კიდევ დაუდგენელი საკითხი, რომელთა შესწავლა ნათელს მოჰფენს არა მარტო დიდი ივანეს კარტოგრაფიული საქმიანობის ჯერ კიდევ ბურუსით მოცულ ზოგიერთ ასპექტს, არამედ თვალწინ გადაგვიშლის 1918-1921 წლების დემოკრატიული საქართველოს ისტორიის კიდევ ერთ ფურცელს.

მიუხედავად იმისა, რომ რუკებს შორის მრავალი მნიშვნელოვანი განსხვავებაა მასშტაბის, კარტოგრაფიული საფუძვლის, პირობითი აღნიშვნებისა და საერთოდ, რუკის დიზაინის თვალსაზრისით, იკვეთება ნიშანდობლივი საერთო კონტურები. რა იგულისხმება ამაში?

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილ 1919 წლის ივ. ჭავჭავიძისეულ „საქართველოს რუკაზე“ (Carte de la Géorgie) დატანილი საზღვრები აბსოლუტურად ზუსტად იმეორებს ვ. ბაბეს რუკაზე ასახულ საზღვრების კონტურს. მიუხედავად იმისა, რომ ვ. ბაბეს რუკა შედარებით უფრო მსხილმასშტაბიანია, იგი მეტად გენერალიზებულია და კონტურები გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი.

ეს იდენტურობა არაფრით არ შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს. ცხადზე ცხადია, რომ ერთის საფუძველზე შეიქმნა მეორე. მთავარია, გაირკვეს, რომელი რუკაა ადრინდელი და რომელი მის შემდგომი. თუმცა ერთი კი უდავოა, ვ. ბაბეს რუკაზე მოხაზული საქართველოს საზღვარი ივ. ჭავჭავიძისეული ვერსიაა – ის ვერსია, რომელიც შეთავაზებული იყო ქართული დელეგაციის მიერ



პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. თუ ეს ნამდვილად ასეა, მეტად მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა კავშირი ჰქონდა ივ. ჭავჭავაძეს ადნიშნულ რუკასთან და როგორ მოხდა მის მიერ შემოთავაზებული ვერსია ვ. ბაბეს რუკაზე? თუ ფრანგი კარტოგრაფის მიერ შექმნილი რუკის პირველი გამოცემა 1918 წელია, მაშინ ეს ბადებს აზრს, ხომ არ მუშაობდა საზღვრების საკითზე და მის კარტოგრაფიულ ასახვაზე ივ. ჭავჭავაძელი 1919 წლის უადრეს პერიოდში?

რუკებს შორის დიდი მსგავსებაა დიზაინის თვალსაზრისითაც. წარწერები რუკაზე თითქმის ერთნაირი შრიფტითაა შესრულებული. მაგალითად, სახელმწიფოთა სახელწოდებები მოცემულია ერთნაირად – ასომთავრული ასოებითა და ორმაგი ხაზებით, ხოლო მდინარეები – კურსივით. ეს მსგავსება შეიძლება იმ გარემოებით აიხსნას, რომ ორივე ერთ გამოცემლობაში – პარიზში (ლობ-როტი) დაიბეჭდა.

ვ. ბაბეს რუკა მეტად საინტერესოა თემატური შინაარსითაც. ფერადი ფონით აქ დატანილია სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლებიც იმ პერიოდის საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. ამ თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე 5 ზონაა გამოყოფილი:

1. საძოვრების (ზამთრის, მაღალი მთის) ზონა.
2. ტყის ზონა.
3. მევენახეობა-მეხილეობის ზონა.
4. მარცვლოვნების ზონა.
5. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების ზონა.

ნიშანდობლივია, რომ მარცვლეული კულტურების გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი რუკაზე. იგი მოიცავს საქართველოს იმ ტერიტორიებსაც, სადაც დღეს ეს აგროკულტურა ზონალურად გავრცელებული აღარ არის, კერძოდ, ჭავჭავაძის ზეგანზე, შიდა და ქვემო ქართლის ვაკეზე, კოლხეთის ბარში და ა.შ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ძველად, XX საუკუნის დასაწყისშიც კი, საქართველოში მარცვლოვნები ერთ-ერთი წამყვანი კულტურა იყო.

ჩანართის სახით რუკას თან ერთვის 12 ძირითადი აგროკულტურის გავრცელების არეალების ჩამონათვალიც. მართალია, ამ ნუსხაში არ არის შესული მრავალი აგროკულტურა და არც მათი გავრცელებაა ზუსტად აღრიცხული, მაგრამ იგი ზოგად წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდის საქართველოში ძირითადი აგროკულტურების გავრცელების არეალებზე.

### აგროკულტურების გავრცელების არეალები ვ. ბაბეს რუკის მიხედვით

აგროკულტურა	ადგილსამყოფელები
თამბაქო	სოხუმი, ოზურგეთი, ლაგოდეხი, ზაქათალა
ჩაი	ჩაქვი, ოზურგეთი
თუთა	ქუთაისი, ხონი, სამტრედია, ზუგდიდი, ოზურგეთი, გავაზი (კახეთი), ზაქათალა
ბამბა	სიღნაღი, ლაგოდეხი, ზაქათალა, ყარაია
ზეთისხილი	ართვინი, ჭოროხის ხეობა
დაფნა	სენაკი, ფოთი, ოზურგეთი
კაკალი/თხილი	ლაზისტანი, ართვინი, ზაქათალა
ფორთოხალი, მანდარინი	ბათუმი, სამეგრელო, ლაზეთი, აფხაზეთი
ბოსტნეული	შავი ზღვის სანაპირო (ბათუმი, სოხუმი, გაგრა, სოჭი, რიონის ვაკე)
დეკორატიული მცენარეები	ბათუმი, სოხუმი, გაგრა, სოჭი
ენდრო	კახეთი
ბრინჯი	ბორჩალო, ზაქათალა

გაოცებას იწვევს ის დეტალური ჩამონათვალი, რაც უკავშირდება სასარგებლო წიაღისეულის ბუდობებს. აქ 22 მინერალური რესურსია დასახელებული: სპილენძი, ტყვია და ვერცხლშემცველი ტყვია, ცინკი, სტიბიუმი, მანგანუმი, რკინა, პირიტი და გოგირდი, ოქრო, ბარიტი, გლაუბერის მარილი, ქვამარილი, ნახშირი, ნავთობი, პარაფინი და ბიტუმი, ტორფი, გრაფიტი, დიატომიტი, ლითოგრაფიული ქვა, მარმარილოს ონიქსი, საცემენტე მასალა, თაბაშირი და ალუბასტრი, ცეცხლგამძლე თიხები.

## რუკები ივანე ჯავახიშვილის პირადი ფონდიდან

ივ. ჯავახიშვილს კარგად ჰქონდა გააზრებული ძველი კარტოგრაფიული ნაწარმოებების მნიშვნელობა. ამაზე მეტყველებს 1922 წლის 15 იანვრით დათარიღებული მიმართვა საქართველოს რევოლუციური კომიტეტისადმი, სადაც იგი ითხოვს კავკასიის ცალკე ლაშქრის შტაბის შემადგენლობაში გადაცემულ სამხედრო კომისარიატის ტოპოგრაფიული განყოფილების ქონების საქართველოსათვის დაბრუნებას.

*„მიმდინარე 5 იანვრის სხდომაზე უმაღლეს სამეცნიერო საბჭომ მოისმინა საბჭოს თავმჯდომარის და წევრის პროფესორ ა. ბენაშვილის მოხსენება სამხედრო კომისარიატის ტოპოგრაფიულ განყოფილების კავკასიის ცალკე ლაშქრის შტაბის შემადგენლობაში გადაცემის შესახებ, იქონია ამ საკითხზე ხანგრძლივი მსჯელობა“-ო აღნიშნავს იგი.*

როგორც მიმართვიდან ჩანს, ივ. ჯავახიშვილი აპროტესტებს სამხედრო სახალხო კომისარის ბრძანებას, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკის საკანონმდებლო დანესებულების დაუკითხავად ტოპოგრაფიული განყოფილება ნომინალურად გადაეცა სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს, ფაქტობრივად კი – კავკასიის ლაშქრის ცალკე შტაბს. ამ ქმედების შედეგად, როგორც აღნიშნულია, „შტაბის უფროსის ბრძანებით ტოპოგრაფიული განყოფილება დაქვემდებარებულია შტაბის ოპერატიულ ნაწილის უფროსისათვის“. ამაში იგი ხედავდა დიდ პრობლემას, რაც შეაფერხებდა საქართველოში რუკების შექმნას, ასტრონომიული, გეოდეზიური და ტოპოგრაფიული საქმიანობის მომავალში განხორციელებას: „ამ გადაცემით საქართველოს აკლდება ისეთი დანესებულება, რომელიც აძლევდა საშუალებას უზრუნველ ეყო როგორც სამხედრო, ისე მრავალფეროვანი და მრავალ რიცხოვანი კულტურული და მეცნიერული მოთხოვნილებანი ჩვენი რესპუბლიკისა. ამ ჟამად ტოპოგრაფიულ განყოფილებას ევალება მხოლოდ კავკასიის ცალკე ლაშქრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ხოლო ჩვენი რესპუბლიკის უდიდესი საჭიროება რუკების დამზადებაში და ყოველგვარ ასტრონომიულ, გეოდეზიურ თუ ტოპოგრაფიულ სამუშაოთა წარმოებაში მომავალში დაუკმაყოფილებელი რჩება“.

მიმართვაში საუბარია იმ მნიშვნელობაზეც, რომელსაც საქართველოს ტოპოგრაფიული განყოფილება ასრულებდა იმ პერიოდში. ამ ჩანაწერიდან ნათელია, თუ რა სიღრმისეულად ერკვეოდა ივ. ჯავახიშვილი ამ საკითხშიც, თუმცა ცხადია, რიგი სპეციფიკური საკითხების ანალიზისას იგი შესაბამისი დარგის სპეციალისტების დახმარებასაც იყენებდა, რაზეც თვით მიმართვის დასაწყისშია საუბარი, კერძოდ, 5 იანვრის სხდომაზე უმაღლესმა სამეცნიერო საბჭომ მოისმინა აღნიშნულ საკითხზე ა. ბენაშვილის მოხსენება, იმსჯელა და გაარკვიაო. სწორედ ამ სხდომის შედეგად ჩამოაყალიბა დიდმა მეცნიერმა ის რამდენიმე ძირითადი მიზანი/დანიშნულება, რომელსაც ასრულებდა ან სამომავლოდ შეიძლება შეესრულებინა ტოპოგრაფიულ განყოფილებას:

- **სამხედრო:** რუკების დამზადება ჯარისათვის აგეგმა იმ რაიონებისა, რომლებიც მანამდე ტოპოგრაფიულად შესწავლილი არ არის (მაგ., აღმოსავლეთი საქართველო);
- **საგანმანათლებლო:** სკოლებისათვის გეოგრაფიული რუკების შედგენა და გამოცემა; უნივერსიტეტში გეოდეზისტების და ასტრონომების მომზადება;
- **სამეცნიერო:** რიგი სამეცნიერო საკითხების გადაწყვეტა, როგორც არის: სიმძიმის ძალის განსაზღვრა, შვეულ ხაზთა გადახრის გამოკვლევა, ბაზისების გაზომა, ტრიანგულაციის წარმოება, განედებისა და გრძედების ასტრონომიულად განსაზღვრა და სხვ.; საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერული საქმიანობა;
- **საკადასტრო:** რესპუბლიკისათვის ახლო მომავალში საჭირო დიდი კადასტრული აგეგმის განხორციელება;
- **ეროვნული:** ქართულ ენაზე რუკების მომზადება-გამოცემა.

დოკუმენტი მეტად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ აქ წარმოჩენილია ის კარტოგრაფიული საქმიანობა, რომელსაც ასრულებდა ან გეგმავდა შეესრულებინა ტოპოგრაფიული განყოფილება.



ფილება. თანაც, ეს ის პერიოდია, როცა ჯერ კიდევ ფართო კარტოგრაფიულ ასპარეზზე არ არიან ალ. ჭავჭავიძე და ს. ცხაკაია, რომლებმაც 1930-იან წლებში შექმნეს მრავალი წვრილ- და საშუალომასშტაბიანი ქართულენოვანი რუკები მთელი მსოფლიოს, მისი ცალკეული ნაწილებისა და საქართველოს ტერიტორიისათვის.

დაბეჭდილი, დასაბეჭდად გამზადებული და მომავალში გამოსაცემი რუკების ჩამონათვალი  
(საქართველოს რევოლუციური კომიტეტისადმი ივ. ჭავჭავიძის  
1922 წლის 15 იანვრის მიმართის მიხედვით)

უკვე დაბეჭდილი და გამოცემული	დამზადებულია დასაბეჭდად	დასამზადებელი და გამოსაცემია
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ დედამიწის ნახევარ სფეროები სკოლებისათვის;</li> <li>▪ რამდენიმე ფურცელი 100 საჟენიანი რუკები სამხედრო ნაწილებისათვის ტაქტიკაში ვარჯიშობისათვის;</li> <li>▪ და სხვ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ დედამიწის ხუთი ნაწილის საკლასო რუკები;</li> <li>▪ საქართველოს დიდი კედლის რუკა;</li> <li>▪ საქართველოს მცირე რუკა;</li> <li>▪ გეოგრაფიული ატლასი;</li> <li>▪ სხვ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ერთ, ორ, ხუთ, ათ, ოც და ორმოც-ვერსინი რუკები ქართულ ენაზე;</li> <li>▪ მრავალგვარი სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია ქართულ ძველსა და ახალ კალიგრაფიასთან.</li> </ul>

როგორც ირკვევა, ივ. ჭავჭავიძის მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნდა სხვადასხვა მასშტაბის ქართული ტოპოგრაფიული რუკების მომზადება და გამოცემა. ამ დოკუმენტში ის საუბრობს ძველ რუსულ სისტემაში – ვერსებში შედგენილ რუკებზე. თუმცა ეს არც იმ და არც შემდგომ პერიოდში, მთელი საბჭოთა პერიოდის მანძილზე არ განხორციელდა. მრავალი წლის მანძილზე ქართველი გეოგრაფები და კარტოგრაფები რუსულენოვანი საბჭოთა რუკებით სარგებლობდნენ. მხოლოდ 2000-იან წლებში გახდა შესაძლებელი, რომ 1:50,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების 153 ფურცლიდან, რომლითაც იფარება საქართველოს მთელი ტერიტორია, გამოიცა მხოლოდ 103 ფურცელი. რაც შეეხება რუკათმედგენისათვის საჭირო ქართული კალიგრაფიის მომზადებასა და გამოცემას, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მიხეილ ქავთარაძის ნაშრომს „ქართული კარტოგრაფიული შრიფტს“ (1953 წ.), რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. იგი გამოყენებულია „საქართველოს სსრ ატლასის“ (1964 წ.) შედგენისას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის ის კატეგორიული ტონი, რომლითაც ივ. ჭავჭავიძე, უმაღლეს სამეცნიერო საბჭოს 5 იანვრის სხდომის სახელით, მიმართავს საქართველოს მთავრობას:

„ა) ეთხოვოს მთავრობას, დაუყონებლივ განკარგულება გასცეს ტოპოგრაფიულ განყოფილებების საქართველოსათვის უკან დასაბრუნებლად; რათა შემდეგში ეს განყოფილება გადაცემულ იქნას იმ გეოგრაფიულ ინსტიტუტისათვის, რომელიც აუცილებელ საჭიროების მიხედვით, უნდა ახლო მომავალში დაარსებული იქმნას უნივერსიტეტთან, ან დამოუკიდებლად, განათლების სახალხო კომისარიატის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

ბ) ეცნობოს მთავრობას, რომ ხსენებულ გეოგრაფიულ ინსტიტუტის შემადგენლობაში ტოპოგრაფიული განყოფილება უფრო მეტის წარმატებით, სისრულით და სისწრაფით შეასრულებს ლაშქრის ყოველგვარ მოთხოვნილებებს რუკების კმაყოფის საქმეში და სამხედრო მიზნით აგეგმის წარმოებაში, ვიდრე ეს მოსალოდნელია კავკასიის ცალკე ლაშქრის შტაბის ხელმძღვანელობის ქვეშ.

გ) ეცნობოს მთავრობას, რომ ტოპოგრაფიული განყოფილების გადაცემით საქართველოს ეს-კობა დიდი, უძვირფასესი და შეუდარებელი წყარო კულტურისა; ჩვენი ჯარი, მრეწველობა, მეურნეობა და ტექნიკა განუსაზღვრელ ვადით მოკლებულ იქნებიან მშობლიურ გასაგებ ენაზე რუკებით სარგებლობას.

დასასრულ. თუ ვინცობაა, შექმნილ პირობებისა გამო, ტოპოგრაფიულ განყოფილების ქონება გადატანილ იქმნა საქართველოდან, მის ხელმეორედ შესაქმნელად მოგვინდება არა ნაკლებ ასი წლისა და აუარებელი ხარჯები.

უმაღლეს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ივ. ჯავახიშვილი”.

უმაღლეს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ ოფიციალურად ითვლებოდა განათლების სახალხო კომისარი, ფაქტობრივად საბჭოს ხელმძღვანელობდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე – ივანე ჯავახიშვილი.

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო ნაშრომები იმის ნათელ სურათს გვაძლევს, რომ მას მრავალ კარტოგრაფიულ წყაროზე უნდა ემუშავა. ამ მიზნით, ცხადია, იგი მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციათა ფონდებში, თუმცა ისიც ეჭვგარეშეა, რომ მას ჰქონდა საკუთარი კარტოგრაფიული ფონდიც, რომელთა ნაწილი დღემდეა შემორჩენილი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ამ ფონდში განსაკუთრებით ინტერესს იწვევს XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში რუსულ მეტრულ სისტემაში შექმნილი ტოპოგრაფიული რუკების სერია – ე.წ. „ვერსტოვკები“. ეს ინტერესი დაკავშირებულია არა მარტო იმ გარემოებასთან, რომ მასზე მოცემულია დიდი მეცნიერის ხელით შესრულებული მინაწერები, მონიშვნები და მისივე ხელით გატარებული კონტურები, არამედ ის, რომ ეს მინაწერები ცალკე კვლევის საგნად უნდა იქცეს.

თავდაპირველად შევხვით თვით ამ რუკების მნიშვნელობას.

საქართველოს ტერიტორიის ამსახველი ძველი კარტოგრაფიული ნაწარმოებები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და გაანალიზებული. იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს სხვადასხვა უწყებებში საკმაოდ მდიდარი კოლექციაა დაცული. ძველი რუკები, ერთი მხრივ, ერის კულტურული საგანძურია, ხოლო მეორე მხრივ, ფასდაუდებელი განძია სხვადასხვა დარგის მკვლევარებისათვის – გეოგრაფების, ისტორიკოსების, ეთნოლოგების, გეოპოლიტოლოგების, ენათმეცნიერების, ხელოვნებისა და სხვა დარგის სპეციალისტებისათვის, ვინაიდან ეს რუკები იქმნებოდა არა მარტო ადგილის გეოგრაფიული და დემოგრაფიულ-სტატისტიკური ინფორმაციის შესწავლის, არამედ მათიანების, ისტორიული ქრონიკების, დიპლომატიური და ნორმატიული აქტების, აგრეთვე უფრო ადრინდელი კარტოგრაფიული წყაროების ანალიზის საფუძველზე. რუკების ეს დიდი მნიშვნელობა კარგად ჰქონდა გააზრებული ივ. ჯავახიშვილს და ამიტომ იყენებდა მათ კვლევისას როგორც მეტად ღირებულ პირველწყაროს.

ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა რუსი, გერმანელი, ფრანგი და სხვა უცხოელი სამხედრო ტოპოგრაფებისა და გეოდეზისტების მიერ ჩატარებული საქართველოს ტერიტორიის მსხვილმასშტაბიანი აგეგმვები და რუკათშექმნითი სამუშაოები, რომლებიც რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის შეერთების შემდეგ ტერიტორიის შესწავლის აუცილებლობით იყო განპირობებული, რაც თავისთავად მსხვილმასშტაბიანი რუკების შედგენასაც გულისხმობდა.

ამ მიზნით, 1833 წელს საგანგებოდ შექმნილმა სამხედრო-ტოპოგრაფიულმა ასეულმა დაიწყო პირველი ტოპოგრაფიული აგეგმვები კავკასიაში. 1836 წელს აგეგმვები იწყება აფხაზეთსა და სვანეთში, 1836-37 წლებში – შავი ზღვის სანაპიროზე და ა.შ. საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა მასშტაბის აგეგმვები XX საუკუნის დასაწყისშიც გრძელდებოდა.

აღნიშნული რუკების გამოყენებით ფაქტობრივად დღემდე არ ჩატარებულა საფუძვლიანი კვლევები და ისინი მხოლოდ „თაროზე“ არსებულ სამუზეუმო რარიტეტებად რჩება.

გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს, 1985-1912 წლებში გამოცემული კავკასიის ე.წ. 5-ვერსიანი (თანამედროვე მასშტაბი 1:210,000) ტოპოგრაფიული რუკების ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში



დაცული ეგზემპლარები, რომლებზეც მრავლადაა შემორჩენილი ივ. ჯავახიშვილის მიერ გაკეთებული მინაწერები ქართულ და რუსულ ენებზე. არის გრაფიკული მონიშვნებიც. გამოყენებული სახვითი საშუალებების მრავალფეროვნება იმაზე მიუთითებს, რომ მეცნიერი მათზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა.

5-ვერსიანი რუკის 19 ფურცელზე 200-მდე მინაწერი და მონიშვნაა, რომლებიც განსხვავებული პირობითი ნიშნებითაა შესრულებული. ეს განსხვავებულობა ვლინდება:

- მინაწერებისა და კონტურების ფერის მიხედვით (მწვანე, ცისფერი, წითელი, ლურჯი);
- საწერი საშუალების ტიპის მიხედვით (მელანი, ე.წ. უბრალო ან „ქიმიური“ ფანქარი);
- დატანილი გეომეტრიული ნიშნების მიხედვით (ჯვრები, წარწერების გახაზვისათვის გამოყენებული ცალმხრივი ან ორმაგი კონტურები, წარწერების შემოხაზვისათვის გამოყენებული ცალმხრივი ან ორმაგი ოვალები).

რუკაზე არანაირი მინიშნება არ არის, თუ რა თემატური შინაარსის გადმოცემა უნდოდა ამით ივ. ჯავახიშვილს. ერთი კი უდავოა, ისინი მიგვანიშნებენ სხვადასხვა თემატურ დატვირთვაზე. ეს სამომავლო კვლევის ობიექტია.

განსხვავებულ პირობით აღნიშვნებს იყენებს ივ. ჯავახიშვილი სხვადასხვა ტიპის ობიექტებისათვის როგორცაა: მთები, ციხესიმაგრეები, დასახლებები, იაილები და სხვ. მაგალითად, ფანქრითა და ლურჯი მელნით გახაზულია 63, ხოლო ოვალითაა შემოხაზული 40 მთა. გვხვდება სხვადასხვა სახის კომბინაციებიც, კერძოდ, ერთდროულად გახაზულია და გაკეთებულია მინაწერები. ადგილი აქვს ასევე ტოპონიმების არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ცალკეული ასოების გახაზვას.

განსაკუთრებით ინტერესს იწვევს რუკის ზოგიერთ ფურცელზე სხვადასხვა ფერად გატარებული კონტურები. ხშირად ეს ხაზები მიუყვება წყალგამყოფებს, მდინარის ხეობებს, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარუდოთ, რომ ისინი სხვადასხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის (ქვეყნების, გუბერნიების, მაზრების), დროის სხვადასხვა პერიოდის, ან სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებით გატარებული საზღვრის კონტურებია.







გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნათია დვალი  
მარიამ ებრაელიძე  
თინათინ ჩირინაშვილი

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 14  
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)





